

3(05)
h-554

1936

W1


8(05)
h-554

პროლეტარებო ყველა კვიცნისა, შვერთლით!

რვაენი თაობა

საძარტველოს საბჭოთა მფირლების
კავშირის ორთვიური უბრნალი

1



1 9 3 6
ბ ვ ი ლ ი ს ი

ზ ი ნ ა ა რ ს ი

15 წელი (მეთაური) 8

მხატვრული ლიტერატურა

გ. კალანდიაძე — ბატონი ფალაქიანი	7
ვ. შუბლაძე — კოლმეურნე გოგონა	9
ტრ. გაბედავა — მერცხალი მოფრინდა	11
ლ. უბილაძე — დიდა	12
ტ. ჯვარშიევილი — საქ. კომკავშირის XII ყრულო- ბის დელეგატებს	18
ი. ჩხიძე — ვერდია	14
კონსტანტინე გიგინიაძე — შუა აზია (ნაწევრი პოემი- დან)	30
რაქვინი გვეტაძე — სკირგაილო	38

კლასიკური მიმკვირილობა

ნ. ა. ნეკრასოვი — პოეტი და მოქალაქე. თარგმანი გრ. ტეცხლაძისა	54
პროფ. სერგი დანელია — ნ. ა. ნეკრასოვი	62
ვ. წულუკიძე — ლევ ტოლსტოი	72
ქოზი-შარია დე შერდია — სონეტები თარგმნილი წიგნიდან „ტროფეი“ მიქელ პატარისის მიერ:	
1. Epigramma votive	80
2. პანი	80
3. არიადნა	81
4. ვაკანალია	81
5. მარსიასი	82
6. სფინქსი	82

პ რ ი ტ ი კ ა

შესო ელენტი — მწერლობის სოციალისტური ხარი- სხისათვის	80
კრისტიკა და იმფორმაცია	მძ.



0. სტალინი

მხატვრული ლატინოატირა

8. კალანდაძე



დაბლა დატოვე კლდეთა შრეები,
საბჭოთა მთების აყრილი ურდო,
ამბოხებული ჰაერს შეეგბი
და შხისკენ სრბოლა ისურვე, ბურთო!

მიგაქვს ყიჟინა, მიგაქვს წადილი,
მიხვალ გმირული ხალისით სავსე.
ზეცა მოლურჯო მუზარადივით
ქვეყნის ფალავანს გახურავს თავზე.

შენ, ცადაქნილზე ასულო, ახლა
შხის გახურებულ თეთრ დისკოს უმზერ,
შენ რთლად კუდიან კომეტას ჰგავხარ
და ჩვენი გმირი გკიდია კულზე.

მიგაფრენს და თან იგონებს გმირი
აქ, ამ სფეროში, დაღუბულ გმირებს—
მოხეტეხებული დინება ტირის
და შეგიდგება შენც გული მცირედ.

მოდის დინების წყები და წყები
და შენ გადაგვი პოლარულ ხაზებს,
ფოფოსენკოს¹ ხატება ჩნდება
და, კიდობული საბჭოთა ციხე!

ჩრდილოეთიდან თბერაეს ქარი,
ჯერ პოლარული ციალი არ ჩანს,
დაბლა ქილარა ღრუბლები ირის,
მალა— გაშლილი შოლურჯო თარხი.

შენ ციდექნილთან ბროლის გზებს სახავ
ხელი ქეცნის ხალისით სიესე.
შენ ბროლიდ გასულ ფილეინს ჰგეხარ —
ცი მუხიარადად გახურაეს თავზე.



¹ სტრატოპატრი არსოვიჩიჩი: თ 1934 წლის ანგარიში მფრენის (24 გმ.) დროს ადრულ-
პულდი გპირი.



მირბის, მოწხუის ხმალრით ქეებზე,
უბით მოკლეარე წყალი ჩხრილღებს,
და ჩამოკეინილ ყოთლებთან ველზე
ჩაღის ლერებმაც ჩიწრიაღეს.

თიტქოს წიგილო ქაჩმა შეგონა,
სერღლის გამტანი, ჟანის მოთაფე.
შენ კოლმეურნი მარდი გოგონა
ხელში აბრუნებ ოქროს თაფთაფებს.

ხელში აბრუნებ და გიხარია,
დღე რომ დამდგარა მწრომელთა ლხენის,
თვალღებტკრიალის და შიფხალიანს
შენ ეს სიმხნევე გიხდება, გშენის.

ანკარა წყარო შესვი ზეშეგებით
და სიხარული გომიზიარე,
მზე მომღიშარე მთისკენ ეშეება,
მთებზე ლრუბღებმა გადიიარეს.

თიტქოს ხეებს თხარის, მღლეერი ქარი ჩანს,
ზეცას მანდილი შემოახია,
და მბით ნაქსარე ოქროს ხაღიჩა
მოსდენილ ტანზე შემოგახეცია.

სასიხარულო შრომას არ იშლის
ახალგაზდური ჯანლონე 'შენი,
ეშიანი სახეს წარბები გიჰროის
ისევე უხდება და ისევე გშეენის.

მინდა ეგ სახე გუელში ჩაეხაზო
და მოვიგონო შრომა დიდებით,
რადგან შენ ისევე, გოგოვ ლამაზო,
ოქროს ყანებით გზიბლავს მინდვრები.

მდინარე, მთიდან ჩამორბენილი,
მოდის, მოშხუის, ქეებზე ჩხრიალებს,
და ტანზე ფარჩის სამოსელივით
ხეზე ფოთლებმა ჩაიშრიალეს.





კვლავ მაგონდება მე ჩემი სახლი —
 ქერჩავარდნილი და უჩინარი;
 ეზოში სიცხე მიკლავდა ხალისს,
 არც საჩრდილობლად მედგა ჩინარი.
 იმ დროის ხსოვნას წყრომით ვინახავ,
 კვამლიან თვალებს ცრემლით ვრეცხავდი,
 და წუთით ქოხში მე არ მინახავს
 ალტაცებული შავი მერცხალი.
 ერთხელ დამექცა ბინაც, მახსოვს მე,
 თითქო მარტოხე ეგლო მიწაზე, —
 და სანუგეშოდ მაშინ გადმომცეს,
 რომ დედამიწა საგნებს იტაცებს.
 ახლა კი დღეებს თითზე არ ვითვლი;
 ზღვა სიხარულმა გული დაფარა.
 კულმაკრატელა მერცხალმა თითქმის
 ცისაკენ ფრთებით გასჭრა ფანჯარა.
 მოაქვს ნისკარტით თივა და თიხა,
 ოთახი უნდა ჰქონდეს მარტივი.
 შვილს ზრდის ბუდეში და ველზე დიდხანს
 მწერს დასაჭერად დასდევს ბარტყისთვის.
 აი, შემოკრა ფრთა ფრთას სიმღერით;
 გვზიბლავს, ნავარდობს შვილის ფარეში.
 ვუსმენ ფრთოსნის ხმებს და მეც ვიზრდები,
 როგორც სინათლე შვიდ დღის მთვარეში.
 ძწამს, კვლავ უკეთესს ცხოვრებას შევძლებ.
 ამის იმედი არ მაქვს დამცხრალი.
 და ახლად ნაგებ ჩემს ოღის ქერზე
 პირველად იღვამს ბუდე მერცხალი.





შემოიჭრება ოთახში უცებ
საყვირის გრგვინვა ქარიშხალივით,
ვკეცავ რვეულის ქალარა ფურცლებს
და აზღვავებულ ხალხში გაევიღი.

ვნახავ: ნატყორცი კვამლები გაშლიო
ეხურებიან ქედებს ჩალმებად,
ქმები ღიმილით მხედებიან გზაში
და მტკვრის ზვირთებიც მომესალმება.

ო, ჩემო მტკვარო! შენმა შხეფებმა
ღამეს შეუნთო ცეცხლის ღაღარი.
ებლა დილაა, სივრცეს ესხმება
მზე მთის თხემიდან გადმონალვარი.

ჩემმა ქვეყანამ მზე დამასხურა,
ამ ნათელ გზაზე შეუქი შეუქს მოსდევს.
დილაა... მზიან ქვეყნის მსახურად
მოვდივარ, გმირებს რომ ვაფუსწორდე.



საქართველოს XII ყივლიანი წიგნების

რამდენ სიხარულს განიცდის გული..
კალამა ვერც კი შესძლო დაწერა.
დღეს საქართველოს ყველა კუთხიდან
კომკავშირული მესმის სიმღერა.
გადაგიშლიათ ყველას გულები,
ვით გაზაფხულის სურნელი ვიარდი,
მოხვედით ახალ გამარჯვებებით,
ჩაბარდა წარსულს წყველი დარდი.
ხარობს, იცინის საბჭოთა მხარე,
სადაც შრომა და ხალისი სუფევს, —
ალარ ზის ახლა ქოხში მოხუცი
და შვილს ნაომარს ცრემლებს არ უფრქევს.
დღეს მეთორმეტი ყრილობაზე ხართ,
თორმეტჯერ მეტი მოგაქვთ ხალისი,
ზამთრის თვე არის, მაგრამ თქვენს გულში
აყვავებული ხარობს მაისი.
მე ჩემს დაზვაზე ვჩარხავ დეტალებს
შრომის ხალისით, შრომა ჩუხჩუხებს,
კომკავშირული სტახანოველი
ამ ყრილობაზე კვლავ დაიჭუხებს.
დასჭექეთ, ძმებო, ბრძოლის სიმღერა,
სიმღერა მძლავრი ცის ქუხილს ჰგავდეს, —
ვიბრძოლოთ მედგრად, რომ დროში ჩვენი
მთელს მსოფლიოში წითლად ელავდეს,





1.

ნამგალა მთვარე ტოლების მთებს მიეფარა. ცაზე ვარსკვლავები შემეჩხრდა. მამლებმა ყვირის მოუხშირეს. აჰა, საცაა ალიონიც მოატანს, მაგრამ გლეხი თადაოზ ნაკიძე არ იძინებს და ცოლსაც არ აძინებს. ზის თადაოზი ცეცხლის-პირას სახეჩამობნელებული. ხმას არ იღებს... ილაპარაკა...¹ იყვირა და გაათავა... მორჩა: „ამ სიმწრით ნაშენ ოჯახს“ თადაოზ ნაკიძეს ცოლ-შვილი უნგრევს. აბა, ეს რომ ასე არ იყოს, სად არის ამდენხანს „იი ოქროს კაკალივით გოგო?“ მაქნამდე კრებაზე ყოფნა გაგონილა?!

თადაოზი ხან მარცხნივ უმბრუნდება, ხან მარჯვნივ... ჩიბუხს მაგრად გას-ტენის თამბაქოთი, შერე ისევ დაცლის... ისევ გაავსებს, ნაღვერდალში ამო-ავლებს და გაძობოლებს რა ნაცრისფერ კვამლს, მწარე ოხვრასაც გაადევნებს.

გაიანეს გულს უკლავს ქმრის ოხვრა, მაგრამ ხმის ამოღებას ჯერ კიდევ ვერ ბედავს. უბრალო შენიშვნა და თადაოზი ცოციან მგელივით რომ დაიყმუი-ლებს—გათავდა საქმე... სამხარეულოში ძაღლიც კი ვერ მოიცდის. გაიანე კარ-გად იცნობს ქმარს, მაგრამ შვილსაც იცნობს და აღარც ისე ბრმაა, წინათ რომ იყო...

— დედაკაცო, გულზე ვსკდები, შენ რომ გიყურებ.— გამომწვევი ხმით დაიწყო ბოლოს თადაოზმა და განზე გადააფურთხა.— შე ოჯახდანგრეულის-შვილო, ასე უნდა პატრონობა გასათხოვარ ქალს? რეიზა ტყეში არ დარბიხარ და არ ეძებ?...

გაიანე წამოდგა, ჩახედა ქმარს თვალებში და ოდნავ მაღალი ხმით ჩაი-ლაპარაკა.

— კაი, კაი... შენ რომ ამიზეზღები, კაცი კი არა, დათვი ვერ მეიცდის შენთან..

— ორო... ამიზა დადიხარ ქალთა კრებაზე—ეშეებოვით გრძელი კბილები გადმოალავა თადაოზმა მსხვილ ტუჩზე და ქარისაგან გადაფერდებულ ზვინივით გადიხარა—მეც მწუნობ, არა? კაი, ძან კაი... მასე იყოს, მარა აბა ერთი იგი მიბრძანე, შენ თუ კაი დედა ხარ, სად გყავს ამდენ ხანს ი გოგო?

— სად მყავს და კრებაზე.

— შერე... რა დროა ახლა?

გაიანე გათამამდა.

-- რა დროა და შუალამე...

-- დედაკაცო! — აფეთქდა თადაოზი.

-- ნუ ყვირი!... — შეუტია გაიანემ — შენი ჯინიანობით ყველაფერი არიე...

სულ რომ ყვირი, რა გგონია? არაა, კაძახო, ძველი დროი, არა... — გაიანემ თავ-
შალი შეისწორა. ერთის მხრივ ცოლი იდგა, მეორე მხრივ ქმარი.. მათ შორის
ცეცხლი ენთო... წიფლის კუნძს გველივით ეხვევოდა ოქროსფერი ალი, რომელიც
ხან აქ ამოყუფდა წითელ ენას და ხან იქ. გაიანემ კუნძს ფეხი გაჭრა და ხე-
ლების ქნევით ვანაგრძო: — რას ჩაჩემდი იმ გოგოს, რა გინდა? კრებებზე იარე-
ბაო... მეც ხომ ვიარებდი? რა გინდა მერე? ქვეყანა კრებებზე დადის და ჩვენი ცი-
ცინო გამოვახრჩოთ სახლში? ხომ იცი, ჩვენი ოჯახის მარჩენალი იგია... აბა შენ
რაი... კოლექტივში არ შევალო... ძველი აზნაური ვარ და ჩემი ღირსება ვიცეო..
ვინცა გადარეულებს აყვი... ვის რაში არგია შენი აზნაურობა? ქვეყანა მუშა-
ობს. გაკეთდა ხალხი. ამდენი სახლები როდის აშენებულა ჩვენ სოფელში ახლა
რომ შენდება... მე რომ საწყალი დედაკაცი ვარ, სამოწყალოდ სარჩენს რომ მი-
ძახოდი, აბა მითხარი, ახლა ვარ შენი სარჩენი?

-- დედაკაცო, ნუ გადაძრვი...

-- რა გინდა, რა? — გაიანეს ალბათ დავეწყვდა ვის ელაპარაკებოდა.

თამამად გაშალა მკლავები. ათეული წლების უქმაყოფილებამ ადიდებულ მდინარე-
სავით გადმოხეტია მოთმინების კალაპოტი. — გითმინე... გითმინე და აღარ შემი-
ძლია... რა გინდა იმ გოგოსთან, ყოველდღე რომ ეჩხუბები?.. შენ ვერაფერს ვერ
მუშაობ. ორი ტარო სიმინდი ძლივს მიეწიე და იგივე დაგიღა, ციციონმ კი
მთელი წლის სარჩო აიღო კოლექტივში. ხომ არ დავეწყებია, რომ მის ნამუ-
შევარ დღეებზე აღებულ პურს ჭამ. ვისი ნაყილია მია პალტო, ტანზე რომ გაც-
ვია? ციციონსი. კოლმეურნეებისთვის მოვიდა და, როგორც კარგ მომუშავეს.
ჩვენს ციციას დაუთმეს.

-- დედაკაცო... გითმენ, მარა. — დაუღაზლა ხმას თადაოზმა, მხოლოდ
თვალებს აბრიალებდა ცოფიან მგელივით...

-- არ გაეჭუმღები... კიდევ ერთს ვიტყვი და გავათავებ ლაპარაკს... დეი-
ხედე ფეხზე... ამაყად რომ დადინარ ძველი ევაჭრით, მია ჩემებო, ფეხზე რომ
გაცვია, ხომ იცი ვინ მოგიტანა?

თადაოზს თითქოს მდუღარე წყალი გადაესხა. ღრმა ქრილობას მწვევედ
შეებო ცოლის სიტყვები. თადაოზი მართლაც „ვიღაცა გადარეულებს აყვა“ და
მეზობლებს გამოეთიშა, სამაგიეროდ განმარტოებული დარჩა, მარტოხელამ კა-
რგი მოსავალი ვერ მოიწია და ციციონს რომ კოლექტივში თავისებური სიმე-
რჯვე არ გამოეჩინა, ვინ იცის, რა მოუვიდოდა ოჯახს. ამ მხრივ თადაოზისა-
თვის კომკავშირელი ციციონო, რომელმაც შარშან ოჯახი შუაზე გაუყო და თა-
ვისი წილი კოლექტივში შეიტანა, „კიაი--კიაი“, მარა ბუმს ვარდია დისამიძეს
რომ დასდევს... ღამე რომ აგვიანებს... თადაოზს ისლა აკლია, რომ ბუმი სიძედ
გაუხდეს... არა... არ უნდა...

-- არა, დედაკაცო... მე შევილსა და ჩემს სახელს საქმელში არ გავ-
ყიდი... არა...

— შენ და მე არც გაყიდვას გვკითხვან მისას ვინმე და არც ყიდვას... იგი მუშაობს და...

— ფუ, შენისთანა დედას!— აფეთქდა თადაოზი— ხეალ რომ ი გოგო ვერდიე ბუშს მოგიყვანს სიძელ, მაშინ... მაშინაც ასე ილაპარაკებ?

— ვერდიე ბუში... ბუშს მომიყვანს სიძელ? ვერდიეკა ლაჩანდარას?— გაინანეს ენა დაუღუღდა. პირი გაუშრა. დიდხანს ჩიფიფებდა იგი შეშინებული, ხოლო შვილის თვითნებობით გააფრთხილებული თადაოზი დაჭირლ მეგლივით ყმუოდა, სოფელს აობრებით ემუქრებოდა.. ხუთი კაცის სიკვდილს წინასწარ იქა-დდა და ახალ მესზობელს თავისი სახლიდან უყვიროდა... ავინებდა.. ამ დროს ნელა გაიღო სახლის კარი... სამზარეულოში ციცირო შევიდა.

2

ვერდია რომ დაიბადა, უცნობმა მშობლებმა ჩვრებში გახვიეს, ფიცარზე დააკრეს და ვილაც დიასამიძის ოდის წინ დააგდეს. წვიმდა. შემოდგომის ბურუსიანი ღამე იყო. ბავშვი ტირიდა. სახლში მყოფთ კატა ეგონათ, მაგრამ დილით, როცა კატის ნაცვლად ბავშვი ნახეს, კინაღამ გადაიჩივნ. დედ-მამა ავინეს, სწყველეს... მიღებით კი მიიღეს, მაგრამ დედმამობა არვის გაუწყვეია მისთვის. ვის ეცალა? სახელიც ძლივს მოუნახეს. ეკლესია სასტიკად კრძალავდა „უკანონოდ შობილთათვის“ ქრისტიანის სახელის დარქმევას. კოდის მღვდელი ფიქრებს მიეკ. დიდი ხათრა ჰქონდა დიასამიძეების, თანაც დაბეჭდების ეშინოდა: იფიქრა, იფიქრა და, ბევრი ფიქრის შემდეგ, „უკანონოს“ თავისებური სახელი ვერდია დაარქვა (ვილაც დიდი კაცის ძალს ჰქვიოდა ასეთი სახელიო), და ისე დაეაქაცადა „უკანონოდ“ დაბადებული ადამიანი, მორიდებული სახელი ვერდიეკ არვის დაუძახნია მისთვის.

— „ვერდიე ლაჩანდარა—სამოწყალო“— ასე ამკობდნ ბუშს. იგიც მტკიცედ შეეთვისა ზედმეტ სახელებს და იმთავითვე ცხოვრების ფსკერზე მოექცა. ისე უყურებდნ, როგორც მოზვერს, რომელიც ხეალ კარგი ხარი უნდა გამხდარიყო, მაგრამ გაზრდას არ დაუცადეს და ადრე დაადგეს უღელი. როცა ბავშვს ძალა უმტყუნებდა, დაჰკრავდნ, წაიქცეოდა, ისეე მზად იყო ჯოხი. დაილაპარაკებდა, — ვაი უბედურს. უდიერმა შრომამ უდროოდ მოამწყფა, მკლავის ძარღვები დაუმავრდა. თორმეტი წლის ბიჭი ვაკეკაცის საქმეს აკეთებდა, აღმზრდელთა კარ-მიდამოს აყვავებდა, მაგრამ.. მაგრამ „უკანონო მშობლები“ ამით როდი დაკმაყოფილდნ, „შეილობილი“ მოჯამაგირედ გაუშვეს. ვერდია ხან მიწის მუშა იყო, ხან მეწისქვილე... ერთი სოფლიდან მეორე სოფელში გადადიოდა. ახალი მზრანებელის თითის გაქანებაზე მიმინოს დასაქერ ლაქო-ჩიტივით ხტოდა, დილიდან საღამომდე სხვის ყანაში ტრიალებდა... აბა, ერთი ხელი დაეკრა ვინმეს... უდემამოსმაგვარი თოხი ორმა არ იცოდა სოფელში, მაგრამ იმ ნაშრომიდან ვერდიას არაფერი ერგებოდა: „აღმზრდელები“ ჰყავდა მოვალედ. „შეილობილის“ ხელფასი მათ მიჰქონდათ.

ვერდიას არც დედა ახსოვდა, არც მამა. მისთვის უცხო იყო მშობლიური სიყვარული, ხოლო „ბუშის“ და უთვისტომოს ამხანაგობას აბა ვინ იფიქრებდა? გაჩნდა ადამიანი და იმთავითვე დაიკარგა. ვერდიას სახეზე ვერაეინ დანიხავდა ღმილს.

ცხოვრება არაფრად მიიჩნდა, სიტყვას ლულულთ ამბობდა, მაგრამ ცხოვრების მიერ დამუხრებელი მაშინ ამოიღებდა ხმას, როცა „ზარმაცსა და სამოწყალოს“ დაუძახებდენ.

— მადლისათვის ვაქმევთ, თვარა... ამბობდენ მის შესახებ. წუნს სდებდენ, შრომას არ უფასებდენ. დამცირებული, ყველას მიერ გამასწავლებლო ბიჭი დაბადების დღეს იწყებოდა.

— რეიზა, რეიზა ვარ სამადლო? დღითა და ღამით ვმუშაობ, მოსქენება არ მაქ და მაინც სამადლოდ სარჩენი ვარ?! მაინც მთხოვარი ვარ... რეიზა. რეიზა ასე?... აღარაა სამართალი?

მაგრამ სახეარეული მოჯამაგირე შეხედავდა თუ არა დამქირავებელს, როგორღაც მოეშვებოდა, განაგრძობდა მუშაობას და მის გულში სიცივე და შიში ისადგურებდა.


ყვრდია სოფლელების გარეშე იდგა; მეზობლები არ სთვლიდენ კაცად... ქურდობასაც აბრალებდენ. ან რა მოსახსენებელი იყო თავის სოფელს მოშორებული ბიჭი... იგი ჩაბეულ-ჩაწევილი, გარეწარივით დახეტებოდა. არ აფიქრებდა ცხოვრების შეცვლა. ყველაფერი დაკანონებულად მიიჩნდა, მაგრამ ბოლოს რაღაც შეიცვალა და იგი ცვლილება მოჯამაგირის ცხოვრებაშიც შეიტყრა. ვერდიას კანტი-კუტად ესმოდა რევოლუცია... ომი... მენშევიკებს არაფერი შეუცვლია მოჯამაგირის ცხოვრებაში, გარდა იმისა, რომ ერობის თავჯდომარემ ვინმე სილოვან ლომინაძემ მოჯამაგირედ დაიყენა. დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამბობდენ: „ლარიბებმა გაიმარჯვესო“, მაგრამ მენშევიკების მიერ დამონებული მოჯამაგირე მეზობლებს განზე გაუდგა, უღარდელად შეხვდა საბჭოთა ხელისუფლებას და მყარებას, უიმედოდ ჩაიქნია ხელი, რევოლუციის მატარებელს გზა დაუტალა და ვინ იცის სანამ იგლიდა დიასამიძე ასე, რომ... რომ განახლებულ ცხოვრებას თვითონვე არ ეგრძნობინებინა თავისი თვით.

კუდი ზამთარი დადგა... მინდვრებზე თოვლის ზენიები აღიმართა. მაგარამა ყინვებმა თეთრი ლურსმნებით დასჭედა გარემო. ვაჟირდა ცხოვრება. ნაყადმყოფარი ვერდია დააფიქრა მკაცრმა ზამთარმა. დიდხანს იხეტიალა და ბოლოს ყოფილ ერობის თავჯდომარეს მიადგა და წისქვილში მინდის ამღებდ და მაცივნიო, სთხოვა.

ლომინაძე დაჩეული იყო სხვისი შრომით ცხოვრებას. მუშაობა ეზარებოდა. მისი საქმე ვაჭრობა იყო, მაგრამ ახლა სოფლელებს ასი თვალი ჰქონდათ და ასე ყური... სხვისი შრომის მექთად გამოყენების ნებაც აღარ იყო. მომრავლდა კოლექტივები, კულაკებს შეუტყის. ლომინაძე ზღარბივით იმალებოდა თავისვე ქერქში, ამიტომ ყოფილი მოჯამაგირე ცივი უარით გაისტუმრა:

— გესმის? ნებას არ გვაძლევენ, შეილო... იგი კი არა, თვითონ ზენ გვიბრდებიან მოსპობას... ლარიბი კაცის საქმე კომუნისტებმა დალუპეს... რა ვქნა, მე-ცოლები, მარა.

ლომინაძის სიტყვები გესლით იყო სავესე. ვერდია ძალიან დაფიქრა ამან. თვითონაც გრძნობდა რაღაც ცვლილებას. სილოვანს კარგად ჰყავდა შესწავლილი ვერდია, ამიტომ ნულა შეაპარა... შავი დროშა ვაშალა. ახალი წყობილება ხან აქო, ხან აგინა. დაახნია კაცი და ბოლოს „სამადლო“ საქმე გააკეთა...



— რა ექნა.. მეცოდები, თვარა.. მაგის თავი ვილას აქ... მოდი, დღიურად იმუშავე... საკმელს მუქთად გაქმევე, ჩემო ბიძია... პატარა გროშებსაც მოგცემ... მეტი რაღა გინდა?.. მარა გახსოვდეს.. არსად არ წამოგვდეს აგი...

მოჯამაგირე გააკვირვა ლომინაძის სიტყვებმა, რაღაც გაიზარა, არ ჩაუკვირდა, ხელი ჩაიქნია, მუშაობას შეუდგა, მაგრამ გაკვირვება თანდათან ღრმავდებოდა.

სოფლის ცხოვრება შეიცვალა. ვახშირდა კრებები. იქ, სადაც წინათ მგლეზი დაძრწოდენ, ახლა ჩაისა და მანდარინის პლანტაციები გაშენდა. მოლონიერდენ ლარიბები. ვერდიამ ირგვლივ მიმოიხედა. ერთ დღეს იგი მოჯამაგირეთა კრებაზე გამოიძახეს თემში. ვერდია გაურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა. დაიწყო ფიქრი:

— წავიდე?.. არ წავიდე?—ხელი ჩაიქნია — არა, რა ეშმაკი მინდა... ჩემს საქმეს კრება კი არა, ვერაფერი ვერ გაასწორებს...

მეორე დღეს სილოვან ლომინაძემ ვერდია დაითხოვა, წისქვილი ჩამომართვესო, უთხრა და დისამიძე უმუშევარი დარჩა, დაიწყო ხეტიალი...

— ბიჭო, ვერდია.. გამარჯობა შენი!..

ვერდია ბაზრობას ესწრებოდა. ნაცნობი რომ დაინახა, გზა აუხვია, მაგრამ წითელი მთის პარტორგანიზატორმა იმნა სეფერთელაძემ გზა გადაუღობა... დააკვირდა გაოცდა. ოცდახუთი წლის ვაჟაკი ძონძებში იყო გახვეული, ჩიტების საფრთხიზელას ჰგავდა: გამხდარი სახე... მალალი ცხვირი... მუშტის ოდენა თვალები.

ვერდია კუშტად შეხვდა ნაცნობს, ხელი ჰკრა, მაგრამ სეფერთელაძე უფრო მტკიცე გამოდგა. სახელოში ხელი ჩაავლო. გააჩერა. რაკი გზააბნეული კაცი ნახა და იგივე თავისი ნაცნობი, აღარ მოეშვა.

ბაზრობა დღე იყო. ქუჩები გაქვდილი იყო ხალხით.

სეფერთელაძემ ვერდია სასადილოში შეიპატიჟა. დისამიძე გაკვირვებული დარჩა. იგი პირველად ხედავდა ადამიანს, რომელიც გულებილად და ამხანაგურად ეკიდებოდა, მასთან სადილობდა და რაღაც ახალს ურჩევდა.

იმნა სეფერთელაძე ორი თუ სამი წლის წინ ისეთივე მოჯამაგირე იყო, როგორც ვერდია. უწინ, პატარა რომ იყვნენ, ხშირად ხედებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მალე დაშორდნენ და აი დღეს ისევ შეხედნენ.

ვერდიას ყურადღება მთლიანად მიიპყრო სიყრმის მეგობარმა. სეფერთელაძე მოხდენილად ლაპარაკობდა. იცინოდა. მხიარულად ისადილეს. ბოლოს კომუჯრედის მდივანმა კოლექტივის ირგვლივ დაიწყო საუბარი. ვერდია დაკვირვებით უსმენდა:

— კაცო, მე შენ კოლმეურნე მეგონე... რა გინდა, ძმავე, მოჯამაგირედ... დაბრმავდი თუ? მე ახლა საბჭოში მიქჩარება... ხვალ კოლექტივის კანტორაში მოდი...

— სად მოვიდე? — გაიკვირვა ვერდიამ...

— ბიჭოს... კოლექტივის კანტორა აღარ იცი?

— ვიცი...

— ხო და... ხვალ მოდი. ხომ გეუტრება!!!

— რამდენხანს გინდა სხვისთვის იმუშაო. შენსავით ბარი და ბოხი მეორემ არ იცის... შენ კი... მათხოვარივით დაიარები. აბა გაიხედე, თუ ვინმეს აცვია ისე, როგორც შენ?

მოჯამაგირემ ხალხს ვახედა. ქოჩორი შეისწორა, ჩაახველა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— რადგან შენ მელაპარაკები... მოვალ... სამუშაო მიშინე, იმნა... ხომ იცი, ჩემისთანა საწყალი კაცი მუწახობიზაა გაჩენილი...

ისინი ერთმანეთს დაშორდნ.

3

ვაგიდა ერთი წელი. ვერდია კოლექტივში შევიდა. ბევრი რამე შეიცვალა და დისამიძის ცხოვრებას სხვა ქარმა დაჰქროლა.

ზაფხულის საღამოა. კოლექტივ „წიოელი მთის“ კანტორაში კრება მოწვეული, რაიონიდან ინსტრუქტორს ელიან. კანტორის წინ ხალხი მიმოდის. ოთახი გაქედლია კოლმეურნეებით. მონაგარიშე ქალი მეფარიშვილი შრომა-დღეებს აჯამებს და წიგნაკებში გადააქვს.

პირსავსე მთვარე საყორნის მწვერვალს აშორდა... მოვიდა რაიონიდან მომავრებული კაცი და საანგარიშო მაგიდას მიუჯდა.

კოლექტივის წევრები დიდი ინტერესით მოელოდნ კრების გახსნას. დაწვრილებით იციოდნ მომავრებული ამხანაგის ამოსვლის მიზანი. შენობის წინ დიდი პლაკატი იყო გაკრული, რომელზედაც წითელი ასოებით ეწერა: „ხეალ რაიონში ტარდება დამკვერლ კოლმეურნეთა პირველი თათბირი... ყურადღება, ამხანაგებო!. თათბირზე დასწრება შეუძლია მას, ვინც სანიმუშოა თავისი მოქმედებით“.

— ორას სამოცი... ორას სამოციდა ხუთი...

აბრეშუმის ქსოვილივით შრიალბენ ქალაღლები. ოთახს მკრთალდ ანათებს ლამპის სუსტი სინათლე. ტევა არ არის. კიდეე მოღიან.

ვერდია კუთხეში ზის: სამფეხა სკამი მოუნახავს, თავზე ხელები შემოუდგამს და არის ასე... გულდასმით ათვალეერებს ყველაფერს, მაგრამ ხმას არ იღებს. რაიონი დამკვერელთა თათბირს აწყობს.

— მე მიჩნე არ გამიმზევენ, — ფიქრობს ვერდია დისაშიძე გულგატეხით და ნაცრობებს ათვალეერებს. ფიქრობს იმის შესახებ, თუ ვის ვაუშვებენ.

ფი სულთად არის ჩაცმული. გარეგნული სილაშაზით ბევრს სჯობნის, მაგრამ მინც უხერხულად გრძნობს თავს... რალაც აკლია...

ხანდახან მის წინ დაუღეგარი ციციონ ჩამოივლის. დისაშიძის თვალბი ნაკვერჩხლებივით აენტებან, მაგრამ იმ წუთიერ „რალაც სხვაფერს“ ხელის ჩაქნევით მოიშორებს. ახალგაზრდა ქალი კი როდი შორდება, ხან აგერ მწყეროვით ჩამოგოგმანდება, ხან კედლის გახეთთან მერცხალივით მიფრინდება. იციონის და ნამოჯამაგირალს თვალს არ აშორებს... ახალგაზრდა კოლმეურნეს აღზნებით მიჩრდება და ოთხიოდ თვის წინ დანთებულ ცეცხლს თანდათან აღვივებს, ვაჟს თვალბით უღიმის... გულსა და სულში უძერება. საესე გულმკერდს მოცეკვავე ქალივით არხებს და ერთხელ კიდეე აგონებს „რალაც სხვაფერს“.

— ეჭ, რას იცინი, გოგო... რას მაწვალებ... ვი, რა ვუთხრა ჩემს ბედს, სანთელივით რომ დავდნე, მამაშენი მაინც არ მაღირსებს შენს თავს... — ფიქრობს ვერდია.

ვინ იყო იგი? ბოვანო, უსახლკარო. ყველას მიერ გამასწავლებელი. აგინებდნენ... ზარმაც ეძახდნენ და მაინც ამუშავებდნენ, მაგრამ ერთხელ ყველაფერი შეიცვალა. ვერდია ცხოვრების შესწორებას როდია მოქცეული. დღეს იგი კოლმეორნეა, მოწინავეთა რიგებში დგას, მუშაობის ყაირათი იცის, ხელმარდია, წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ დახეთ... იმდენი მოუხერხეს, რომ წერაც შეასწავლეს და კითხვაც. ორი თვის წინ პარტიაში მიღების შესახებ განცხადება თვითონ მან დასწერა.

თვე ისე გავიდოდა პირს ერთხელ არ დაიბანდა. დღეს სუფთად დადის. წვერს იპარსავს. კრებებს ესწრება, კაცთა რიცხვში ურევია, მაგრამ ხუთმეტრიოდე წლის მანძილზე „სამოწყალოდ“ მიჩნეულს მაინც ეშინია რაღაც ამოუცნობის, რაც საკუთარი თავის რწმენას უკარგავს.

განა მის არ „სწავას“ ციცინოს შავი თვალები? მაგრამ გრძნობების გამოთქმას ვერ ბედავს, ნაქურდალივით მალავს, ციცინო კი მის წინ მწყერივით დაგოგმანობს, სავსე სხეულს მოხდენილად დაარხევს, ვაჟს შორიდან უღიმის, გაბეღნიერებას ჰპირდება, მაგრამ ვერდია ციცინოს იქით პირგამეხებულ თაღობს ნაკაიძეს ხედავს. სღუშს. ეშინია...

ერთი წლის წინ ვერდია კოლექტივის წვერად დაამტკიცეს. სახლი არ ჰქონდა. კოლექტივში შესვლამდე იქ ათევედა ღამეს, სადაც მოუხდებოდა. ზამთრო. ბით რომელიმე შეძლებულის ახორში ეძინა ქათმებთან. შევიდა კოლექტივში. დაიწყო მუშაობა. არ მოელოდა, მაგრამ ბევრი რამ შეიცვალა. ცოტა ხნით იმნა სეფერეთელაძის ოჯახს შეაფარა თავი.

კოლმურნეობა ჩაის პლანტაციებისათვის ახალ ფართობს ამუშავებდა. ვერდიას საქმე წაღმა დატრიალდა. მიწის ბარვით სახელი გაითქვა. შრომა-დღეები გამოიმუშავა და მეზობლებმაც ყურადღება მიაქციეს. კოლექტივის თავმჯდომარემ სახლის დადგმა ურჩია. ვერდია თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვა; ცისა და მიწის შეერთებას უფრო იფიქრებდა, ვიდრე საკუთარი სახლის აგებას. დატრიალდა. შრომა-დღეების მიხედვით ავანსი მიიღო. საერთო ტყიდან საშენი მასალა გამოიტანა და მალე პატარა სახლი დადგა.

ერთხელ ვერდია ჩაის პლანტაციის მარგლიდა. გამალეებით მუშაობდა. კომკავშირის კრებიდან დაბრუნებულმა ციცინომ გამოიარა. ვაკვირვებით დააცქერდა ახალგაზრდა ვაჟს. „მამაჩემი რომ ბუშს უძახის ავია ხომ?“ — გაიფიქრა ქალმა. ვერდიას არც ხალათი ეცვა და არც პერანგი. ქალი დაიბნა. იგი პირველად ხედავდა მამაკაცის განიერ გულმკერდს. შერცხვა ქალს. უკან გადადგა ნაბიჯი, მაგრამ შეჩერდა. სახეზე გამმედავი ღიმილი აუთამაშდა. ნელა დაიხარა, ქვა აიღო, წინ გადაისროლა და კისკისით ბუჩქებს მიეფარა.

ახალგაზრდა კაცს კენჭი მკერდზე მოხვდა, მუშაობას თავი გაანება. ქალის სიცილი რომ გაიგონა, ჯერ გაიკვირვა, მაგრამ მეზობლის სახლის წინ რომ გოგონას მოჰკრა თვალი, სიხარულმა აიტანა. რამდენიმე წუთს გაოცებული იდგა, მერე თოხს დაუბრუნდა და მთვარის ჩასვლამდე არ გაუშვია ხელი. მუშაობდა და თან მეზობლის ქალის სიცილს უსიტყვიოდ ეალერსებოდა:

ეს იყო პირველი შემთხვევა, მაგრამ პირველს მეორე მოჰყვა. ერთხელ როცა ვერდიას სამუშაოდ დაბრუნდა, ეზო დავეილი დაუხვდა. გაუკვირდა. ვის უნდა დაეწინადა ვიღაც ახალ დასახლებულის კარ-მიღამო?

უეცრად ეზო ახალგაზრდა ქალის სიცილ-კისკისმა გააღვიძა. ციციწო გასროლილ ისარვიით მოწყდა ახალი მეზობლის სახლს და ეზო გადაირბინა, მაგრამ ბინას რომ მიუახლოვდა, წინ მამა გადაუღობა, გათამამებული გოგონა სახლში შეითრია და კარები ჩაიკეტა. ვერდიას ვაშრა, გაფითრდა. დიდხანს იღვანობდა მან მეზობლის სახლს თვალს არ აშორებდა:

— რას იქოტებო, შე კაცის გლახავ, ჩემს ეზოში?— დაუყვირა ვიღაცამ ლობტსთან ნდგარ ნამოჯამაგირალს და დიასამიძის წინ სახეგამეხებელი თადანოზ ნაკაიძე აღიმართა:— რავე გგონია, შე ბუშო, კოლექტივში რომ მიგიღეს ქვეყანა შენია თუ? მეორეხელ არ დაგინახო ჩემი სახლისაკენ გამახედდული, თვარა...

— უკაცრავად, ბატონო,— ცეცხლში ჩაგდებულ ფოლადივით დარბილდა ნამოჯამაგირალი. ხოლო ამის შემდეგ ორი მშვენიერი მოგონება დაჩა მას. როცა ციციწის შეხედებოდა, თადაოზს წარმოიდგენდა და „სხვაგვარ რაცხას“ ხელის ჩაქნევით მოიშორებდა ისე, როგორც ამ საღამოს...

ლაშა ოთახის კედლებს ფორთოხალისფერად ანათებს. კედლებზე ერთმანეთში ირევა ადამიანთა ჩრდილები. კოლმეურნეებში შთანგარიშის მაგიდას არ აშორებენ თვალს. ხეში გადაცვილი კენჭებივით ჩხრიალებს საანგარიშოს ქვები. „220“ „235“. ნელა შრიალებს ქალაღი... და აი ყველაფერი მიწყნარდა. დასრულდა მუშაობა. სწრაფად წამოდგა მონაგარიშე. იქ მყოფთ გადახედა. სწორია... სამჯერ შევამოწყმე— განაცხადა მან და ბნელ კუთხეს დააქვერდა... დიასამიძე აირია. წამოდგა. ყველა მისკენ იხედება: დიდი... პატარა. რაღაცას ლაშა-რაკობენ.

— ძან გამომუშავება!— ვერდიას იმნა სეფერთელაქე ეძებს. კუთხეში ნახა.

— სად მიმალულხარ, კაცო... აქეთ გამოდი. დაგვენახე... რავე გასათხოვარ ქალივით იმალები. — სიცილნარევი გულისმოსვლით მიაძახა კომუჯრედის მდივანმა ამხანავს და ხელის კვრით წინ გამოიყვანა— შე ოჯახაშენებულო, ქვეყნისღონი შენ გიმუშავენია და იმალები?! 270 შრომა-ღლით წადგები ხვალ დამკერვლთა თათბირზე და მეტი რა გინდა?

— კაშა, ვერდიას!.. შენ ხარ ბიჭო აგი?! — დიასამიძის წინ სწრაფად აირია ნაცნობთა სახეები. კოლექტივის თამჯდომარე ინწყირველი მეტად გახარებული იყო. რაიინსტრუქტორი დაკვირვებით ათვალეირებდა ახოვან ახალგაზრდას. მეზობლები აქებდნენ. ნამდვილად მოულოდნელი რაღაც მოხდა. შეუმჩნეველი დიასამიძე შესამჩნევი შეიქმნა. იგი თითქოს ამელამ დიდიბადა, გაიზარდა და დაუაქცადა. ვერდიას ქანდაკებასავით იღვა. გარეგნულად არაფერი ემჩნეოდა. გულში კი უეცარი სიხარული გალიიდან განთავისუფლებულ ჩიტივით უფართქალბდა.

ვერდია დიასამიძე ილაშქრებდა კრებამ ერთხმად აირჩია დამკვერთ
კოლმეურნეთა თათბირის დღეგატად... ხოლო როცა თადაოზ ნაკაიძემ კრე-
ბიდან დაბრუნებულ ციციოსგან გაიგო ეს ამბავი, წვერი შეიჯიჯგნა და ჩაი-
ლაპარაკა..

— მარჯვე ბიჭია მამი ბუში.. მარა მე მინც მძულს.

ციციონ ცეკობდა, მადიანად შეექცეოდა დავიანებულ ვახშამს, ეხას არ
ასვენებდა და ხმამაღლა იცინოდა.

4

საბარგო ავტომობილი №144 კოლექტივის კანტორასთან გაჩერდა. აღრე
იყო. სოფელი ილიძებდა. ზოგი აღრე მოვიდა. წითელმთიელები აქ პირველად
ხედავდნენ ავტომობილს. ათვალისებრდნენ. ნიდაგი მშრალი იყო. მანქანა ძიგ-
ძიგებდა. შეშინებული ძაღლები განუწყვეტლივ ყეფდნენ.

ქალაში რძისფერი ნისლი იდგა. ტოლების მწვერვალზე თალივით დაშვე-
ბული ცა გაბურბულ ლითონივით ელვარებდა. მზე ჯერ კიდევ არ ამოსულა იყო,
რომ თათბირზე მიმავალი ფეხზე იდგნენ და პირველი შეკრების წითელმთო-
ელი დღეგატები წასასვლელად ემზადებოდნენ. ავტომობილი რაიონიდან ამო-
უვიდათ. რვა კაცი მიდიოდა და ექვსი ქალი (მათშორის ციციონც). წამსვლე-
ლები ჯერ კიდევ არ იყვნენ მოსულნი. შოფერი ყველას აჩქარებდა, ხოლო
ბესარიონ მელიქაძე, ზეტ სახელად „მეზარე“, ხშირად რეკდა ზარს.

კოლექტივის თავმჯდომარე დილით ბრიგადებში დადიოდა და მოგვი-
ანებით მოვიდა. ავტომობილი დაათვალიერა, ფრთხილად გამოიტანა გარდა-
მავალი დროშა და კომკავშირის მდივანს გადასცა.

გარდამავალ დროშას წითელმთიელები „ჩვენს სიამაყეს“ ეძახდნენ. იგი
შეჯიბრის შემოწმების შედეგად მიიღეს მოსაზღვრე კოლმეურნეობიდან.

კომკავშირის მდივანმა დროშა ავტომობილის წინ დაამაგრა.

მზე ამოვიდა. ქალაში შემოპარული ნისლი ვარდივით გაწითლდა. შოფერი
ძირს ჩამოვიდა. ხელები გაიწმინდა და განაცხადა:

— ამხანაგებო, იჩქარეთ, გვაგვიანდება.

მივიდა, მანქანა აახმაურა. ტოლების მთებს მზე თოხის ტარის სიმალღებზე
ასცილდა. იქ მყოფთ აჩქარება დაეტყო. საშხადისი დამთავრდა. ავტომობილი
წამსვლელებით დაიტვირთა.

— გაკლიათ ვინმე?—იკითხა შოფერმა. თავჯდომარემ იქ მყოფთ გადახედ^ა
და გაიკვირვა: დიასამიძე იქ არ იყო..

— სად არის ნეტა ამდენხანს?—იკითხა უსიამოვნოდ.

— მოდიოდა—უბასუხა ვილაკამ.

მარა გზაზე ორღობეს იპოვა ჯერ ქალი გამოჩნდა, მერე კაცი. ციციონ
სწრაფად მოდიოდა, რალაც პლაკატი დაეწერა და ორივე ხელით მოჭქონდა.
ციციონს გვერდით სუფთად გაპარსული ვერდია მძიმედ სძრავდა ნაბიჯებს.
ბევრი დაინტერესა ამ შემთხვევამ. რალაც ახალი შენიშნეს. ერთმანეთს თვალი
უყვეს, ხმა კი არავის ამოუღია. პლაკატზე წითელ-ყვითელი ფერებით ეწერა
„გუმარჯის დამკვერთა შეკრებას“. ქალმა პლაკატი კომკავშირის მდივანს

გადასცა და ვერდიას გადახედა. დიასამიძეს ველარ სცნობდნენ მეზობლები. მაუ-
ლის შავი ხალათი ეცვა. განიერი შარვლის ტოტები მაღალყლიან ჩექმებში
ჰქონდა ჩაკრული. თავზე წმინდა აბრეშუმის თოვლივით თეთრი ჩაბალახი ეხურა.
ჩქარა მივიდა მეზობლებთან, ნაცნობებს თავაზიანად მიესალმა. გვიანდებოდა.
ავტომობილზე თავისი ადგილი დაიჭირა და ციციოს მიეშველა. ცელქი ქალი
სწრაფად შედგა ავტომობილის თვალზე, მგრცხალივით აფრინდა ხევით, ვერდიას
გვერდით გაუჩერდა და იქ მყოფთა გულში იქვის ჩიტა ერთხელ კიდვე ააფრინა.

შოფერმა მანქანა აამუშავა. ბავშვები ბელურებივით აჟივცივდნენ. ავტომო-
ბილი შეტორტმანდა და მგზავრებიც დაარხია. ქალის სავესტ გულშეკრძი სულ
ახლის მიეჭრა ვაჟის მკერდს. ნამოჯამაგირალს თითქოს ცეცხლის ალი მოედვა,
მაგრამ არ შეიშინა.

ავტომობილი ზუზუნით გაექანა ოზურგეთ-ჩოხატაურის სამხედრო გზაზე.
დასავლეთის ქარი ქროდა და შემოდგომის ცა იასამანის ფერი ღრუბლებით
იბურვებოდა. ივლიანა აქლემამ სიმღერა დაიწყო. ავტომობილზე მძღავრად აჯარ-
და ხმამაღალი ბანი. ვილაცამ დოღს შემოჰკრა. მამაკაცებს მორცხვად აყენენ ქა-
ლები. შოფერმა მანქანა მიუშვა.

ავტომობილი ალვისხეებს შორის მიჰქროდა. მალე წითელმთიელებს მზია-
ნელების ავტომობილი დაეწია. შოფერი შოფერს შეეჯობრა. გზაზე მტერის კო-
რიანტელი ავარდა და ფარშეიანგის კუდივით გაიშალა, როცა მტვერი გაიფან-
ტა, რამდენიმე ავტომობილი გამოჩნდა, რომელთა ხემოთ ანთებულ ჩირაღდენ-
ბივით ირხეოდა დროშები.

გამოჩნდა ქალაქი მახარაძე, რომელიც სათანადოდ მორთული შეხვდა დამ-
კვრელ კოლმეურნეების ჩამოსვლას. ვერდია გაოცებით ათვალთვრებდა ყველა-
ფერს. განსაკუთრებით ახალგაზრდული შენობებისა და ავტომობილების სიმრავლე
აკვირვებდა.

ქალაქში შესვლისას შოფერებმა მაგარი ხმით ააყვირეს მანქანები და მეტი
სისწრაფით გააქანეს წინ. ქალაქ მახარაძის მცხოვრებლები ფეხზე დააყენა დამ-
კვრელ კოლმეურნეთა ჩამოსვლამ. ქუჩები ხალხით გაიჭედა. მგზავრებმა გზა
უტიეს. წვეტილებმა ეტლები შეაჩერეს. ავტომობილებმა ქალაქის შუანაწილზე
გადაიქროლეს და დატოვეს ქალაქი.

5

რაიონის მართველობას დამკვრელ კოლმეურნეთა შესაკრები ადგილი ქა-
ლაქის გარეთ გამოუნახავს. შეკრება მოსავლის აღების წინ ტარდება და ადგილ-
მდებარეობაც საამისოდ არის განსაზღვრული: მწიფე ოქროსფერდაკრული სი-
მინდის ყანები ზღვასავით ხმაურობს. სათიბეებს ყვითელ ხავერდით აბიზინებს
ქარი და ირგვლივ შემოდგომის სუნი ტრიალებს.

მერი-ნიაბაურის კოლმეურნეები დილადანვე თავგამოდებით რთავენ შესაკ-
რებ მოედანს. რაიკომის მთელი შენადგენლობა იქ არის. აგროტექნიკები გაიო-
ფენის კუთხეს აწყობენ. აი განსაკუთრებული სიმაღლის ჩაის ბუჩქი. აგერ ახალ
აყვავებული ლიმონის ხე, რომლის ტოტებზე ყვავილებთან ერთად მწიფე ნაყოფი
ქარვასავით ელავს. აი იქ თავფლის მცენარე, შემწიფებული ხურმა, საოცარი

სიდიდის კვები, სამტაროიანი სიმინდი, ღომი, მსხვილმარკლოვანი“ სოფ. მრავალწლოვანებს ერთწლოვანები სცვლიან. ციტრუსებს კიდევ შემინდვრობა ეჯიბრება. თითოეულ განყოფილებას თითო აგრონომი ჰყავს მიმაგრებული, რომელიც სათანადო ასნაგანმარტებას მისცემს კოლმეურნეებს.

მოედან, იქით სიმინდის, სოიას და ღომის ყანები იწყება, ხოლო ჩაის ბუჩქებით აჭრელებული გორაკები ჯაჭვებით გადაბნია ერთმანეთს და ვერცხლისფერად ბრწყინვალე შავი ზღვის ნაპირებამდე აღწევს.

დამკერტ კოლმეურნეთა პირველი შეკრება ხალხური სიმღერები გაიხსნა. ვრცელ მინდორზე ტევა აღარ იყო.

წითელმთიელები ქაღრის ქვეშ იდგნენ: დროშა „ჩვენი სიამაყე“ ასწოვან ხის ტოტზე მიემარჯვებოდა. ვერდია გაცეხილი შეყურებდა ამდენ ხალხს, წითელ დროშებსა და ასე ლამაზად მორთულ მოედანს. მხნედ დადიოდა, თითქოს თავისი თავი დღეს იცნო.

თორმეტი საათი შესრულდა. შეკრების ხელმძღვანელმა თავის ადგილი დაიქირა. შესავალი სიტყვა რაიკომის მდივანს მიეცა. ვერდია სულგანაბული უსმენდა. ამ კაცის სიტყვები გულში ეკრებოდა.

ვერდიამ წინ წაიწია. ძალიან სურდა დახლოებოდა კაცს, რომელსაც ასე უსმენდა ამდენი ადამიანი. ფეხის თითებზე შესდგა და ის, რაც ერთი საათის წინ გადახდა, ერთხელ კიდევ მოიგონა.

როცა წითელმთიელი კოლმეურნეები სოფლიდან ჩამოვიდნენ, შემთხვევით ვერდია თავისიანებს ჩამოზორდა. ექსპონატებს ათვალავებდა. უეცრად ვიღაცამ შეაჩერა. გაუცინა. ხელი ჩამოართვა.

— კაცო, რამდენხანს გეძებ, იცი?.. თქვენ წითელიმთიდან ხართ ხომ? ძალიან კარგი... თავმჯდომარე სადაა ხომ არ იცით?.. არა?... კარგი... ცოტა საქმე გვაქვს. წამობრძანდით ჩემთან.

უცნობი წინ წავიდა. გაკვირებული ვერდია ფეხაკრებით გაჰყვა. კოლექტივის თავმჯდომარე იქვე შეხვდათ. ციცილოც იქ იყო. ექსპონატების კუთხეს გვერდით ჩაუარეს და წითლად გადაფენილ მაგიდასთან მივიდნენ. იქ პატარა კაცი იჯდა და გაფაციკებით მუშაობდა. ეს იყო რაიკომის მდივანი.

— როგორ არის წითელმთიელებო საქმე? დაბრძანდით. ინსტრუქტორმა ყველაფერი მიახმო — მხიარული ხმით დაიწყო მდივანმა, ვერდიას დაცქერდა და ჰკითხა: — დისამიძე თქვენა ხართ? ძალიან სასიამოვნოა. შენ, ჩემო ძმაო, ყველა-სათვის გიჯობნია ჩვენს რაიონში. 270 დღე ჯერ არაფისა აქვს გამოიყუთებოდა. რა თქმა უნდა, მოწინააღმდეგე არიან, მაგრამ შენამდე არცერთი არაა მოსული — შეჩერდა, დაფიქრდა და განაგრძო: — ჩვენ გენდა გავიგოთ როგორ ცხოვრობ, როგორია შენი პირობები. ყოფილი მოჯამაგირე ხარ... სანიტარესოა, გაუჭო-ბესდა თუ არა შენი ცხოვრების პირობები. ესეიგი სიტყვა უნდა თქვა. ხომ არ გაგიჭირდება?

ვერდია გააკვივრა მოულოდნელმა წინადადებამ. როგორ, კაცმა, რომელსაც პირველად უხდება ამდენ ხალხში გამოსვლა, სიტყვა თქვას? თავისი ახრები საზოგადოებას გაუზიაროს?! რა იცის მან?! მაგრამ ციცილოც რომ არ ისვენებს!.. კომკავშირელია, თოფის ტუჩი რომ მიუშვირო, უკან როდი დაიხეხს. გამბედავია.

წინ წადგა და ნამოჯამაგირალის ნაცვლად რაიკომის მდივანს თვითონ გასცა პასუხი:

— იტყვის, რავე არ იტყვის. რომ არ თქვას, სოფელში ვერ წამოვა.

რაიკომის მდივანმა ქალს გადახედა და ჩაეკინა, ციციონ ბრეწოულის ყვა-ვილივით გაწიოლდა. შეზობლებმა ერთმანეთს თვალი უყვეს, ხოლო დიასამიძემ ვაჟუბდავი გაბედა:

— ვიტყვი, რავე არ ვიტყვი — შიშმე ლოდებოვით დასძრა სიტყვები ვერა-ლიამ და კრილობის მდივანს თავისი სახელი და გვარი ჩააწერინა.

ეს მოხდა ერთი საათის წინ. მერე ბევრი რამ შეიცვალა. გამოვიდნენ, ილაპარაკეს. იმედითა და სიხარულით საესე იყო მათი სიტყვები. ვარკვევით აღნიშნავენ: თუ როგორ ცხოვრობენ, როგორ მუშაობენ, რა იყო წინათ და რა არის დღეს.

დიასამიძე მოცოკხლდა. სალაპარაკო პპოვა, არც ისე ძნელი ესეენა სიტყ-ყვის თქმა.

მოშვადლევდა. მშემ ღრუბლების ტანისამოსი შემოიხხა. ტრიბუნდიან ვილაც შეაწვერულვაშიანი კაცი ლაპარაკობდა, მაგრამ მალე იგი ქვედა ბაღლოვმა კოლმურნემ აგია თენიეშილმა შესცვალა. ვერდიას ბევრი რამ ჰქონდა გაგო-ნილი ამ ღრმა მოხუცი ადამიანის შესახებ. დაინტერესდა. უფრო წინ წადგა.

მოხუცი ძლივსძლივით შედგა ტრიბუნასზე. თოვლივით თეთრი წვერი მარაოსავით ეფინა განიერ გულმკერდზე. ტუჩები უთრთოდა. თენიეშილის და-ნახებამ ბევრს ყრუანტელი მოგვარა. მთელი საუკუნე ლაპარაკობდა ამ კაცის პირით.

ვერდია ხარბად ათვლიერებდა ყველაფერს. ირავლიე სიჩუმე დამყარდა. მზეს ღრუბელი გადაეფარა და ჩრდილში კიდევ უფრო გათეთრდა მოხუცი, რომელმაც წელი ხმით დაიწყო:

— მუხლებში რომ ღონეს ვერ ვგრძნობდი, სკამზე დამჯდარი ვმუშაობდი, შვი-ლებო. ნუ გაიკვირვებთ. ჩემი ხნის კაცს სიზმარი დაეჯერებდა. მე წელს 196 დღე გამოვიმუშავე... ნუ გაიცინებთ... ნუ იფიქრებთ, რომ მე ვაჭირვება მაიძულებდა... ოთხი არწივივით ბიჭი თავზე მადგას. ამ წელიწადში რომ ხორბალი მივიღეთ, გაისადაც გვეყოფა... არ ვაჭარბებ, სინამდვილეს გელაპარაკებით. რომ დავინა-ხე, ქვეყანა მუშაობდა, მეც ვერ ვავერდი... ძარღვები რომ კანკალეებს; — გულის ცოცხალია. თხოვით რომ ვერ შევძელი, ქალბში გავერიე და ჩაი ვჭირიფე და რმდენი მაინც ვაგაკეთე, რომ აუ ბედნიერი ხალხის ნახვის ღირსი ვავხდი... ბედ-ნიერი ვარ მე, როცა მუშაკაც ასე დაფასებულს ვხედავ. ბიჭებო, ჩამომიყვანეთ, მეტი აღარ შემიძლია. ხალხო, სიკვდილამდე ასე იმუშავეთ ოთხმოცდახუთმეტრი წლის კოლმურნე აგი თენიეშილი...

მოხუცის სიტყვები საერთო ტაშმა დაფარა. ქვედა ბაღლოვები იქვე შეეგებნენ თენიეშილს, მალა ასწიეს და ასე გაატარეს.

ვერდია გაოცებული უყურებდა ამ სურათს. მშრომელ ადამიანს ასე პატივ-ცემულს პირველად ხედავდა. დაჩეკეს ზარი. ხალხი მიწუნარდა: ფერადი ყვაი-ლებით მორათული ტრიბუნა ახლა სხვას მოელოდა. შეკრების ხელმძღვანელი წინ წამოდგა. დინჯად აღმართა ხელი. სიჩუმე დამყარდა.

— ახლა შენი რიგია, ვერდია. — მოაგონა დიასამიძეს ციციონომ და მხარზე ხელი დაჰკრა.

— ჩემი?.. — დაიბნა იგი. არ მოელოდა.

— ამხანაგებო, სიტყვა ეკუთვნის კოლმეურნეობა „წითელმთას“... ილაპარაკებს ნამოჯამაგირალი ამხანავი ვერდიბეკ დიასამიძე. წინასწარ გაგაცნობთ 'მემდეგს: იანვრიდან დღემდე პირადად მას გამოუმუშავებული აქვს 270 შრომა-დღე... დანარჩენს თვითონ ის გეტყვით.

ვილაცამ ტაში დაუტკა. ვერდიას ნაბიჯები აერია. ზურგს უკან თავისიანები იდგნენ და მისძახოდნენ...

— გადი, ვერდია! თქვი. გვასახელე.

გზა უტრეს. ვერდია პირდაპირ მიდიოდა. განიერი ბეჭები ხალხს მიარღვევდა. ციციონოც თან მიჰყვებოდა. უკან მყოფნი თითის წვერებზე ღებოდენ და სცდილობდენ წინმიძვალა დაენახათ.

— მაგარი ბიჭი კი ჩანს, აი...

— რა განიერი ბეჭები აქვს...

— ისე მიდის, როგორც ქიდაობაში გამარჯვებული.

ვერდია მძიმე ნაბიჯებით ავიდა ტრიბუნაზე. შეჩერდა. ხალხით გაქედლი მოედანს გადაავლო თვალი. ყველა მას უმზურდა. აი. ვილაც კაცი ტრიბუნის წინ დგას და პირდაპირ მისჩერებია. ვერდიამ იცნო იგი, მაგრამ ვერც იცნო. უცნობიკ გაკვირვებით ათვალთვრებს დიასამიძეს. გამალებით აბოლებს ჩიბუხს. რაღაცას იგონებს და ვერ მოუგონებია:

— კაცო, იაგორა, აი სილავანა ლომინაძის ნამოჯამაგირალი ხომ არაა?.. ვერდიბეკაი ბუში არ ვახსოვს?!

— გავს, მარა... ვერდიე ლაჩანდარაი და ამფერი?..

— ვერდიე... ვერდიბეკაი... — აირია ხმები. სხვადასხვა სოფელში ნამყოფ დიასამიძეს ნაცნობები აღმოუჩნდა. ვილაცამ გაუცინა. ერთმა ქული მოუხადა და დაუქნია. ვილაც ქალმა ყვაილები ესროლა. ვილაცამ ტაში დაუტკა. ვერდია პირისპირ დაუდგა ნაცნობებსა და უცნობ ხალხს „ვერდიბეკაი, ლაჩანდარაი და ლენჩი“, რომელიც დღითა და ღამით მუშაობდა და მაინც „სამადლოდ სარჩენი“ იყო, დღეს დამკვრელ კოლმეურნეებს დამშვიდებით უყვებოდა თუ მან, ვერდია დიასამიძემ, როგორ გამოიმუშავა 270 შრომა-დღე, როგორ აიგო სახლი და როგორ ცხოვრობს ახლა.

ვერდია ნელი ხმით ლაპარაკობდა, ორხელ სიტყვაც გაუწყდა, მაგრამ ბოლოს თანდათან აუწია ხმას და გათამამდა. არ ეგონა, თუ ამდენ სალაპარაკოს მონახავდა. თავისთავად წამოვიდა სიტყვების კამარა. დაწვრილებით შეესო საშინელ წარსულს. მერე თუ როგორ შევიდა კოლექტივში, როგორ ცხოვრობს, როგორ მუშაობდა წინათ, როგორ მუშაობს ახლა და რამდენი ფუთი ხორბალი აიღო წელს.

— ამხანაგებო, პირველად დიდ იმედს არ ვამყარებდი კოლექტივზე, არ ვიცოდი. ასე მეგონა, მამუშავებენ და ვერაფერს მივიღებ-მეთქი. მარა დღეს მე მოსახლე კაცი ვარ. სახლი მიდგას და ვცხოვრობ. ვამბობ: მე დაგიბადე შარშან. ჩემი მიზანია — გავხდე სანიმუშო კოლმეურნე, რომ ვიცხოვრო კაცუოად..

დიასამიძის სიტყვები საერთო ტაშმა დაფარა. თქვე სიტყვა და ცეცხლმოკიდებულივით ჩამოიჭრა ტრიბუნიდან:

— ვინ იყო მიი?.. რა კარგად ილაპარაკა. — შენიშნა ვილცამ.

— ვერდიას უყურეთ. ვაშა, ბიჭო!

დიასამიძე ოფელში სცურავდა. ცოტა კი გაუჭირდა, მაგრამ მაინც თქვა ის, რაც იცოდა, დაბლა ჩამოვიდა. მკლავებით გაარღვია ხალხი. მეზობლებს დაეძებდა. წინ წავიდა, მაგრამ ჭადრისკენ ვერ გაატანა. შეჩერდა და როცა გვერდით მიიხებდა, ძალიან გაუყვირა: სახეაწითლებული ციციონ ვევერდით ედგა და ჩუმად იცინოდა.

— ძღვის არ დაგეწიე. რა მიგარბენებს?! ჰოი, ვერდია, რამდენი ვიცინე, როცა შენ ლაპარაკობდი. ხა, ხა, ხა!.. დედაია... რა მხდალი ყოფილხარ. კოლექტივში შემოსვლის მართლა გეშინოდა? მე კი მამაჩემს ოჯახი გაუყავი. მღვდელმა მართლა დაგარქვა ძაღლის სახელი?! დედა მართლა არ გახსოვს?.. ოი, ოი, რა სასაცილოა!..

გახარებული ციციონ ვერხვის ფოთოლივით თრთოდა. „რა ლამაზია“ — გაიფიქრა ვაჟმა. თადაზოიკ მოაგონდა, მაგრამ შიში არ უგრძენია. ქალს ცხვირსახოცი გამოართვა და ისე მიიკრა სახეზე, თითქოს ცხვირსახოცს კი არა, თვით ციციონს სახეს კოცნიყო.

ამაყად ფრიალებდა ღროშები. საღამო ახლოვდებოდა.

— წავიდეთ... — უთხრა ქალმა ვაჟს.

— სად?

— ვერ გაიგე?! ჩვენები მოენახოთ... — დიდხანს იარეს, მაგრამ ჭადრის ხეს ვერ მიატანეს. განზე გადგნენ. რამდენიმე წუთს ორთავე სდუმდა. ორთავე თავის საკუთარ ფიქრებში იყო გახვეული. ციციონ თვალს არ აშორებდა დიასამიძეს... რაღაცას ელოდა. ვერდია ხმას არ იღებდა და ქალმა დაარღვია დუმილი — ვერდია, ცოლს რატომ არ ირთავ?..

დიასამიძე დაიხანა. არ მოელოდა ასეთ კითხვას. ანიებული თვალებით დააკტერდა ქალს, თითქოს ეკითხება, — ხომ არ დამცინიო. მაგრამ ციციონ სრული სიმშვიდით უმხერდა. ვერდიამ ნაბიჯები შესცვალა და ანგარიშმიუცემლად წამოიძახა.

— ციციონო, მე ვინ წამომყვება?

— ვინ?.. რეიზა, ვერდია... რეიზა არ წამოგყვება? ერთი მე მკითხე..

ისინი დიდხანს საუბრობდნენ.

6

მოსაღამოვდა. იისფერ ცას აბრეშუმის ქსოვილივით თხელი ღრუბელი გადგრა. დამკვრელთა პირველი შეკრება დასრულდა. ყველა წასასვლელად ემზადებოდა. ვერდია და ციციონ თავისიანებთან მივიდნენ. როგორც ხელჩართულ ბრძოლაში გამარჯვებულ გმირს, ისე შეხვდნენ ვერდიას მეზობლები. დააყარეს შეკითხვა-შეკითხვაზე... მაგრამ ახალგაზრდებს რუდი დაურჩათ შეუნიშნავი ის, რომ მათი ამხანაგი კომკავშირელი ქალი ციციონ ვერდია დიასამიძის გვერდით იდგა.

კოლექტივის თამეჯდომარემ თვალი ჩაუკრა ვერდიას-გაუცინს. თამეჯდომარე ენამახვილი და გულწრფელი კაცი იყო.

— შენ, ვი; ვერდია დიასამიძე, ფრთხილად იარე, თვარა... შე ოჯახანაშენებულო, ძლივს შემოგიყვანეთ კლექტივში და ახლა ყველას რომ გვაჯობე, არ გცხვენია?.. სახელი შენ, წერა-კითხვის სწავლა შენ,—საჩუქარი შენ. და ახლა ერთი სახეირო ქალიშვილი გვეყავდა კოლექტივში და იგიც შენ გინდა?! რავე ერთად დადიხართ, თუ იცი? რაღაც სხვაგვარადაა მგონი თქვენი საქმე. ისე ჩემო ძმაო, ამ დღეს ერთი მრავალკამიერიც შეშვენის. რავე იტყვი. ა?..

ვერდიას ჩაცვინა. თვალი გადაავლო მეზობლებს, გრძელი ხელები მალდა იჭინა და მტკიცედ წარმოსთქვა:

— მართალია, სამსონ. ჩვენ, მე და ციცინო, ამელამ ვაწერთ ხელს. თქვენ ყველა ჩემი წვეულები ხართ. შეიძლება კარგად ვერ დაგიხდეთ, ასე უცებ, მარა...

7

— დედაკაცო, რა ამბავია, თუ იცი, ვერდიბეკა ბუშის სახლში?..—გაკვირვებით იკითხა თადაოზ ნაკაიძემ და მეზობლის სახლს გადახედა. დიასამიძის ეზოდან მაღალი მაყრული და შვიდკაცს მხიარული კრიმანჭული მოისმოდა, დოლი ქუხდა და საერთო ხმაურს ტაში და ხმამაღალი ლაპარაკი ერთოდა. სახლი და ეზო უჩვეულო ჯერ უნახავი სინათლით იყო განათებული. შენობის წინ ნაცლინობები დადიოდნენ. სახლის გვერდით ცეცხლი ენთო და დიდ ქვებში რაღაც იბარშებოდა.

თადაოზი გაოცებული შეჭურებდა ამ სურათს და არ იცოდა, რისთვის მიეწერა ყოველივე ეს. ღამე იყო. ბნელოდა და ამ სიბნელეში უცარი სინათლით განათებული კარმიდამო როგორღაც აფიქრებდა ნაკაიძეს.

— ააა, წინ მიდის, სულ წინ მიდის. კაი ბიჭი კია, მარა...

თადაოზი ცოლს მიუბრუნდა.

— დედაკაცო, ხედავ რა ამბავია?! ეგერ საკლავიც დაუკლავთ... სახლის გვერდში კიდევ ცეცხლი დაუნთიათ. ქორწილია, აბა რაღა ეშმაკია... ოი, ეშმაკმა წეილო მაგათი თავი... ნუ გადირევი ახლა კაცი... დღეს რაცაა შეკრებააო, იქ წავიდენ... დაბრუნდენ და ლხინი... მერე ვისას?..

— უი, რა დეინახა წახანაი ჩემმა დასახებმა თვალგება —აჰყვა ქმარს გაიანე —შელამებული იყო, რომ ვერდიე ბუშის სახლის წინ მოგრიალდა ახტომობილი თუ რაცაა იგი, თვალგებს აგერ იმასავით რომ აბრიალებს... გადმოვიდა ხალხი. ღამე იყო და ვერც ერთი ვერ ვიცანი... ქალებიც კი იყვნენ... მარა ჯანდაბანს მაგათი თავი... შემოდი, აგერ საჭმელი ქამე. ნეტა სადაა ჩემი ციციი ამდენხანს?..

— დედაკაცო, გეპურება? რა ეშმაკად მინდა შენი საქმელი. წადი, გამეიტანე ჩემი მაჭახელი სახლიდან.

— თოფი? უი, რად გინდა თოფი?..

— მალე, მალე! მტერს მტრულად უნდა დახვედრა... ერთს მაინც გვეისერი ჰაერში...

თადაოზი ისე ზვერადა ახალი მეზობლის კარ-მიდამოს, როგორც მტრის ბანაკს გამოცდილი მთავარსარდალი. ცოლმა თოფი გამიტანა და ხელის თრთოლვით გადასცა ქმარს, თუმც კარგად იცოდა, მუგუზალიც რომ დაედროთ, არ ვარდებოდა. თადაოზი ღობეს მიაღდა. სახლიდან გარკვევით მოესმა ნაცნობი ხმა:

— მაშ, ამხანაგებო, გაუმარჯოს მეფე-დედოფალს, ჩვენს საუკეთესო კოლმეურნე ამხანაგს ვერდია დიასამიძეს-და...—ვილცამ „მრაველკამიერი“ დაიწყო. ხმამალამა სიმღერამ დაფარა ნაცნობის სიტყვები. თადაოზის ვულში ივეის მატლი ამოძრავდა. ხელი აუქანკალდა. წახდა ვაეკაცი. ნელა გადავიდა ღობეზე და სახლის წინ გაჩერდა.

— ეი, მინძქლო!..—დაიყვირა მან.

— თადაოზი მოვიდა!—შენობის გვერდს ვილაც მოსცილდა და შევიარდა სახლში. ლბინი შეწყდა. შიგნით ჩოჩქოლი შეიქნა. უცებ მთლიანად გაიღო სახლის კარები და თადაოზისაკენ რამდენიმე კაცი წამოვიდა.

— თადაოზ, გამარჯობა!.. მობრძანდით...

ნაკაიძემ მეზობლები იცნო. მოიბოდიშა. მიპატიებდა უარყო, მაგრამ ბოლოს ხათრი ვერ გაუტეხა და ნელი ნაბიჯებით შევიდა სახლში. სინათლემ მხედველობა დაუკარგა. ვილცამ ჩუმად გამოაცალა თოფი ხელიდან. გადაძალა. თადაოზმა იქაურობა შეათვალიერა და გაოცებული დარჩა: მის წინ ციციწო იდგა.

— ციციწო, შევილო!..

— კარგი, მამაჩემო, ნულარ მკითხავ მიზებს. მე ყველაფერი დავამთავრე... მე და ვერდიამ ხელი ნოვაწერეთ... ვიცოდი არ მომცემდი ნებას და დავჩქარდი...

— მილალატე, შევილო, ხომ?—დაქრილივიფი დაიღრიალა მამამ. ხალხი წამოდგა.

— კარგი, თადაოზ... აპატიე. ესენი ღირსია ერთმანეთის.—შენობა ამხაურდა. მთელი სოფელი სთხოვს პატიებას. ავერ კომუზერდის მდივანი იმნა სეფერთელაძე... ევერ კოლმეურნეობის თავჯდომარე... ევერ სოფსაბჭოს მდივანი... რა უნდა ამ ხალხს აქ? ნუთუ ვერდია ღირსია ამათი სტუმრობის? ყველა შერიგებას სთხოვს. ავერ ვერდია. როგორ მორთულა?.. სახე უცინის. თადაოზი ორცეცხლ შუა მოექცა. დაკარგოს მეზობლები?! დაკარგოს შევილი?! მეტი რაღა დარჩენია??

— თადაოზ, დაბრძანდი, თადაოზ, ნუ იზამ. არ ღირს საქმის გამწვავება.—ურჩევნ გაყვევებულ მოხუცს.

— ეი, შევილო, შენ იყავი კარგად და—გაიღუნა თადაოზი. წვერი შეიჯიგუნა. ხელი ჩაიქნია.—გარეთ ჩემი დედაკაცია... შიშით მოკვდება...—გვიან მოაგონდა ქმარს ცოლი. ციციწო მერცხალოვით გაფრინდა გარეთ, თადაოზი დაჯდა. ლბინი განახლდა. თამადამ მეფე-დედოფლის სალღევრძემლო პირველად თადაოზს შესთავაზა. მალე მაგიდას ნაკაიძის ნათესავებაც შემოემატენ... პატარა მაგიდა გაიშავა. უცებად მოწყობილი ქორწილი გახალისდა. კოლმეურნის სახლში მძლავრად აფუგუნდა „შვიდკაცა“, „მაცრული“ და ახალი სიმღერა: „ჩვენ, კოლმეურნეები“.



* * *

აღველფილა ცის გუმბათზე
მნათობების დასი;
მიფრიალებს ვარსკვლავებით
მოჭედილი ღამე.
გაცრეცილი სივრცეები,
ვით უძირო თასი,
დამათრობელ მთვარის ნათელს
გაფითრებით სვამენ.

შვიი ლაქა კვამლისაგან
დაცემული ჩრდილის
ვევრდით მოსდევს მატარებელს,
ვით ვეება ზღარბი.
აჰა უკვე სჩანს ნიშანი
მომავალი დილის:
განთიადმა ზე ასწია
მოწითალო წარბი.

შორს კიდური გადაგვერდეს
ტრამალეგმა სწორმა.
თითქოს შუქის მისაღებად
თვით ქეყანა ზრუნავს.
აქ ვიწამე დედამიწის
მე სფერული ფორმა,
აქ დავრწმუნდი მე პირველად,
რომ ის მართლა ბრუნავს!

ალარ უჩანს ნაპირები
ამ სინათლის ღელეს,
ოქროს ქსელში გაეხვია
თვალუწვდენი ვაკე.

მობალახე აქლემები
მზეს უშვებენ ყელებს
და ხმელ თავებს მიაქნევენ
ფაშატები მაკე.

გადიქიმა ნაბამბარი
მოწითლო და სველი
სადაც არის ძველ ბუხარას
მივალწიეთ ბოლოს.
აქ ხობბებმა გაგვიხუნეს
ალაზანის ველი:
აღიან და გვიჩვენებენ
ცეცხლმოდებულ ბოლოს.

რა გრილით ამოდიან,
რანიირის ყოფით!
თითქოს ჩვენი ორთქლმავალი
მაშხალეებში მოხვდა.
აჰა, აგერ მონადირეც
შემართულის თოფით:
თოფი მზისკენ შელაპლაპდა,
შეასკდა და—მოხვდა.

ჩამონელდა გზა ნათელი
ჩამოტეხილ წნელად.
ზევით მოსჩანს მარტოოდენ
გაცრეცილი ბოლი...
ვიცი, უკვე დაიხურა
უპეები ნელა,
ვიცი, ნისკარტს შემოევლო
გარს წითელი ზოლი...

* *

მე სასახლე დავიარე
აქ, ამირავ', შენი:
გამოდგება მუზეუმი
დარბაზები თართო.

¹ ბუხარას ამირა (მეფე)— გაქვებულო საბჭოთა უბეკისტანიდან რამდენიმე წლის წინათ.

ნებერობდი ამ ფართობზე.
პირის ფართო ფშენით
და მეფობას ნომინალურს
აქ იჩენდი მარტო:

შენ რუსეთის ჯვრებს და მენდლებს
ატარებდი მკერდით,
ყურბაშების¹ ყურბაში და
ნიკოლოზის მონა.
უსაქმურად დაყუქულმა
სქელ ცოლების გვერდით,
ამირობას დაუყარგე
სახელი და წონა.

ღიბკანთათვის² შენ იყავი
უაფესი ავზე;
ბოლოს აღარ შეგარჩინეს
თავიანთი სისხლი
და შეგრაგნილ ჩალმის ნაცვლად
შავწვერიან თავზე
მოგაფინეს, მოგაფინეს
დაფიწყების ნისლი.

გამყოფინეს რამდენიც შენ
სხვისი ოფლი ღვარე,
რა ქონებაც მოიხვეჭე
ქალაქით და დაბით.
ახლა თავად იმოსება
ღებკანების მხარე
მოსირმულის ხალათით და
მოჩითულის კაბით.



¹ ყურბაში — მახრის უფროსი ძველად.

² ღებკანი — გლეხი.



1

ქალაქ მინსკის განაპირას, სადაც ერთმანეთს ერთვის და კვლავ ორ ტოტად იყოფა მდინარე სვისლაჩი და ვიაგა, იღვა თავად სკირგაიღოს კოშკებიანი სასახლე.

თავადს ჰყავდა ორი ასული: ჰარნაია¹ მარისია და ჰარნაია ჰერა.

ჰარნაია მარისია ცხოვრობდა ყველაზე მაღალ კოშკში, ეს კოშკი გადაყურებდა მდინარე ვიაგას და ამომავალი მზე თავის პირველ სხივებს უწინ მის თაღოვან სარკმელებს ტყორცნიდა.

ჰარნაია ჰერას კოშკი ამართული იყო მდინარე სვისლაჩის ნაპირას და ჩამავალი მზე თავის უკანასკნელ სხივებს მას უგზავნიდა.

დემის სილამაზეზე არაკად ლაპარაკობდენ მთელ ბელორუსიაში. მწყემსებს, როცა ისინი დუდარს² უკრავდენ, თვალწინ თავადის ჰაეროვანი ასულები ეხატებოდათ.

დივჩინები³ ნატრობდენ მათ სიტყურფესა და ყისმათს.

მრავალი ხობტა, მრავალი შაირი გამოუთქვამთ ჰარნაია მარისიას და ჰარნაია ჰერას შესახებ მათი სიყვარულით აღტაცებულ ვაჟებს, თუმცა თავადის ასულების ცხადად მზილველი არავინ იყო.

ან-კი ვინ გაბედავდა ახლოს გაკარებოდა სასახლის ზღუდეს, მრისხანე და მუღაჲ ლაზო სკირგაიღოს შიშით.

ყველამ იცოდა თავადის გუნება: საკმაო იყო ვინმე თვალში არ მოსვლოდა, რომ მისი თავი მარგილზე წამოეგო.

ასე უმიზეზოდ მრავალი დედა აუტირებია მტარვალ სკირგაიღოს, მრავალი რძალი დაუქვრივებია უღმობელ სკირგაიღოს.

და ხალხს სძულდა სკირგაიღო, მაგრამ უყვარდა მისი ასულნი: ჰარნაია მარისია და ჰარნაია ჰერა.

¹ ჰარნაია—მშვენიერი.

² დუდარი—სალამური.

³ დივჩინა—ქალიშვილი.

ერთ ღამეს, როცა ბადრი მთვარე მინსკს უხვად აფრქვევდა სხივებს და სკირგაილოს ბაღში აყვავებულ ალუბლის ხეებს ვერცხლის ბრგეს ათოვდა, ვიავას გაღმა ნაპირიდან, რომლის იქით იწყებოდა ცამდე ატყორცნილი ნაძინარი, გაისმა დუდარის ხმა.

ეს ალეს რაკაუ, მოხუც მელირე მიხასის რჩეული შეგირდი მოსულიყო შორეულ ხუტორიდან¹ და, ჰარნაია მარისიას ემზით სამუდამოდ მოხიბლული, დუდარს აკენესებდა.

თვითონ ჰარნაია მარისია ამდროს თავია კოშკში სარკესთან იჯდა და მისივე კბილა პირისფარეში სამკაულებს ხსნიდა. აი, ლებანის ოდენა ვარდისფერ ყურების ბიბილოებიდან მას ფარეშმა ფრთხილად მოხსნა ლამპრის შუქზე მოელვარე საყურეებიც, ქერა თმა გაუშალა, მერმე ზმორებით წამომდგარს უცხო მანიაკით მოკაზნული კაბა გააძრო და სარკეში გამოჩნდა ჰარნაია მარისიას ალუბლის ყვავილივით მსუბუქი და თეთრი ტანი.

მისი კენარი ტანის ანარეკლი შუშაზე მარმარა ქანდაკს ჰგავდა, — ჰარნაია მარისიამ მორცხვად შეავლო თვალი თმის ტვევრი დაფარულ თავის მხრებს, ვაშლივით რგვალ მუცელს... და უეცრად გააყრკოლა — ეს დუდარის ჰანგი მისწვდა ქალწულის სათუთ გულს.

ოდნავ გამოღებულ სარკელიდან დუდარის ხმები ჩიტებივით მოფრთქილავდნენ და მსუბუქ ფრთების რხევით შიშველ ჰარნაია მარისიას გარს ევლებოდნენ. დუდარი ღოტბას ასხამდა ჰარნაია მარისიას, დუდარი ჰარნაია მარისიას უგალობდა, დუდარი ჰარნაია მარისიას სიყვარულს თხოვდა, და შეკრთა მრისხანე სკირგაილოს ასული.

მოოქროვილ გრძელ წამწამებით ახლო-ახლო მოსარული, ფართო, სუროიანი, მინაბული თვალები ქალწულს ერთბაშად მოკიაფე ვარსკვლავებდა ექვა და დაწვებზე ლაღმა გაუფლავა.

ვის დაერღვია ჰარნაია მარისიას სიმშვიდე, ვის გაემედა იმაყ თავადის ასულის ტრფიალი?

ცნობისმოყვარეობით შეპყრობილს და სიზმარეულ სიხარულით გულაქედრილ ნორჩ ქალბატონს პირისფარეშმა სწრაფად გადააცვა სარეცლის სიფრიფანა პერანგა.

ჰარნაია მარისიამ, როგორც-კი დაიფარა სიშვილვე, მყისვე სარკმელთან მიიჭრა და დუდარის ხმას თვალი გააყოლა, მაგრამ ვიავას ნაპირებზე არავინ ჩანდა.

მთვარის შუქით პირმოვერცხლილი ვიავა თითქმის შემდგარიყო.

არც სიო ქროდა.

და დაბინდულ ჭარვის ღამეში ახლა უფრო მკაფიოდ ისმოდა დუდარის აჯა.

ჰარნაია მარისია ამაოდ ცდილობდა თავის კახანის² დანახვას.

¹ ხუტორი—განცალკევებით მოსახლე.

² კახანი—სატროფი.

უეცრაო დატბორებულ მდინარის ქაღვლებს ვილაციხს ლანდი ფოთოლივით დაეცა. ის ლანდი ალეს რაკაუს ორადი იყო. თურმე ალეს შეენიშნა სარკმელში გადმომდგარი ჰარნაია მარისია, უშიშრად მოდგოჰოდა ნაპირს და თან დუდარს მეტი გრძნობით უყრავდა.

მოხუც მელირეს ბედნიერი შვირილი საწადელს ეწია. მან დუდარის წყალობით ჰარნაია მარისიას თავის სიყვარული მოაგონა და მისი გულიც დაიბევა. დუდარმა ერთხელ კიდევ გატაცებით თქვა ჰარნაია მარისიას ქება და დადუმდა.

მთვარე გადაიხარა.

3

გაუფელ ქაობებს შუა აქლემის კუზივით მოჩანდა ერთი მომცრო ბორცვი. ამ ბორცვის ძირას ცხოვრობდა ტკბილი მოხუცი მიხას. გაუჩანდა ფიცრებით აგებული მისი. პატარა სახლი სამტრედეს ჰგავდა, ხოლო სახლის წინ აყვავებული ალუბლები ყვლომოდრებულ გედებივით იდგნენ.

კეთილ მელირეს ეზოს ნაძენარისა და არკის ხეების თხელი სალტე ერტყა ირგვლივ. შემდეგ იწყებოდა ლენქუიანი დაბლობები. ლურჯი ყლარტით პირმოფარული ეს დაბლობები წარმოადგენდნენ უძირო და წებოვან ლაფის ზღვას.

მელირესთან მისვლა შეიძლებოდა მარტო ერთი ბილიკით, რომელიც იცოდა მხოლოდ მისმა ორმა შვირდმა—სკირგაილოს მეჯოგე ძმებმა— ალეს და მიკოლა რაკაუმ.

როგორც ჰარნაია მარისია და ჰარნაია ჰერა, ძმებიც— ალეს და მიკოლა რაკაუ ორი წვეთი წყალივით ჰგავდნენ ერთმანეთს.

ტკბილი მიხასი, ლეიძლ მამასავით, ჰაბუკებს ასწავლიდა ლირაზე დაკვრას და იმავედროს ხალხის სიყვარულთან ერთად მათ გულში ნერგავდა მრისხანე სკირგაილოს სიძულვილს.

ძმები ერთმანეთს ეცილებოდნენ ლირაზე დაკვრაში და მოხუცს უხაროდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მისი ლირა კვლავ იქნებოდა, რომ მის მავიერ მალე სოფლიდან სოფლად, ხუტორიდან ხუტორში იელიდნენ ძმები— ალეს და მიკოლა რაკაუ.

მაგრამ მიხასის ვიდრე მუხლი ერჩოდა, ვიდრე სპეტაკ წვერით დაფარულ მკერდში გული უძგერდა, ვიდრე მის ცისფერ, სათნოებით სავსე თვალებს შეეძლოთ ეცქირათ ბელორუსიის ვერანა ველებისათვის, ცის დასალიერამდე გაშლილ აზვისა და ნაძვის ტყეებისათვის, ვიდრე მის ყურებს ესმოდა ხალხის გმინვა, ვიდრე მისი თითები ჩხირებდალ არ ქცეულიყვნენ,— მოხუცს ენანებოდა ლირის დათმობა.

და ისე, როგორც დიდიხნის წინათ, მელირე მიხასი ახლაც მარტო დადიოდა და ის ქორწილი ქორწილად არ მიიჩნდათ, ის ტირილი ტირილად, სადაც მისი ლირა არ იქნებოდა მალხენელი, ან მგოდებელი.

მიხასი ყოველთვის სასურველი სტუმარი იყო, თუმცა არავინ იცოდა მისი ვინაობა, მაგრამ იცოდნენ, რომ მას ჰქონდა დიდი გული, ტკბილი თითები და მგალობელ ჩიტის ხმა.

ზამთარ-ზაფხულ, მაღალსა და ნმელ ტანზე მოხუც მერიორეს მოკლევალ-
თიბიანი, ფერაღ მრეში კოეუბი¹ ეცვა, ხოლო ფეხებზე — ქრელყელიანი წინდები
და ხის ტყავისაგან მოწნული ქალამნები. ზურგზე ეკიდა პატარა აბგა. ცალ
ხელში ეჭირა ლირა, მეორეში — გრძელი, თავნოკაუჭებული კომბალი. მერცხლის
ბუდესავით ნაკეთები ქეჩის ქუდი მუდამ ისე ეხურა, რომ ფართე, პიტალო
შუბლი მთლიანად უჩანდა.

ხეტიალის მერმე შინ მისვლა ერთხელ დაწესებულ ვადაზე იცოდა. რო-
გორც კი მოაწევდა მისი დაბრუნების ალო, სკირგაილოს ცხენების ჯოგის მწყე-
მები — ალეს და მიკოლა რაკაუ წილს ყრიდენ.

და როცა მიკოლა მიდიოდა მიხასისთან, ალესი დუდარს უკრავდა და
იგონებდა ჰარნაია მარისას, მის ღიმილს, მიჩერა-მოხერას, მისი კაბის ფერს.

როცა ალესის მოუწევდა ოსტატთან წასვლა, ჯოგთან მარტო დარჩენილი
მიკოლა თავის ვანუყრელ დაშნით ერთობოდა, ან ჯანმოჭარბებული ნიაღღარ
ულაყებს ქამანდით იჭერდა.

დაფეთებული, ყველაზე ფიცხი ცხენი არა ერთხელ შეუყენებია ყალყზე
მიკოლასაგან უეცრად ნასროლ თოკის მარყუჭს.

არაერთ ყვავს, შემომჯდარს ნაძვის კენწეროზე, ისარივით მოხვედრია
ორივე პირით ბასრი და მიხასის ლირის სიმივით წერილი, ელვასავით სწრაფი
და ელვარე დაშნა მიკოლასი.

ხბოს ტყავში გამოკრულ ქარქაშით ეს დაშნა მიკოლას ნიადაგ წელზე
ეკრდა, ხოლო დაბეული ქამანდა მძინარესაც-კი გელაზივით ჰქონდა წამოცმული
მარცხენა მკლავზე.

4

ალეს რაკაუ დიდხანს ატარებდა ფარულად ჰარნაია მარისას სიყვარულს.
დიდხანს ეტრფოდა შორიდან მას. ბოლოს გადაწყვიტა დუდარის მეოხებით
გაეშობოდა მისთვის გუმანი. და როცა ერთხელ მინსკიდან სკირგაილოს წასვლა
შეიტყო, ის იმავე დამეს მიიპარა ვიაგას ნაპირთან და დუდარის ხმით მოქსო-
ვილი თილისმის ბადე კოშკს ესროლა.

თავზე ხელაღებული მეჯოგე, ამის შემდეგ, თითქმის ყოველდამ უფრო
თამამად მიდიოდა მდინარესთან და გატაცებით უკრავდა დუდარს, თან თვალს
არ აშორებდა კოშკს სარკმელს, რომელშიაც მრისხანე სკირგაილოს ასული
გახაფხულის პირველ ყვავილივით ჩანდა.

სასახლეში ყველა გაოცებული დარჩა უცხო ჰაბუკის თავხედობით, მაგრამ
იმვედროს ყველას უჩვეულო სიამეს ჰგვრიდა დუდარის ხმა.

მხოლოდ ერთს, ბატონის წინ მუხლებზე მხოხავსა და მისი ნატერფალის
მლოცვე მოურავს, ყმებთან-კი ბატონივით უკმეხსა და განუკითხავ იაკუმს, დუ-
დარის ტკბილი ბგერა მიკოლას დაშნასავით ხედებოდა გულზე.

როდესაც ალაყადის მცველებისაგან მოურავმა მოულოდნელად გაიგო, რომ
ჰარნაია მარისას კახანი უღირსი მეჯოგე — ალეს რაკაუ იყო, ცოფისაგან თი-
ლებიდან ნაპერწყმები ყარა.

¹ კოეუბი — ტყავის უხეში ქერკი.

ბარზთან ერთად უცებ იაკუბი შიშმა შეიპყრო: პოლსკას, მეგობარ პანთან სტუმრად მყოფი სკირგაილო თუ ამ ამბავს გაიგებდა, შინ დაბრუნებისთანავე უწინარეს ის საარაკოდ მოურავს დასჯიდა.

ამ ფაქტორით შემკრთალი იაკუბი კარგახანს იდგა ერთ ალავას მხრებ-ჩამოყრილი, მერმე ერთბაშად წელში გაიმართ და როგორც-ი მინსკი ღამის ქვარტლმა დადგარა, მან მიკიოტის გამჭრიახი თვალები გამოიხსა და სასახლიდან რამდენიმე კაცის თანხლებით შეუმჩნეველად გაქრა.

მას აქეთ ვიავას ნაპირიდან აღარავის გაუგონია ღუდარის ხმა

მას აქეთ ჰარნაია მარისიას გულში სევდამ დისიდგურა და მისი კოშკი საკანად იქცა.

5

მუდამ კუჭტი სკირგაილო მხიარული დაბრუნდა

კალთებაფრიალბებული მისი ფორაჯებიანი მოწეულის მოსასხამი და ხმლის მოეკრცხლილი ვადა თვალის მჭრელად ბჭყვილებდა მზის შუქზე, ხოლო უნდაის-ფერი, გრძელი შეჭირხლული წვერი და რქებივით აქეთ-იქით გაშვერილი უღვაშები, ნიავისაგან ჯეჯილივით ერხეოდა.

მოურავმა დროშა გადმოკიდა და საყვირები დააკრევირა, შემდეგ ალაყაფის კარები ფართოდ უბალო და კარისკაცები, მოახლეები და ფარეშები ორ-მხრივად ჩამწკრივა. ბატონის მოახლოვებისთანავე მოურავი მუხლებზე დაეცა, მას სხეებმაც მიბაძეს და მიწაზე დამხობილ ყმათა ორ მწკრივში სკირგაილომ, თავის ამალით, გაოფლილი ცხენი შემოაქროლა.

გადმოხტა თუ არა სკირგაილო ცხენიდან, წინ შეგებებულ ასულებს შუბლზე აკოცა და მათთან ერთად დარბაზში უდარდელად შევიდა.

ქალწულებმა მამას მოსასხამი მოჰხადეს, გარეულ შავ კატის ბეწვისაგან შეკერილი დაბალ-ციანი ქუდი ჩამოართვეს და მერმე ერთმა ვერცხლის ტაშტი მოართვა, მეორემ—წყალით სავსე ვერცხლისავე სურა.

სკირგაილომ ხელპირი სწრაფად დაიბანა და უცხოვ ნაქარგ პირსახოცი ჰარნაია მარისიას მხარზევე გადაჰკიდა, თან ნიკაპზე ორი თითი აწოდდა, თავი აუწია და თვლებში ჩაჰხედა.

ქალს ფერი გაუქრთა.

— მარისი, რათა ხარ ავრე დაღერემილი? გამხიარულდი, ჩემო პრიპოყაია!¹ მალე შენისთანა ბედნიერი მეორე არ იქნება. ოღონდ ვიდრე სამახარობლოს არ მომცემ, არას გეტყვი, — ღიმილით უთხრა ხელში სურით გაქვევებულ ქალს სკირგაილომ, ერთხელ კიდევ ჩ ხედა თვალებში და სავარძლისავე გაემართა.

ასე ტკბილად მოუბარი იშვიათად ენახა მამა ჰარნაია ჰერას და მარისიას მაგივრად ჰკადრა:

— ბატკა², მე მოგცემ სამახარობლოს!

— აბა რას?—წყქებებით ჰკითხა სკირგაილომ და მალალქუსლებიან ჩექმე-ზის ყელები გაისწორა.

¹ პრიპოყაია—ულამაზესი.

² ბატკა—მამიკო.

ჰერა მივიარდა მამას და ტუჩებში აკოცა.

— ეს არ კარა!— ხშიანი სიცილით თქვა სკირგაილომ და ერთდამიძვე ალაგას გაჩერებულ მარისიას დუძახა: მარისი, მოდი აქ! შენ რატომ არ გინდა ჯილდო გაილო? იქნებ ფიქრობ, გეხუმრები?— სკირგაილომ ჯუბის ჯიბიდან მომცრო ყუთი ამოიღო, თანაც კვლავ უძრავად მდგომ მარისიას შემოისხავ კილოთი გაუმეორა:

— მოდი აქ!

ქალი შეკრთა. სურა და პირსახოცი ფარეშს გადასცა და მამას უფულოდ წინ დაუდგა. სკირგაილომ ყუთი გახსნა, მარისიას ძალით თაჭი დაახრევირა და მარგალიტის აკილო ყელზე შეება. მერმე უცხოოდ ნახელავი ოქროს სამაჯური მაჯაზე გაუკეთა, თითზე ბეჭედი წამოაცო და ბრწყინვალე იერით წყნარად უთხრა:

— პოლსკას პირველმა პანმა, ჩემმა მეგობარმა რაძივილმა მოგართვა და ცოლობა გთხოვა.

პარნაია მარისიას მოეჩვენა, თითქოს ყელსამამის ნაცულად ყელზე გველი შემოხვეოდა და ცივი ხმით იკივლა.

გაოცებული სკირგაილო ზეზე წამოიჭრა.

— რა დაგემართა!— ერთბაშად შესძახა მან.

დაბარბაცებულ მარისიას მისევე ჰერა შეუდგა მხარში და მამის სავარძელში ფრთხილად ჩასვა.

— მარისი, ავად ხარ?— რაღაც ორქოვ ხმით ჰკითხა შვილს სკირგაილომ.

— დიახ, ეს რამდენიმე დღეა მარისია შეუძლოდა. არაფერია, გაუფლის,— სცადა მამის დაშვებება ჰერამ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— არა, ავადმყოფს არ ჰვავს!— მკბუნვარედ და დაფიქრებით სთქვა სკირგაილომ.

— მე წინ მინდა ვიყო!— ბავშვივით წამოიძახა მოულოდნელად მარისიამ და სახე მთრთოლვარე ხელებით დაიფარა. მერმე იმავე ხმით შეივედრა მამას:

— ნუ გამათხოვებ, ტატა¹, ნუ გამატან უცხო კაცს!

— ეს რა ამბავია, როგორ ბედავ ურჩობას?— იყვირა სკირგაილომ

— არ მსურს გათხოვება!— ახლა მკაფიოდ და უფორ მტკიცედ განაცხადა მარისიამ.

დის გამბედაობით გაკვირვებული და მისი ხედრით შეწუხებული, ხოლო მამას მრისხანებით შეშინებული ჰერა სავარძლის მალალ მისაყრდენს ვარდის ბარდივით დაჰკიდებოდა.

— მარისი, რატომ, რად არ გინდა გათხოვება, იქნებ თავი ისევ უსუსური გგონია?— დაოკებით მიმართა ახლა შვილს სკირგაილომ, მაკრამ მარისიას კვლავ ხელემათ ჰქონდა დამალული სახე და ხმას აღარ იღებდა.

ჰერა ისევ სავარძელზე ეკიდა და მოწიწებით უცქეროდა მამას, რომელსაც თვალემა თანდათან ბრაზით ენთებოდა.

¹ ტატა—მამა.

გარეთ ცხენები ხვიზინებდნენ. ვილაცა იცანოდა. გადახრილი მზე დარბახის სარკმლებს ადგებოდა.

— რატომ არ გინდა გათხოვება-მეთქი?—თარულ მუქარით გაუმეორა სკირგაილომ მარისიას.

— არ ვიცი!— გვიან გასცა მარისიამ ხმა. სკირგაილომ მის კილოში დაცივნეაიგრძნო და დაიღრიალა:

— როგორ თუ არ იცი? მამას ელაპარაკები თუ შენს პირისფარვს?

უეცრად სკირგაილომ ხელი ამართა მარისიას თავზე.

— ტატა, ჩემო ბატკა!— მუდარით შეკივლა ჰერამ და მამას წინ გადაუდგა. გახედებულმა სკირგაილომ ჰერა ძნასავით ისრაოლა შორს და ხელი ხელს ისე მძლავრად შემოჰკრა, რომ ჩაშის ხმა თაღებმა გრგვინვით გაიმეორეს.

კარი კრძალვით გაიღო და მიწამდე თავდახრილი იაკუბი შემოვიდა.

— რა მოხდა ჩემს აქ არ ყოფნაში, თქვი მალე, ბებერო მეღაე! — კბილების ღრქენით ეცა მას თავადი და თავი იატაკზე დააკრევირა.

— რა უნდა მომხდარიყო, დილა ბატონო! — დაიკნაულა მოურავმა.

— როგორ თუ რა! ყველაფერი თქვი, თორემ შენს სორცს ძალღებს შევაქმევ!

იაკუბმა ცბიერად ასედა ბატონს, მერმე კუთხეში ატუზულ ჰერას მოკრა თვალი, ბოლოს საეარძელში ჩაღეულ მარისიას მიაშტერდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაცრა:

— არაფერი ისეთი, ჩემო უფალო! მხოლოდ ეს-კია, როგორც შევტყე... თქვენი ასული... ჩემი ქალბატონი მარისია... ჰყვარებია...

— ვის?

— თუ არ გამირისხდებით, მოგახსენებთ...

— თქვი, თქვი!

— დიახ, მარისია ჰყვარებია... რაკაუს... თქვენს მეჯოგეს.

— ჩემს მეჯოგეს! — გაოცებით გაიმეორა სკირგაილომ და შუბლზე ხელი მოისვა.

სკირგაილოსათვის ეს ამბავი ისე უეცარი იყო, რომ მან დიდხანს ვერაფერი მოიხზრა. ის გახევებული იდგა და უზოდ დასცქეროდა მის ვეხებთან განართულ მოურავს.

— რაძივილის მეოხებით მინდოდა ამეცდინა მოსკალთა კახა დედოფლის ქვეშევრდომობა, განმეირტო ჩემი უფლებებო, — ფიქრობდა სკირგაილო — მაგრამ, აგერ, ვილაც წუბაკი გადაშელობა წინ და ლამისაა ყველაფერი ჩამეშალოს... რას იტყვის პანი, რომ გაიგოს! ვაი სირცხვილო! — კარგახნის სიჩუმის შემდეგ უნებლიედ დაიგმინა მან, იქაურობას ამღვრეული თვალები მოაელო და მოურავს მეხივით დასცა:

— სადაც არ იყოს მონახე და ახლავე აქ მომგვარე!

— ხაროში მყავს დამწყვედეული. სამი დღის წინათ გავთოკე ის ბრიყვი. სწორედ მაშინ შევიპყარ, როცა მარისიას კოშკთან დუდარას უკრავდა. — ოდნავ სიმაყის ჩენით უკასხუხა მოურავმა და ადგა.

ჰარნაია მარისია დიდხანს იყო დამხოზილი ბალიშზე. ის არ ტირიდა. არც იმის ძალია შესწევდა — წარმოედგინა თუ რა მოხდა. არც იმის თავი ჰქონდა — გავთვალისწინებია თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ალიონს.

შუალამე ახლოედგოდა. მარისია მთვარეულივით წამოდგა და სარკმელთან მივიდა. ამ ალოზე იცოდა ჰარნაია მარისიას კახანმა დუღარით მოსვლა, მაგრამ ახლა ვიკას ნაპირიდან ნაძვების შრიალისა და ღამის ფრინველთა ფრთათა ფათქუნის მეტი არაფერი ისმოდა.

უმთვარო და უფარსკვლავო ღამე იყო.

სიერცეში უსასოოდ მაცქერალ ჰარნაია მარისიას უცებ ადამიანის კენესა მოესმა.

სარკმელში თავი გარგო.

გარეთ სამარისებური სიჩუმი სუფევდა... ჰარნაია მარისიამ მღვიმეში იგრძნო თავი და როცა მარტოობით შემკრთალმა სარკმლის მიხურება დააპირა, ღამეში კვლავ გაისმა ადამიანის გმინვა.

— მა... რი... სია! — თითქოს ვილადა ეძახოდა მას.

მარისია სმენად იქცა.

ის დიდხანს ელოდა თავის სახელის განმეორებას.

ბოლოს აცახცახებული მოშორდა სარკმელს და გადასროლილ ყვავილივით ეცა ლოგინზე.

— რა უბედური ვარ! — ფიქრობდა ის, — ყველამ მომიძულა. ჰერამაც, ჰერეშიც აღარ შეკარება... მატულკა, მატულკა! — აღმოხდა მას უკანასკნელად და თვალთავან მდუღარება წასკდა.

გულამოსკენით მტირალს მალე ჩაეძინა, მაგრამ მძინარესაც ცრემლი არ შესწუშვებია.

და როცა თვალები გაახილა, წამწამები ისევ სველი ჰქონდა. გამოღვიძებისთანავე მან ირგვლივ გაეცეკვით მიმოიხედა.

ბაზმამომწვარი ორკაბა სალამპრეები დილის სინათლეზე მიცვალბულისლიად დარჩენილ თვალევივით ბეუტავდენ.

დაუგდელ სარკმლიდან გრილი სიო შემოჰქროდა.

მარისია სიცვიისგან მოიკუნტა.

აძივძივდა.

შემდეგ, როგორც იქნა, დაეკეილი სხეული ლოგინიდან გადმოიღო და ახლად ფეს-დგმულ ბავშვივით სარკმელთან მივიდა.

ბურუსიანი დილა იყო.

წინწყვავდა.

ირგვლივ კვლავ ისეთი სიჩუმე იდგა, თითქოს ყველანი სადღაც გადახვეწილიყვნენ და იქაურობა უკაცური გამხდარიყო.

მხოლოდ ყვავების ურციხვი გუნდი ტრიალებდა კოშკის ახლოს.

მათმა სახარელმა ყრანტალმა და ფრთების შრიალმა ჰარნაია მარისიას შიში მოჰგვარა.

¹ მატულკა — დედიკო.

მან უნებურად გადაიხედა სარკმელიდან და მაშინვე ცივი ხმით იკიჟლა:

— ალეს!

კოშკის ძირას, ვიავას გამოღმა, ცვარიან მინდორზე იდგა მისკენ თვალბ-
მიპყრობილი ალესის თავი.

მარისია შეშლილივით გადაპყრებდა მიწაში ყელამდე კოცხლად დამარ-
ხულ კახანს.

ხანდახან ალესის თავს ყვავების გუნდო გადაეფარებოდა. ზოგჯერ ყვავები
მიწაზე დაეშვებოდნენ და ალესის ირგვლოვ დასხდებოდნენ. ამდროს მარისიას
ევგონა, რომ ალესის თავი თუჯის დიდ საინზე იდგა.

თავი განუწყვეტლივ გორავდა ერთსადიამავე ალაგას, ხან საოცარი ხმას
გამოსცემდა.

ალესის შეძახილზე ყვავები უკან იხევდნენ, მაგრამ მალე ხტუნვა-ხტუნვით
და წვრილ შეშის თვალთა ციმციმით ისევ იწყებდნენ მიახლოებას.

გადიოდა ხანი.

ალესი თანდათან კარგავდა ყვავებთან ბრძოლის უნარს.

სარკმელთან ნიადვგ მდგომი მარისია ხედავდა მის ტანჯას და თვითონაც
იტანჯებოდა.

მესამე დღეს, საღამომდე, თავმა, როგორც იყო, შესძლო კიდევ ყვავების
მოგვრება. დაღამებისას ყვავები მახლობელ ხეზე შეფრინდნენ ჩახვილით და ალე-
სმა სული მოიბრუნა. და როცა ბნელმა მოიცვა ყველაფერი, მან კოშკის სარკ-
მელს შეხედა, მაგრამ მის წინ კოშკის ნაცვლად შავი ნისლის სქელი კედელი
ამართულიყო.

აღარც ჰპარნაია მარისიას თვალბივით კრიალა ვიავა ჩანდა.

ქაცვიანმა ქარმა დაბერა.

თავს შესცივდა.

მიწაში ჩაფლულ სხეულს სიცივით გამოწყვეულმა ქრუანტელმა საოცარი,
მწარე ტკივილები მიაყენა.

ალესმა მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ სითბოგამოლეულ ტანზე იარები
გაჩენოდა და ოდესღაც მის მაგარ კუნთებს მატლები ღრნიდნენ. მან უკანასკნელი
ღონე მოიკრიბა და სცადა სამარიდან თავის დაღწევა, მაგრამ უკან სელებგაკ-
რული ისე მაგრად ჩაესთ მიწაში, რომ ამ სურვილმა მას მხოლოდ ტანჯა გაუ-
ორკეცა.

გამწარებულმა ერთი უმწეოდ დაიხრიალა და ნიკაპი გამეტებით დაარტყა
მიწას, მერმე ისევ ჩაბნელებულ კოშკს შეხედა და ბავშვივით ატირდა.

ხო-ბლისფერი ნორჩ ულვაშებზე წვეთ-წვეთად დაცემულმა ცრემლებმა ამ-
დინიხნის მშვიკოსა და უსმელს მძაფრი წყურვილი აღუძრეს. წყურვილის მოსა-
კლავად მან უნებლიედ ულვაშები გაილოკა, მაგრამ აბედივით მშრალი და ხაო-
იანი ენა მლაშე სისველემ ერთბაშად აღწვა და ატკინა.

ალესმა ერთხელ კიდევ ახედა დახშულ სარკმელს და თვალები დახუჭა.

ქარი ფხიანდებოდა.

საიდანლაც ყრუ გრუნსუნი ისმოდა. მერმე ეს ხმაური გრკვინვად იქცა და
უცებ ცა სიმწიფისაგან შუაზე გახლეჩილ ბროწყულს დაემსგავსა.

განშირებულ ელვას ძლიერი გრვეინვა მოჰყვა, ცამ ქასქახი დაიწყო. ერთი კადვე დაიქუხა, მეწამული ზოლები უკანასკნელად აბჭევილდენ მარისის სარკმელზე და მინსკის იქით, ზორს, მელიორე მიხასის ახლოს მეხი ჩაჰოვარდა.

— ნეტავ ის მე დამცემოდა! — ინატრა ალესმა. თანაც მიხასი მია: გონა, მერმე მიკოლა, და სინანულმა შეიპყრო.

— ალბათ არ იციან ჩემი უბედურება, — გაფიქვრა ბოლოს მან და კვლავ კოშკს ახედა. რამდენიმე მსხვილი წვეთი სახეზე დაეცა. მალე წვეთებმა იმატეს და ქუხილის შემდეგ დაუფრებელი მიდამო თქეშად წამოსულმა წვიმამ აახმაურა.

აღესს თანდათან სუნთქვა უძნელდებოდა და კისრიდან ჩაყონილი წყალი დაჩირქებულ ტანზე აღმოურს უჩენდა.

— ღმერთო, ღმერთო! რა დავაშავე ასეთი! — უნდოდა შეეჩივლა პირმოსნნილ ცისათვის, მაგრამ აძროს სათქმელად გამზადებულ მის სველ ტუჩებს ვილაცა მხურვალად დაეკონა.

ალესი შეტრია.

უცნობმა ახლა ორთავ თვალში აკოცა.

— ალეს, ჩემი გულისთვის დატანჯულო ალეს! — ჩურჩულთ უთხრა ყურში დაჩოქილმა ქალმა და მისი თავი გულზე მიიკარა.

ალესმა თვალები ფართოდ გააღო, მაგრამ ვიდრე წამწამებში ჩამდგარი წყალი რაიმეს დანახვის საშუალებას მისცემდა, სასაზღიდან გამოპარული მარისია ალაყაფის გუშავებმა მოიტაცეს.

— ალეს! ალეს! — წვიმის შხუილში უკანასკნელად შორიდან მოისმა მისი ხმა.

— მა — რი — სია, მა — რი — სია! — ძლივს ამოთქვა თავმა და მიწას უღონოდ დაეყრდნო.

ალესი დილამდე არ გარხეულა.

ალიონზე ცა მოიწმინდა.

ქალაქ მინსკის თავზე გამდგარმა ყომრალმა ღრუბლებმა სირაქლემებზე იწყეს ტყისაკენ სვლა.

მალე ნაწვიმარ ცახე მზე ისე ერთბაშად ამოვიდა, თითქოს ზღვიდან ანკესით ოქროს თევზი ამოედგოთ.

ერისიონი მზის უზარმაზარ ყანად იქცა, ხოლო კოშკთან ყვავებით დახუნხული ფიქვი — შავი ნაყოფის უხეად მსხმოიარე ხედ.

ყვავები ნელნელა ტოვებდენ ხეს და ფრთების ზანტი ფათქუნით მიწაზე ეშვებოდნენ. მათმა შემაზრუნნმა ჩხავილმა გააღვიძა ალესი, მაგრამ მას უკვე აღარ ჰქონდა აყვია ფრინველთა მოგვრების ილაჯი.

ვიავას ნაპირი თანდათან იფარებოდა ყვავებით და რაც დრო გადიოდა, ალესის ირგვლივ გაკეთებული შავი სალტე ვიწრო ხდებოდა. აი, ერთი ყვავი გამოეყო წრეს, ალესისაკენ რამდენიმე ნახტომი გააკეთა და შეჩერდა, აქეთ-იქით გაიხედა, მერმე თავს მიაკეჭრდა, მაგრამ ის აღარ იძროდა, მხოლოდ რიყზე დაჩინელი თევზით აღებდა მარტო პირს.

უკვე ყვავი გაქანდა და ნახევრად გახკლილი ცალი თვალი ალესის ელვის სისწრაფით ამოჩიქნა. იმავე ყვავმა მალე მეორე თვალი ამოუგდო და იქვე მარცვლივით გადაყლაპა.

მისი ქცევით ვათამაშებულმა დანარჩენმა ყვავებმა იფთქიალეს; ალესის თავს ყრანჯალით მიესიენ და გამალეებით დაუწყეს ნისკარტების ცემა. დიდხანს იყვნენ ყვავეები ერთმანეთზე შეხირხლულნი. ბოლოს, ნისკარტების ფრთებზე წმენდით, ზანტად დაიშალენ და გამოჩნდა ალესის თავის სისხლიანი ქალა.

ქალას ერთი ყვაეი კიდევ აჯდა. ის ხანდახან ჩატეხილ ქალაში როგორც ქოთანში, თავს ჩაყოფდა, ხან ირგვლივ შემოურბენდა, მაგრამ როცა ცარიელ ძვალს ევლარაფერი დააკლო, ფრთა ფრთას გულნაკლულად შემოჰკრა და ვიავას გაღმა ყრანჯალით გადაფრინდა:

7

გავიდა ხანი.

ალესის თავი გამხმარ ყვაეილივით ისევ ვიავას ნაპირას ეგღო.

ირგვლიე-ქი ყველაფერი უცვლელად იყო, მხოლოდ სკირგაილოს სასახლეში იღვა უჩვეულო ხმაური. თვითონ სკირგაილო დიდიდან-სალამიმდე მუხლს არ დრეკდა და ყველას ქორივით თავზე დასტრიალებდა.

მის უნდოდა ისეთი ქორწილი გადაეხადა, რომ წვეულებს ზღაპარი ჰგონებოდათ.

სკირგაილო საგანგებოდ რთავდა სასახლეს.

თავის ხელით არჩევდა საკლავებს.

სინჯავდა სასმელების კაშნიკს.

ხანდახან დარბაზში შევიდოდა, რომ ქვეშევრდომ ებრაელ ვაქრებისაგან მეფურად მიეღო ქორწილისათვის დადებული ხარკი.

მორჩილების ნიშნად, წელში მოხრილი, ყურებთან დახვეულ-კავებიანი და ნიჩბის ოდენა წვერებიანი ებრაელი ვაქრები მოწიწებით ულაგებდნენ წინ ძღვენს სავარძელში მდებიდურად მჯდომარე სკირგაილოს და მის აბრეშუმის ჯუბის კალთებზე ამბორის შემდეგ ფეხაკრეფით გამოდიოდნენ გარეთ.

სოფლებიდან გლეხები ეზიდებოდნენ ხორავს, თაფლს, არაყს და ალაყაფის კარებიდან გადაარაჯებული მოურავი მათ სათითაოდ უშეებდა შიგ.

ქალაქში ერთი ადგილიდან მეორეზე ცხენებით დაქორდენ სკირგაილოს ეჯიბები და მცხოვრებლებს აიძულებდნენ გავლამაზებიათ თავიანთი ხის პატარა სახლები, დაესუფთავებიათ ეზოები და შუკები.

მთელ ქალაქში, სკირგაილოს სასახლის გარდა, ერთადერთ ქვის კათოლიკურ ტაძარს ხელ-ახლა ფეთქავდნენ, გუმბათზე ახალ ბრწყინვალე ჯვარს ასობდნენ, პოლსკელ ბერ-მონაზნების ლავრას აახლებდნენ და ირგვლივ შემოვლებულ ვალავანს ჩამონგრეულ ნაწიბურებს უსწორებდნენ.

უკანასკნელად სკირგაილომ მოისურვა სანადიროდ წასვლა.

მეორე დღეს, ჯერ კიდევ დამე იყო, როცა შინსკის ვიწრო ფოლორცებში გაისმა სანადიროდ მიმავალ სკირგაილოს ამალის ყვირია, ცხენების თქარათქური, ძაღლების წკაქწკაეი და საყვირების ხმა.

ასე უეცრად ატეხილ ხმაურზე დამფრთხალი მცხოვრებლები თვალების უშვენებით აწყდებოდნენ ვიწრო ფანჯრებს.

სკირგაილომ კათოლიკურ ტაძართან ცხენი შეაყენა, ქუდმოხილმა პირჯვარი გამოისახა, შექმდე ცხენს ოდნავ დეზი ჰკრა და თან გაიფიქრა:

— ალბათ ჩემი სიძე ეცდება უფრო ჩქარა გავრცელდეს კათოლიკობა ბელორუსაში, მაშინ იოლად გავეუწყვე მოსკალთა ტახტს წინააღმდეგობას. მანამდე-კი ორ ცეცხლს შუა ისე უნდა ვიდგე, რომ ერთი ბეწვიც არ დამეწყვას. ჩემი სასახლიდან მოსკალიამდე იქნენივე მანძილია, რამდენიცაა ეპარშიამდე. თუ რა-ძივლმა იმედი არ გამიმართლა... თუ...

ფიქრებში გართულ სკირგაილოს ცხენი, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩაში, თავის ნებაზე გაქნდა, მაგრამ მხედარმა მალე აღვირი ღონივრად მოსწია და უწინდელი მორჩილებით წაიყვანა.

გათენებისას გასცდენ მინსკს.

ხან სოფელში შევიდოდნენ, ხან ტყეში, ხანაც ტრიალ მინდორზე გაიქრებოდნენ, ხან განმარტოებულ ხუტორს ჩაუჭროლებდნენ.

ეხოში მოსაქმე, თუ გზად მიმავალი, დიდი და პატარა მათი დანახვის-თანავე მუხლებზე ეცეპოდნენ და ვიდრე ისინი თვალს არ მიეფარებოდნენ, მიწიდან თავს არ იღებდნენ.

წინ სკირგაილო მიდიოდა.

მის კარგა მოშორებით — ჰარნაია მარისია და ჰარნაია ჰერა.

მარისიას თეთრ ცხენს კისერი მოედრებოდა. ფერმკრთალ სახეზე ქალს სოველ ტილოსავით ხედებოდა დილის ნოტიო ნიაფი, მაგრამ ამ სუსხს ის არაკი გრძნობდა, მარისია უხასიითოდ იჯდა ცხენზე და ნაღვლიან თვალებით შორს, წინ მიმავალ მამის იქით იცქირებოდა.

ის იგონებდა ალესის, იგონებდა წინანდელ ნადირობას და გული ეკუმშებოდა.

როგორც ახლა, მაშინაც დები მამისთან ერთად მიდიოდნენ სანადიროდ.

ალესმა ჯოჯიდან თეთრი კვიცი ღამით მოჭვარა მარისიას და დილას მანვე კრძალვით შესვა ზედა, მერმე თვითონაც მოახტა ცხენს და უკან გაჰყვა.

პირველხანად კვიცმა იუცხოვა მხედარი ქალი, მაგრამ ალესის შაშვით ზალე იძულებული გახდა თვინიერად ევლო.

მაშინაც ასეთი დილა იყო — უმზეო და ნისლიანი.

მაშინაც ამ გზით მიდიოდნენ სანადიროდ.

და როცა იმ გადასახვევს მიუახლოვდნენ, საიდანაც იწყებოდა თვალუწყვდელი ტრამალი, მარისიამ კვიცს უნებლიედ მათრახი უცხუნა, კვიცი ერთი შეხტა, აიძრიზა, შემკრთალ ქალს სადავე წაართვა და მერცხალივით გაეკრა მიწას. ატყდა ყვირილი, ყიჟინა.

მთელი ამაღა გამოუდგა მარისიას გაგიჟებულ კვიცს, რომელიც ელვის-სისწრაფით მიჭროდა ველზე. საშველად დადევნებულ მხედრებმა არ იბაზად ალესმა გაუსწრო: ის უნაფირზე შეილდივით მოხრილიყო და სააღერსოდ შერქმეულ სახელს თავის ქურანს წამქეზებულ კილოთი ყურში ჩასძახოდა:

— კალილასკა... კალილასკა!

მაშინიას კვიცი უკვე შო-ს იყო. ის თეთრი წერტილივით-ღა ჩანდა.

სკირგაილო თავის ამაღით თანდათან რჩებოდა უკან.

მალე სკირგაილომ თვალთავან დაკარგა ალესიც.

ალესი-კი გამალეზული მისდევდა თეთრ წერტილს და რაც დრო გადიოდა, მათ შუა მანძილი ერთი-ორად მოკლდებოდა.

წერტილი ცერაღმა ჩამავალ ჭაობის ვიწრო მდინარეს გადაახტა და განზე გაუხვია.

მარჯვნივ გაშლილი ტყე თავდებოდა. ტყის იქით გაუვალ ჭაობების ტბორი იდგა. ალესი დროზე უნდა დასწოვოდა მარისიას, თორემ მერმე გვიანდა იქნებოდა... და ალესმა კიდევ მიუშვა ცხენს სადავე, ფეხები მარწუხებივით მოუჭირა და ფხიანი ხმით დასქექა:

— აჰაი, კალილასკა!

ცხენმა ნიავეით გადაუჭროლა მდინარეს და მარისიას კვიცს კვალში ჩაუდგა.

ალესი უკვე ხედავდა კვიცის ნალებს და მის თეთრ ფაფართან ერთად აფრასავით გაშლილ მარისიას ოქროსფერ თმას. კიდევ რამდენიმე წაში იყო საკირო, რომ ის დასწოვოდა მარისიას.

— კალილასკა, კალილასკა! — უკანასკნელად ჩაესმა ცხენს, და ალესი მხარ-მარჯვნივ როქცა მარისიას.

ახლა ორთავე ცხენი თანაბრად მიჭროდა.

— მარისია, ნუ გეშინია... მარისია! — გასამხნეებლად გადასძახა კვიცის კისერზე ფათალისავით მოხვეულ ქალს ალესმა.

ისინი კარგახანს მიჭროდნენ ერთად. ბოლოს ალესმა თავის ცხენი ერთი თვალის დახამხამების უმაღლ კვიცს მიატყუბა და მარისია უნაგერიოდან აიტაცა. ცხენი შედგა.

კვიცმაც უქლო სირბილს.

ალესმა გონწასული მარისია მკლავზე გადაიწვინა და კრძალვით ჩასძახა:

— მარისია, მარისია!

მარისიამ ნელნელა გაახილა თვალები, ალესის ლომბიერად მიატყერდა, მერმე დასუსტებული მკლავები კისერზე მოხვია, მადლობის ნიშნად ტუჩებში აკოცა და ისევ მინაბა თვალებში.

ალესი გაოცებით დასცქეროდა გულზე მიხუტებულ ქალს და გული ბუღიდან უფარდებოდა.

მარისიას ფითრმორცულ სახეზე ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა. ცხენიდან გადმოფენილი მისი გაშლილი თმა ჩანჩქერივით სცემდა მიწას.

უეცრად ალესი მხურვალედ დაეწაფა მარისიას ოდნავ გაღებულ ბაგეს.

მოშორებით, ჭაობის ნაპირას შეჩერებული კვიცი ჭიხვინით იხედებოდა მათკენ...

ეს იყო ორი წლის წინათ.

ახლაც მარისია იმავე ცხენზე იჯდა, მაგრამ ალესი...

— მარისი, როგორა ხარ? — მოულოდნელად ჰკითხა ჰერამ და მის ცხენს ცხენი გაუსწორა.

შემკრთალმა მარისიამ სიზმარში მყოფივით უპასუხა:

— ისე...

— კარგი ერთი, თუ გიყვარდე, ტატას ნულა გაარისებ... შენს გასართობად

მოიგონა სულ ეს ნადირობა... მაინც, რათახანია მე და შენ აღარ გვინადირნია...
მგონი ერთმელ რომ ცხენმა გაგიტაცა, მას შემდეგ...

ჰერას უნდოდა კიდევ ეთქვა რალაც, მაგრამ უცებ შესწყვიტა დასთან
საუბარი და თავის ცხენს ფაფარზე ხელი დაუსვა.

მარისიმ მწარედ გაიღიმა.

უკვე სანადირო სანახებში შედიოდნენ.

სკირგაილომ ცხენი იქ შეაყენა, სადაც, ველზე განდაგან გავლის შემდეგ,
ჭაობის მღორე მდინარე ტყეში იკარგებოდა...

მისი ბრძანებით ამაღამ ცხენები იქვე ტყის პირას დააბა.

ძაღვები გაუშვეს:

მაღე მონადირენი ტყეში გაიფანტნენ.

თვითონ სკირგაილო კი ისეთ დასამხარ ალაგას გაიერდა, საიდანაც ტყი-
დან გამორეკილი ნადირი მის ტყეის ვერ ასცდებოდა.

დებიც მამის შორიანლო დადგენ.

ღრუბლებიდან მხემ გადმოიხედდა.

ტყიდან კანტიკუნტად მოისმა თოფის სროლა და ძაღვების ყევა.

მარისია უგულოდ გასცქეროდა სივრცეს, მდინარის გაღმა ხელისგულივით
ვაკე ველს და მის იქით ცის კიდემდე გაშლილ ჭაობს. ამ ჭაობის ახლოს აკოცა
პირველად მას ალესმა.

კარგახნის სიჩუმის მერმე მან დას ხმადაბლა ჰკითხა:

— ჰერა, ხედავ შორს, უსაზღვრო ჭაობის შუა, რალაც ჭობისებური ჩანს
ნუთუ იქ ადამიანი ცხოვრობს?

— აბა სად?

— აი, აი — იქ, ირგვლივ პატარა ტყე რომ ღობესავით არტყია.

— ვხედავ, ვხედავ! მაგრამ ჭაობში გორას რა უნდა. ან ამ გორაზე სახლს? —

გაოცებით თქვა ჰერამ, ცხენს სადავე მოსწია და ხელში თოფმოძარჯვებულ
მამასთან მივიდა.

— ბატკა, იქ, ასე შორს და განმარტოებით ვინ ცხოვრობს? — რიდით
მიმართა ჰერამ მას.

სკირგაილომ უხალისოდ მოატრიალა ცხენი და ჰერას გაშვირღო თითს
თვალი გააყოლა.

— მელირე მიხსია, — დაგვიანებით და უგემურად უბასუხა სკირგაილომ.

— მართლა?! — აღტაცებით წამოიძახა ქალმა და თანვე მუდარით დაუ-
მატა — უბრძანე, მარისიას ქორწილზე მოიყვანონ. დიდხანია მისი ღირის ხმა
აღარ გამოიგონია.

— როდელია შეძლია სიარული. დაბერდა. — კვლავ გულგრილად უთბრა
სკირგაილომ შეიღს და ტყეში ატეხილ ხმაურს ყური დაუგდო.

— ამასწინათ მინსკს იყო, ბატონო. თვითონ ვნახე. — წამოცდა იქვე ქვეი-
თად მყოფ მებუკეს და ბუკი ხელში შეატრიალა.

სკირგაილომ მრისხანედ გადახედა მებუკეს, მაგრამ ამდროს სადღაც თოფი
გავარდა, ტყემ დაიხუვლა და სკირგაილომ მკვახელ ბრძანა:

— უფაგა!¹

სროლის შემდეგ საოცარი მყუდროება დადგა. ტყიდან ჩამჩუმოდ აღარ ისმოდა. კარვანის დარაჯობის შემდეგ სკირგაილომ თავი უქმაცოფილოდ გაიქნია და თოფს ხელახლა გაუსინჯა ფალია.

— ტატა, რატომ არ გინდა მიხასიცი დაესწროს მარისიას ქორწილს? — გულუბრყვილოდ კვლავ ჰკადრა მამას ჰერამ.

— ვეშაქმა წაიღოს მისი თავი! რას ჩააცვიდი ვილაც საპყარ მელირეს, როცა პანს რჩეული მუსიკოსები თან მოყვებოდა. ესეც არ იყო, იმ ბებერ ქინკის ბუნჯას ირგვლევ ისეთი უძირო ქაობები არტყია, რომ მასთან წასვლას გიყის მეტი ვერაყინ გაბედდაყს.

— თვითონ მე წავალ... თვითონ მე ვთხოვ ქორწილზე შეწვიოს! — უცერად უცნაური ხმით წამოიძახა ამდენხანს გარინდებულმა მარისიამ და ცხენი ყალყუზე შეაყენა.

— ხომ არ გავიყიდი! — შეჰყვირა სკირგაილომ, მაგრამ მარისიას აღარ გაუფონია მისი სიტყვები. ის უკვე მდინარის გაღმა იყო და ფრთებგამოსხმულ ცხენს გამალღბით სცემდა მათარახს.

სკირგაილო მაშინვე დაედევნა უკან.

ჰერამაც კვილით შეადლო ცხენი მდინარეში და გაღმა გაიქრა.

გაოცებული მეტუყე ხედავდა, თუ როგორ მიქროდა სამი ცხენი ტრიად მინდორზე, როგორ თანდათან პატარავდებოდენ მწყრივად მარბენალი მხედრები და თავის-და-უნებურად ბუყს მთელი ძალღონით ჩაბერა.

როცა ტუჩიღან ბუყი მოიცილა, მარისიას თეთრი ცხენი უკვე აღარ ჩანდა.

სკირგაილო სუნთქვაშეკრული მისდევდა შვილს.

— ჩქარა, მგლის არჩივო! — უყვიროდა ცხენს ის და მათარახის ნაცვლად თოფის კონდახს ხან ვავაზე სცემდა, ხან ფერდებზე.

სკირგაილომ შეატყო, რომ მას ვეღარ დაეწეროდა, ცხენი სწრაფად შეაჩერა, თოფი მოიმარჯვა და მარისიას ცხენს დაუმიზნა, მაგრამ გვიან იყო — ის უკვე ქაობში მიტოპავდა და თანდათან ეფღობოდა წებოვან ლაფში.

სკირგაილომ-ოთფი გადაადლო და ცხენი კვლავ გააქენა. ქაობის ნაპირს მიახლოვებულმა ქაობის ჯავნარში მხოლოდ ცხენის და მარისიას თავები დაინახა.

უკანა-ფეხებით დაძირულ ცხენს წინა-ტორები მაღლა აეშვირა და საზარლად ხრიალდა. ქაობი სწრაფად ისრუტავდა ცხენსა და მარისიას, ჯერ ცხენის ტორები დაიმაღლა, მერმე მისი თეთრი თავი, ბოლოს მარისიას თავიც ჩანთქა ხავსიანმა სქელმა წუმმემ და დარჩა მხოლოდ აპყრობილი, სიმწარისაგან თითებდაკვარჩხული მისი სათუთი ხეღები, გავვეული ამოტივტივებულ კაბის კალთებში.

სკირგაილომ ცხენი ნელა გამოატრიალა და ჩამორჩენილ ჰერას თავდახრილი შეეგება.

— ბატკა, ბატკა! მარისია? — მთელი ხმით შესძახა იან მამას და ცხენი შეაჩერა.

¹ უფაგა — ჩუმად.

სკირგაილომ პასუხის ნაცვლად მის ცხენს აღვირში მოკიდა ხელი და უკან გამოაბრუნა.

— მარისია! მარისია! — აქვითინდა ჰერა.

— ჩუ!.. ის ცრემლის ღირსი არაა. ჩვენს თავს მან ალესი არჩია... მისი სახელი აღარ ახსენო, — ჩახლჩილი ხმით უთხრა მან სახეშეცვლილ ჰერას და ცოტახნის მერმე ისევ გააფრთხილა: — გესმის, მისი სახელი აღარ გამაგონო! მე მხოლოდ ერთი შეილი მყავდა და მყავს. ეს შენ ხარ. დაგბრუნდეთ შინ... საქორწილოდ უნდა მოემზადო.

— როგორ?

— ჰო, ახლა შენ ხარ პატარძალი.

— რას ამბობ, ტატა, რას!.. მიშველეთ, მიშველეთ! — ცივი ხმით აკივლდა ჰერა და გონი დაკარგა.

ბუჟის ხმაზე შეგროვილი ამაღა სკირგაილოსაკენ მორბოდა.

მალა, ღრუბლებში გამწყრივებული წეროები მინსკისაკენ მიფრინავდნენ.

8

დაღამდა.

ცაზე დაღვრილმა კუპრმა მზის უკანასკნელი სხივი გადატეხა.

მთვარე არ ჩანდა.

ღრიადარო შავ ღრუბლებში აქა-იქ ვარსკვლავები იელვებდნენ და ისევ ჩაქრებოდნენ.

ამ კუნაპეტ ღამეში სკირგაილოს სასახლე ერთ დიდ კოცონად იყო ქცეული და მისი შუქი მთელ მინსკს ანათებდა.

სასახლეს ჩირალდნების მესერი ჰქონდა ირგვლივ შემოვლებული და მათი ალისაგან გაღავანი ცეცხლის ღობეს წარმოადგენდა. ჩირალდნები ერთო სასახლის აივნებზედაც, ხოლო ოთხივე კოშკის თავზე, ჩირალდნების გარდა, შუა ალაგას თითო აღამპრებული დიდი ქოთანნი იდგა.

ჩირალდანთა სხივები ბადესავით იშლებოდა სესლაჩისა და ვიავას ქველებზე. იგივე სხივები წვდებოდნენ მდინარეების გაღმა მღუშარე ტყეს და შემდეგ ციატით იკარგებოდნენ უკუნეთში.

ბრწყინვალე შუქი უხვად გამოკრთოდა სასახლის სარკმლებიდანაც. მარტო მარისიას კოშკის სარკმლები დაშრეტლიყვნენ ალესის თვალეზივით. მარტო მარისიას კოშკი იყო გამოკეტლი. სხვაგან, შიგნით თუ გარეთ, ყველაფერს საზეიმო იერი ელდა.

აღაყაფის ქიშკართან მდგარი იაკუბი ქალაქიდან და მახლობელ სოფლებიდან სასიეროდ მოსულ ხალხს არაყს აძლემდა. მოზღვავებული ქალი და კაცი ჩირალდნების შუქზე ერთმანეთში ირეოდა. იქვე ფანდურს უკრავდნენ; ცოტა მოშორებით, გაშლილ მინდორზე, გოგო-ბიჭები ცეკვავდნენ; საღლაც გუნდად მღეროდნენ. ზოგი უკვე მთერალი იყო და ლანდივით დაბორილემდა მოკრიამულე მოედანზე.

ყველაზე უფრო მოურავს ეტყობოდა მოლხენა. ასეთი მზიარული ის არავის ენახა ჯერ. იაკუბნი თავის ხელით უსხამდა ახლად მოსულებს არაყს და თან ღლინებდა.

ბანდახან ფარეშებს შეუძახებდა, რომ კვლავ მოეტანათ ხორავი და არაყით სავსე კასრები.

ბატონის გამონაცვალ ჯუბაში იაკუბს მხრები ღლად გაეშალა. სკირგაილოსგანვე ნაჩუქარ ხმალზე ის ხშირ-ხშირად იკიდებდა ხელს და მუდამ მოხამხამე ცბიერ თვალებით მის წინ მოფუსფუსე ხალხს ახლა მოწყალედ უცქეროდა.

— მიხასი მოვიდა, მიხასი! — გაისმა უცებ ალტაცებული ყვირილი.

— ო — ო — ო! აქეთ, აქეთ, მიხასი! — ალერსით გადასძახა მოურავმაც მელირეს და თანაც ხალხს ანიშნა მისთვის გზა დაეთმოთ.

მობუტს ყოველ მხრიდან მზიარულად ესალმებოდნენ და ყველა ღირაზე დაკვრას თხოვდა. მოურავმა მოახლოებისთანავე მას არაყით სავსე კაზხა მიაწოდა და ღიმილით უთხრა:

— აჰა, ჩემო მიხასი, ჯერ ეს დაცალე!

— გმადლობ, მოურავო, ჩემი გული არაყს ველარ იტანს. — მშვიდად სთქვა უარი მელირემ.

— თავს ნუ იკატუნებ, არც ისეთი ბებერი ხარ, დალიე-მთქი!

— დალიე, მიხასი, დალიე, უფრო კარგად დაუკრავ ღირას. — მოურავთან ერთად შეუძახა ხალხმაც.

— არა, მოურავო, ტყვილა მატან ძალას.

— მაშ დაუკრი! — ახლა ნაწყენ კილოთი მიმართა გაწბილებულმა იაკუბმა.

— რატომაც არა, დავუკრავ, მაგრამ ჯერ ბატონს უნდა ვეახლო, — იმვე მშვიდი ხმით უბასუხა მიხასმა, და როცა მოურავს გაოცება შეიტყო, ბეჯითად დაუმატა:

— დაბარებული ვარ.

— ჩემთვის რომ არაფერი უთქვამს?

— არ ვიცი. მე-კი მეგონა — ჩემთან ბატონის სიტყვის მომტანი შენი გამოგზავნილი იყო. — კვლავ სარწმუნოდ უთხრა მიხასმა დაფიქრებულ იაკუბს.

— მიხას, ერთხელ მაინც დაუკარი, ერთხელ! — შეეხვეწა ვილაცა.

— ისედაც დაეიგვიანე. ბატონი გამირისხლება! — ყველას გასაგონად სთქვა მან და მოურავს მიუბრუნდა:

— რაღას მაყოფნებ?

დაქვებული იაკუბი უხალისოდ გაუძღვა მობუტს. შევიდა თუ არა მელირესთან ერთად ჭიშკარში, მან ალაყათის მცველები გააფთხილა, საგუშაგოს არ მოსცილებოდნენ და მის დაუყოთხავად არც ეზოში შემოეშვათ ვინმე.

გუშაგებმა ჭიშკარი სწრაფად მიხურეს, ურდული გაუყარეს და მოურავის უკან მიმავალ მიხასის თვალი გააყოლეს.

სასახლემდე ფართო და ლარივით სწორ გზას ორივე მხრივ ნაძვის ხეების მწყრივები მიყვებოდა. ეზოში ისმოდა ფარეშების აჩქარებული ფეხისხმა; თეფშების ჩხრაილი და დარბაზიდან ბაღში მალულად გამოსულ ქალ-ვაყის აღგზნებული ჩურჩული. ჩირაღდნების შუქი იჭრებოდა ხისა და ხის შუა და მიხასი მტკიცე ნაბიჯით გადადიოდა ერთ ნათელ ზოლიდან მეორეზე.

ისინი უხმოდ ავიდნენ სასახლის ქვის განიერ კიბეზე.

— აქ დამიკადე, ბატონს მოვასვენებ. — უმადურად უთხრა აივანზე მოუ-

რაგვა მიხასის და დარბაზის კარს მარტო ზიადგა. ზან ჯერ ჯუბის კალთები და ქმარი გაისწორა, ქუდი ღლიაში ამოიჩარა, ხან წვერზე დანსვა ხელი, ხან ხმლის სადავეს შეეხო და ასე კარგახნის ყოყმანის მკრძე კარი მოწიწებით შეიღო.

ვიდრე ის კარს მოხურავდა, მიხასიც შეკიდა შიგ

ნაირ ლამპრებით და ქაღებით გაჩაღებულ ვრცელ დარბაზში ნხიარული ხმაური იდგა. დარბაზის შუა, სიძე-პატარძლის რგვალ მაგიდის აქეთ-იქით, ირბად გაშლილ სუფრებთან ისხდნენ ბრწყინვალედ მოსილი შემთავალი სტუმრები.

მამაკაცების ტრფილაზე ლაწებშეწითლებული ქალები კდემამოსილებით კისკისებდნენ. მათი კვეკლუტობით ვენებააშლილი პანები ვერცხლის სურებიდან ჩქარ-ჩქარა იგებდნენ შარბათით სასმისებს და ულაყებივით ქიხივებდნენ.

მიხასის თავხედობით დაბნეული და ბატონის შიშით დამფრთხალი იაკუბი უძწეოდ უცქეროდა წრეს გადასულ წვეულებს. მიხასი-კი ქანდაკივით იდგა და სბეტაკი წვერი ლამპრის ანარეკლზე თოვლივით უბრწყინავდა.

— იაკუბს ჯილდო, მიხასის მოყვანისათვის! — ერთბაშად დაიძ ხა ერთმა სტუმართავანმა და ყველამ კარისაყენ მიიხედა.

სიძე-ქალიშვილის პირისპირ მჯდარი სკირგაილო მიხასის ხსენებაზე მყსვე წამოიღდა.

— ვინ მოგცა აქ შემოსვლის ნება! — ტყეიასავით ესროლა მან მოხუცს.

— ტატა, მე დავბატეჟე მიხასი... თხოვე ლირაზე დაუკრას. — დაასწრო მოხუცს პასუხი ჰარნაია ჰერამ და მთროლეარე ხელით სავსე თასი გაფიცებულ ტუჩებთან მიიტანა.

სკირგაილო უქმყოფილოდ შეიშმუნა, მიხასის ერთხელ კიდეე შეანათა რისხვით ავიზგიზებული თვალები და ძალაუნებურად დაჯდა.

სიხუმე ჩაზოეარდა.

სასოწარკვეთილებით შეპყრობილ იაკუბს თავი ჩაეკინდრა.

ჰარნაია ჰერა დედისეულ სავ რძელში თანდათან იფერფლებოდა. მის გვერდით სიმამრის ტახტზე მედიდურად იჯდა რაძივილი და რგვალ თითებით სტაფილოს მსგავს უღვაშებს ნელა ისწორებდა, თანაც თვალს არ აშორებდა ნიოწამხდარ სკირგაილოს. ბოლოს კვერცხის გულივით ყვითელსა და უბუსუსო თავზე ხელი გადაისვა და მიხასის დაუწყო ცქერა. მელორე ისეე უძრავად იდგა კართან, გრძელტარნიან ნაჯახებით ხელში გაქეავებულ გუშაგებს შორის.

— დაუკარი, მოხუცო! — მოულოდნელად მოესმა მას რაძივილის ხმა.

— დაუკარი, დაუკარი! — მთელმა სუფრამ აუბა მზარი პანს და კვლავ ატყდა განგაში.

— დაუკარი! — გაიმეორა თავაუღებლად სკირგაილომაც.

მიხასმა წინ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ცალ მუხლზე ჩაიჩოქა, ლირას ირმის ტყაიის ბუდე გააძრო და სიმებს თითები შეახო.

ჯერ ერთმა სიმმა გაიწკრილა, მას მეორე აყვა, მესამის ხმა მსმენელთ შიგ გულში ჩაწვდა და დარბაზი აიესო საამურ ჰანგებით.

ყველა განიბა.

რაძივილის მიერ საგანგებოდ მოყვანილი მესაკრავენი გაოცებულნი უსმენდნენ უქნაურ მოხუცს.

მაღე ლირის ტკბილ ქლერას თანდათან სევდა შეეპარა და საიდნლაც ციგმა ნიაგმა დაქროლა. ჰარნაია ჰერას ცახცახი დააწყებინა.

იღმები თითქოს მოსთქვიამდენ აღესისა და ჰარნაია მარისიას მწარე ხვედრს, თითქოს ჰერას ლირა უსაყვედურებდა დის ადრე დავიწყებას, თითქოს ლირა კიცხავდა მას იმისათვის, რომ მზხუც რაძივილს დის მაგივრად მისთხოვდა, რომ ის ქორწილს იხდიდა იმ დროს, როცა ქაობში ჩაფულული მარისია ჯერ კიდევ თბილი იყო.

ლირის გოდებამ მოაღბო სკირგაილოც და ის ლამის სინანულმა შეიპყრო, მაგრამ უეცრად ლირამ კილო იცვალა და უსასოოდ ქლერის ნაცვლად სიმებმა დრტივინვა იწყეს.

ამდენხანს დაბუქული თვლები მიხასმა თართოდ გაახილა და სიმების ქუხილს თავისი ბოლბოინი ხმა ააყოლა:

სკირგაილო, სკირგაილო —
შენი თასი მინანქარის
ხალხს სისხლით სასვე არის.

სკირგაილო, სკირგაილო —
და ეს კოშკიც, ბინა შენი,
ხალხის ძელებით გაქვს ნაშენი.

სკირგაილო, სკირგაილო —
გულს გიხაზებს ცრულთ აუზი,
მაგრამ ცოდვაჲ ჩაგეთვლება
რომ გუფგები რაკაუსი
გაიკეთე ბიჭდის თვლებად.

სკირგაილო, სკირგაილო —
მიტყევაბს ტყვილად ითხოვ,
რადგან სხებმა არ იციან,
მტარვალს ისიც უნდა ჯკითხო:
სად გყავს ახლა მარისია?

ლირისა და მიხასის უკანასკნელი ხმა ჰარნაია ჰერას საშინელმა კვილიმა დაფარა.

— გაჩუმდი, ბებერო ძალო! — არაადამიანური ძალით იყვირა სკირგაილომ და გიჟივით ფეხზე წამოხტა.

მთელი სუფრა აფორიაქდა.

ქალები სავარძელში გონწასულ ჰერას მიცვიდენ.

რაძივილი გვერდზე გადა.

— გაათრიეთ, გაათრიეთ ჩქარა აქედან, ეს მაწანწალა და დაუყოვნებლივ დასწვიეთ ცეცხლზე თავის ლირიანად! — მრისხანედ დაუღრიალა მცველებს სკირგაილომ და ხელში შერჩენილი ვერცხლის თასი ჩვარივით დაქმუტა.

9

ჰარნაია ჰერას კოშკის მოშორებით, სვისლაჰის ნაპირას, იაკებმა თვითონ შეაყენა მიხასი ხმელ შეშის ზვინზე და მსხვილ ბოძზე მიკვრა დაუწყაო.

მოხუცი მშვიდად იყო, მხოლოდ მაშინ გაიბრძოლა, როცა მოურავმა ლირის წართმევა დაუპირა.

გაკერპებულმა მიხასმა ჯალათს არც ლირა დაანება და არც ხელეგის შეკრის საშუალება მისცა.

მოურავს უნდოდა ბატონის მოსვლამდე ყოფილიყო ყველაფერი მზად, ამიტომ მოხუცს ლირა ხელში შეატოვა. სამაგიეროდ მთელი ტანით ისე მაგრად მიაკრა ჯაკვით ბოძზე, რომ მელიორეს სუნთქვა გაუძნელდა.

იაკუბმა ერახელ კიდევ შემოუარა საყოცონე კვარცხლბეკს და შეიარაღებულ კარისკაცებს უბრძანა ახლოს არავინ მიეშვათ.

თვითონ იქვე გაჩერდა და ბატონს ლოდინი დაუწყაო.

რამდენიმე ხნის წინათ ალაყაფთან მოლხენილი ხალხი ახლა ხმაგაკმენდილი იყო და გაოცებული შესტკეპროდა საზარელ სურათს.

ყველას ენანებოდა მიხასი, ყველას აშფოთებდა მისი წამება, მაგრამ ხმის ამოდებას ვერავინ ბედავდა.

მიხასმა თვალები დახუჭა, რომ ჩირაღდნების შუქზე არ დაენახა მისდაბეჭდო სიბრაღით დაღვრემილი სახეები.

ამდროს გაისმა ბუკის ხმა და გამოჩნდა სკირგაილო სტუმრების თანხლებით. მათში ერთი რამდენიმე ქალიც.

ისინი მოდიოდნენ ნელა და უხმოდ.

წინ მოუძლოდათ ჩირაღდნიანი ფარეშები, ხოლო უკან მოყვებოდათ ხელშუბიანი მკვევლები.

სკირგაილო თავის ამალით კოშკთან შეჩერდა, ამღვრეულ თვალებით მან ერთი ირგვლივ მიმოიხედა, მერმე სიძესთან ერთად რამდენიმე ნაბიჯით წინ წაიწია და წყვილიაღში გაისმა მისი გაათურებული ხმა:

— შეუთეთ!

აქეთ-იქით ჩამწყრივებულმა მკვევლებმა შუბები მოიმარჯვეს, ფარეშებმა ჩირაღდნები მალა ასწიეს და სკირგაილოს ბრძანება ბუკმა გაიმეორა.

ხალხს ყრუანტელმა დაუარა

იაკუბმა თავის მხლებელ ფარეშს ჩირაღდანი სწრაფად გამოართვა და ბახამოსხმულ შეშის ხეავს რამდენიმე ალაგას ცეცხლი გაუჩინა.

მოხუცი კვამლში გაეხეია. მალე ბოლის ნაცვლად შეშებიდან ცეცხლის ენები აოიშართენ და მიხასი კვლავ გამოჩნდა თავისი ლირით.

ღამის ნიავე თავშიშველ მოხუცს ნელა ურხევდა თეთრ თმას და გულში ჩახუტებულ ლირაზე დაფენილ წვეკრს.

ცეცხლი თანდათან ძლიერდებოდა, და როცა აღი ფეხებზე მოედვა, მიხასმა საცოდავად დაიგმინა, მაგრამ ისევ სწრაფად შეიკავა თავი, უცებ ძალაგამოლეულ თითებით ლირა ამეტყველა და უცნაურად აქლერებულ სიმებთან ერთად სკირგაილოს წყვეა ცას შეჰღალადა:

სკირგაილო, სკირგაილო—

არ გელირსოს თვალზე რული
და ცხოვრება გჰონდეს კრული.

— ცეცხლი! — დაიქუხა სკირგაილომ.

სკირგაილო, სკირგაილო—
მზე ჩადის და მზე ამოდის,
მაგრამ შენი გული ლოდის,
დაჩვეული სისხლის ღვაპებს,
აწი ველარ გაიხარებს.

— ცეცხლი! ცეცხლი! — შეჰკვილა მოურავს სკირგაილომ და ნაბიჯი წინ წადგა.

იაკუბმა კოცონს სახმილი მიუმატა და აბრიალებული ალი წელამდე მისწვდა მოხუცს. მიხასმა ღირა მალღა ასწია, რომ მასზე ადრე თვითონ დალუპულყო.

ჰავრში გადაა ადამიანის დამწვარი ხორცის სუნი.

მიხასი მავრად აქერდა კბილებს ერთმანეთს, მაგრამ ხანდახან კენესა მაინც ამოხდებოდა.

მკერდამდე ცეცხლში მდგარი მიხასი თანდათან კარგავდა ღონესა და თვალის ჩინს, მაგრამ ღირა-კი ისევ მალღა ეჭირა.

ერთბაშად უბელო ცხენით ქარიშხალივით მოვარდა ვილაცა, ჯერ ბასრი დაშნა ცალ თვალში ისარივით ტყორცნა რაძივლს, მერმე იმავე სისწრაფით სკირგაილოს ქამანდა ესროლა, ცხენი ნოატრიალა, კოკონთან მიიჭრა და მიხასის ღირა ხელიდან გამოსტაცა.

ვიდრე ვინმე გონს მოვიდოდა, მხედარი მოჩვენებას ვით გაქრა. კოცონის შუქზე შორს მოჩანდა მხოლოდ ყელში საბელწაჭერილი სკირგაილო, რომლის მიწაზე ათრეულ ტანს თან შიპროლებდა „ცხო მხედარი“.

— დაიჭირეთ, არ გაუშვით! — ძლივს ამოიდგა ენა იაკუბმა, როცა სკირგაილოს ტანიც ჩანთკა წყვილიადა.

— ცხენები, ჩქარა, ცხენები! — გამ აეზაურა ვილაცა შიშისაგან თვალბგადმოცვენილ მოურავს.

ატყდა მცველების ჩოჩქოლი და ყვირილი.

მექორწილენი უხულოდ დაცემულ რაძივლს შემოეხვიენ. მას თვალში მოხვედრილი დაშნა კეფაში გასვლოდა და თავპირხ სისხლით ჰქონდა შეღებილი.

— ალესის ძმა იყო, მიკოლა. — კარგახნის მერმე გაისმა მანამდე მღუმარედ გაჩერებულ ხალხში და ამ სიტყვებმა ყველა გამოაუხიხლა.

— მიხასის ვუშველოთ! — აგუგუნდა ხალხი, მაგრამ მიხასი უკვე კვარავით იწვოდა.

მ ი ნ ს კ ი

1935, ივნისი—1936, თებერვალი.

კლასიკური მამაკვიდრობა

6. ა. ნეკრასოვი



მოქალაქე (შემოდის)

ისევ მარტოა და წარბეჭკოლი,
წეეს და არაფერს იგი არა სთხზავს.

პოეტი

დასძინე: კმუნაეს და ძლიესლა სუნთქავს—
მაშინ პორტრეტი იქნება სრული.

მოქალაქე

კარგიც იქნება! პატიოსნება,
არც უნო, მერწმუნე, არ არის მასში;
ეს მხოლოდ სრული სიმახინჯეა,
წოლა ხომ მხეცმაც იცის ბუნავში.

პოეტი

მერე რა?

მოქალაქე

მიძიმს მე უენი ცქერა.

პოეტი

მაშ წადი!

მოქალაქე

მაგრამ ნეთუ არ გჯერა!?
სირცხვილი არის, დროა დგებოდე!
ხომ იცი, ხანა დაგვიდგა ძნელი,
ვისაც აქვს გრძნობა მოვალეობის,—
გული მართალი, მოუსყიდველი,
ვისაც აქვს ნიჭი, გამჭრიახობა,
არა, მას ძილი არ შეშვენის დღეს...

პოეტი

დაუშვათ,—ვარ ეს იშვიათობა,
მაგრამ მე საქმე ხომ უნდა მქონდეს?

მოქალაქე

ესეც ამბავი! შენ კი გაქვს საქმე,
შენ წაიძინე მხოლოდ დროებით,
გამორღვიძე; ბოროტი დაშგმე...

პოეტი

ჰა, ვიცო; ვიცო, სად ემიზნები!
მაგრამ მე ვვევარ-ნატყვიარ ფრინველს.
ლაპარაკისაც არა მაქვს თავი...

(იღებს წიგნს)

აჰა, პუშკინი! წაიკითხე და
ნუღარ იქნები ჩემი მკიცხავი.

მოქალაქე (კითხულობს)

„არა ცხოვრების მღელვარებისთვის,
ანგარებისთვის და საბრძოლველად, —
ჩვენ, დაეიზადეთ შთაგონებისთვის,
ტკბილ სიმღერის და ლოკის სათქმელად“.

პოეტი (აღტაცებით)

რა საუცხოვოდ დაწერილია!..
მე და ჩემს ძუზას რომ ცოტა მეტი
გეჭონოდა ჰკუა, ღმერთს გეფიცებით,
ჩემს ღღეში კალამს არ ავიღებდი!

მოქალაქე

ჩინებულა... შეესძახოთ ვაშა!
ისე დიდია იმისი ძალა,
რომ პოეტის სულს ნაღველი შავი
აგრე უეცრად ჩამოაცალა.
მეც გულით ვხარობ, სწორედ დრო არის!
მეც ვიზიარებ შენს ზეიმობას;
მაგრამ უნდა ვთქვა, შენი ლექსები
უფრო ცხოველად ხედება ჩემს გრძნობას.

პოეტი

რას რომე! თუმც ხარ კარგი მკითხველი,
მაგრამ კრიტიკი ველური მეთად;
შენ მიგაჩნივარ მე უდიდესად,
თვით პუშკინზედაც მაღალ პოეტად?
აბა რას ამბობ..?

მოქალაქე

არა, გეთაყვა!

შენ უთავბოლო პოემებსა წერ,
ძველია შენი ელეგიები,
ვულგარული გაქვს შენ სატირები,
მოუქნელი და მძიმე გაქვს ენა,
მაგრამ თუ მაინც დღეს სჩანხარ შენა,
ეს ისეთია: მზე რომ ჩაქრება,—
მკაფიოდ მოსჩანს ვარსკვლავთა კრება,
უსასტიკესად უკუნ ღამეში,
ჩვენ რომ განვიცდით კანკალით, ხენვით,
როს ნაეარდობდა ლაღად აფთარი,
კაცი კი იყო შიშით დამფრთხალი,—
მარჯვედ გეჭირა ხელში ლამპარი,
მაგრამ ღმერთს ალბათ არ სურდა ალი
ამართულიყო აჩირადღნებით,
და გადაბურღულ ქარში და ბნელში
ერვენებინა ხალხისთვის გზები.
მკრთალი სინათლე უკუნ ღამეში
საბრალოდ ბუუტავს, ოდნავ ღივლივებს.
ილოცე, დიღამ ადრე მოუსწროს
და შეგებოს იგი შვის სხივებს!
პუშკინი არ ხარ. მაგრამ, ვამზობ, დღეს,
სანან ვერ ვხედავთ ვერსაიდან მზეს,—
ვისაც აქვს შენებრ ნიჭი, უნარი,
სამარცხენია იყოს მძინარი;
სამარცხენია კვლავ უფრო მეტად,
როდესაც ვისმინთ ირგვლივ ვაგბას—
სწერდე ბუნების სიღამაზესე,
ან ტურფა სატრფოს უძღვნიდე ჭებას..
ღუმს ქარიშხალი, ლურჯი ფერებით
ცა ეჯიბრება უძირო ტალღებს,
სიო მთვლემარე და მოალერსე
ოდნავად არხვეს ზომალდის აფრებს,—
მიცურავს შნოზე ზომალდი ჩქარი,
მგზავრებსაც გული აქვთ მშვიდი, წყნარი,
თითქოს ზომალდის ნაცვლად მათ ფეხქვეშ
იყოს ხმელეთის მიწა მაგარი.
მაგრამ დასჭევა, აწივღდა ქარი,
ანდა გაღუნა, აფრა მოაძრო,
ეხლა ქადრაკის დრო აღარ არი,
ეხლა სიმღერის აღარაა დრო!
აი—ძალიც კი გრძნობს გაქირვებას,
გააფთრებული ქარს უწყებს ყეფას:

იმას ხომ ძალა არ შესწეს მტერი...
შენ კი რას იქმნდი ამ დროს, პოეტო?
ნუთუ მიუარდნილ კაიუტაში
შთაგონებული ხმა ტკბილი ქნარით
ჯარმაცთა სმენას დაატკბობდი, რომ
მათ დაევიწყათ ზრიალი ქარის?
ვთქვათ, არ ლაღატობ შენ მოწოდებას,
სამშობლოს მით რა მოვანება,—
როცა ყოველი კაცი ერთობლივ
მხოლოდ თავის თავს ეთაყვანება?
ძლიერ ცოტაა იმისთანები,
რომ სამშობლოსი იყვნენ ერთგულნი,
გამარჯვება მათ!.. დანარჩენები?
არიან ფუჭნი, გამოფიტულნი.
ზოგი ქურდია და წამღვლევი,
ზოგი — მგოსანი — ჭიკტიკებს ტკბილად,
ზოგიც ბრძენია. ქებული დიდად:
მათი საქმეა მსჯელობა გრძელი, —
და უმოქმედოდ ცალკე დგებიან,
მუდამ ერთ სიტყვას გვეუბნებიან:
„არ გასწორდება ჩვენი თაობა,
ყტულიად რატომ დავიღუპათ თავს,
ჩვენ ვუტყვი: იქნებ დრო შეიცვალოს
და ვამაყობთ, რომ არას ვშვრებით ავს!“ .
პლურავეს ხრიკებით თვალმაქცი მტრელი
თავმოყვარებას, თავის ოცნებას,
მაგრამ... ძმაო, შენ ნუ აყევი მას!
ნუ გწამს ლოგიკა შენ სამულველი.
იმათი ბედი შენ არ გაიყო,
საქმით ლატაკთა, სიტყვით მდიდრების,
რაზმში ნუ შეხვალ შენ უფლებების,
გამოსადეგი როს ძალგამს იყო!
ვით დედის ტანჯვას და მწუხარებას
მშვიდად უტკიროს, ვერ შესძლებს შვილი,
ვერც მოქალაქე შესძლებს ვარგისი —
სამშობლოსადმი იყვეს გულგრილი,
კვლავ უმწარესი სად არის დარდა!
სამშობლოსათვის ცეცხლში ჩაეარდი,
მოკვდი რუმენისა და ტრუფობისათვის...
მოკვდი ამაყად, დაუძრახველი.
ეს თავგანწირვა არ არის ფუჭი,
სისხლი ტყელიად არ იღვროს ცხელი.

შენ კი, პოეტო! რჩეულო ზეცით,
სიმართლეს შენგან რომ ელის ერი,
არ დაიჯერო, რომ შენი ქნარის
არ იყოს ღირსი კაცი მშვიერი.
ნუ გწამს, რომ სულ მთლად დაეცა ხალხი;
კვლავ ცოცხლობს ხალხის სულში ზენარი,
და ღლადისი მორწმუნე გულის
მისთვის ყოველთვის საგრძნობი არი!
შენ მოქალაქე იყავი! ნურას დროს,
როს ხელოვნებას ემსახურები,
ნუ გავიწყდება შენი მოყვასი,
საკეთილდღეო გფლობდეს ფიქრები.
თუ ხარ მდიდარი ნიქიერებით,
გამოჩინებას ნუ ცდილობ კეხნით:
შუქი ცხოველი თვით შენს შრომაში
გამობრწყინდება, იელვებს ქვეყნად.
შებედე მუშას: იგი მაგარ ქვას
ტეხს და ამრავლებს თლილ ნაკოდალებს,
და თავის თავად ჩაქუჩის დარტყმა
აჩენს ნაპერწყლებს და ცეცხლის ალებს.

პოეტი

მორჩი?.. კინალამ დამეძინა მე.
ჰე, სად ჩვენა და სად ეს აზრები,
შენ ძალიან შორს აბიჯებ ხოლმე, —
სხვათა წვრთნას უნდა გენიოსები.
ამ საქმეს უნდა სული ძლიერი,
და ჩვენ კი ჩვენი მცონარე სულით,
რომ მკრთალი არის და თავმოყვარე,
არ ვღირვართ არც ერთ სპილენძის ფულად.
სახელის განთქმას რომ ვესწრაფებით,
ვშიშობთ უეცრად დაგკარგოთ გზები;
ვცდილობთ ვიაროთ გატეხილ შარით,
და თუ ცოტათი გადაუხარეთ,
დავიღუპებით, არ გვინდა მეტი!
საბრალო არის როლი პოეტის.
ბედნიერია ის მოქალაქე,
ინც ბავშვობიდან არ იცნობს მუშას,
იგი დასახულ მიზნებისაკენ
განაგრძობს მშვიდად თვის მადლიერ გზას
და მის შრომასაც აქვს წარმატება...

მოქალაქე

უცნაურია ეს განმარტება.
მაგრამ შეგვეფეროს ასეთი ბჭობა?
შეგვიძლო გეთქვა უფრო მართალი:
არ გვევლება რენ პოეტობა,—
მოქალაქის კი მულამ გდღეს ჭალი.
და მოქალაქე მართლა ვინ არის?
ერთგული შვილი სამშობლო მხარის.
კმარა ვაჭრები და კადეტები,
ჩოხელები, ახნაურები,
საკმარისი გვყავს თუნდ პოეტებიც,
მაგრამ ჩვენ გვინდა მოქალაქენი.
და სად არიან? დღეს ვინ არ მგოსნობს,
არ წინამძღოლობს, არ სენატორობს,
ვინ გნებავთ, რომა თავს გმირად არ სცნობს,
არ მეურნეობს, არ პლანტატორობს.
მოქალაქე კი საშობლო მხარის,
აბა მიჩვენეთ, ერთი, სად არის?
სად ხარ?! ხმა ვამეც!—არსიდან ხმა.
და ვერ გაიგო ვერც თვით პოეტმა
მისი ღიადი იღვალეები.
მაგრამ ჩვენ შორის იგი თუ არი',
უთუოდ ტირის, ცრემლებს ღვრის ცხარეს...
დი შენ კი ნუთუ მას ეჭოლები?
ცა სქექს, უფსკრული ექადის შთანთქმას
თავისუფლების უსათუთეს ნავს,—
პოეტი კვნესით მაინც იღებს ხმას,
მოქალაქე კი ენაუთქმელად
მძიმე უღლის ქვეშ ლუნავს ხოლმე თავს.
როდის ლა... მაგრამ ვდუმვარ... ჩვენშიაც,
თუმცა ცოტანი, მაინც ყოფილან
ნამდვილნი, ღირსნი მოქალაქენი.
ხომ ვაგვიცა, რარიგ ტანჯულან?...
ზარმაცო! მათ წინ დახარე ქედი!
სასაცილოა ოცნება შენი,
და ქარაფშუტა წუწუნი ყბედი!
აზრი არა აქვს შენს შედარებას.
თუ სიტყვა გინდა მართალი, წრფელი:
პოეტს ლაყბობა მაინც გვრის შევბას,
მოქალაქე კი ენაუთქმელი
იტანს სევდასა და გაჭირვებას!

პოეტი

ვინაც ისედაც ნაქვემი არის,
ძნელი არაა კვლავ ცემა მისი.
სწორად სჯი: მგოსნის ბედი სჯობია—
ახატ სიტყვაში არის ხალისი.
მაგრამ მე წილი მიღვედა მასში?
ეპა, იმ ჩემს ნორჩ უმაწვილობაში, —
რომ უნგარო იყო და მძიმე,
გონიერებას არ დავდევდი მე;
მაშინ ფიცხ მერანს დავაქენებდი.
არა ვარდებით—ჭინჭრით და ნარით,
იყო შექმული მისი ფაფარი, —
და სიამაყით პარნასს ვტოვებდა.
მაშინ მე შიში ვერ მიცვლიდა ფერს,
არ გაეუზბოდი წამებას, ციხეს,
საავადმყოფოს და ასამართლოს
მე შემოღია ხშირად კარები,
მაგრამ რაც მე იქ მინახავს ახლოს,
გახმეორებით აღარ მოგყვები...
ნამუსიანი ვიციოდი მტრობა,
თან წრფელი ტფურობა და მეგობრობა!
მაგრამ რა წამსაც ესმათ ჩემი ხმა,
ცილის წამება დაარქვეს შავი,
და მე ან უნდა გავკმენდილიყავ,
ან გამეწირა ზვარაკად თავი...
რა უნდა მექნა? არის ზედმეტი:
დავეძღურო ხალხს, დავსწყევლო ბედი.
რომ დამენახა ბრძოლა ფიციხელი,
ვერ შეაკრთობდა ჩემს გულს სიძნელი.
მაგრამ... დაღუპვა... ტყუილ-უბრალოდ...
როცა ოცი წლის ვიყავი მხოლოდ...
ჭაბუკს ცხოვრება წინ მიტაცებდა,
როგორც ზვირთები ლაღი ზღვის ლურჯის,
და სიყვარული მე მპირდებოდა
ყველა სიკეთეს თავის საუნჯის —
და სული ჩემი შედრკა დამფრთხალი...
მაგრამ რამდენიც იყოს მიზეზი, —
მართლის თქმა არის ჩემი მიზანი,
და მორცხვად თავს ვხრი, რომ მესმის სიტყვა
მე: „მოქალაქე პატიოსანი“.
იგი ბედითი, ფუჭი ალთ გზენბა
ღღმდისაც ჩემს გულს ისევ ისე სწავს

და თვით, გულწრფელად, მე მიაშობა,
 თუ ვინმე ზიზღით მესვრის ხოლმე ქვას.
 ეჰ, საცოდავო! რისთვის გასთელი
 ის წმინდა ვალი ადამიანის?
 სამაგიერო რა გხვდა ამ ქვეყნად—
 შენ ავადმყოფ შვილს ავადმყოფ ხანის?
 ო, რომ იცოდეთ ჩემი ცხოვრება,
 ტრფობა, უამება, ღვლავთა შეხლა...
 კუშტი, გულმძიმე, ბრაზმორეული
 სამარის კართან ვდგევარ მე ეხლა...
 ეჰ, ის პირველი ჩემი სიმღერა,
 იყო სიმღერა გამოთხოვების!
 მუხამ მწუხარედ დახარა თავი
 და, ჩემ ქვითინით, დამშოკდა მე ის.
 შემდეგ ვხვდებოდი ჩვენ იშვიათად:
 ქურდულად მოვა, ნახავს ჩემს კერას,
 ჩამიხურჩულებს ცეცხლოვან სიტყვებს,
 ხან ქალაქისკენ, ხან უდაბნოსკენ
 მიხზობს, აღსავსე სურვილთა რიგით,
 მაგრამ გაისმის ბორკილების ხმა
 და უეცარად გაჰქრება იგი.
 მე მას სავსებით კი არ ვუფრთხობდი,
 მაგრამ რარიგად ვთრთოდი, ო, ვთრთოდი!
 როს ამ ცხოვრების სევდის ტალღებში
 მგელუბებოდა მე მეგობარი—
 ხან ზეცის გრგვინვას, ხან ზღვის სიშმაგვს
 მე გულუმბრყვილოდ ვუმღერდი ქნართ.
 დიდთა საამოდ, გასართობელად,
 წვირილ ქურდ-ბაცაცთა ვიყავ მკიცხავი,—
 ამ სითამამით მხოლოდ ვმაწვილებს
 ვაკვირვებდი და მომწოდა თავი.
 წლებს თუღელმა სული გაღუნა,
 ყველაფრისადმი გავხდი გულგრალო.
 და მუხამ სულ მთლად მაქცია ზურგი,
 რადგანაც ზიზღით იყო აღვსილი.
 ეხლა ტყუილად მე მოვეუხმობ მას—
 ეჰ! სამუდამოდ გაჰქრა, დამტოვა,
 მას, ვით ნათელ შუქს, ვეღარ ვპოულობ
 და აღარც ძალმიძს ოდესმე ვპოვო.
 ო, მუხავ, ნუთუ შენ შემთხვევითი
 იყავ სტუმარი სულის ვნებულის?
 თუ იღბალს სურდა, რომ მაღალ ნიჭით
 ენახა იგი ავღერებულო?
 ეჰ! ვინდა იცის? სასტიკი ბედი
 ყველაფერს ჰფარავს ბნელით ამიერ...
 მაგრამ მარტოდენ ეკლის გვირგვინი,
 ვიცი, შეჰჟურდა შენს პირქუშ იერს...

თარგმანი ზაინზლ ცხცხლჰარს

ნ. ა. ნეკრასოვი

(1821 — 1877)

რუსეთის ერთ-ერთი გამოჩენილი პოეტი, ნიკოლოზ ალექსის ძე ნეკრასოვი, იყო გლეხური დემოკრატიის იდეოლოგი. მარათალია, თავისი წარმოშობით ნეკრასოვი თავდა-აზნაურულ წრეს ეკუთვნოდა, მაგრამ ცხოვრების გამოცდილებამ ადრე გამოიჩინა ის ამ სოციალურ წრისაგან და გლეხობის აპოლოგეტად აქცია.

ნეკრასოვი იყო სამაზრო პოლიციის უფროსის შვალი. ბავშობიას ის მრავალჯერ ყოფილა იმის მოწმე, თუ რამდენ შევიწროვებას განიცდიდა რუსეთის გლეხობა, როგორც თავის მებატონეებისაგან, ისე თავაშვებულ ჩინოვნიკებისაგან. ამ გარემოებამ ჩაუნერგა ნეკრასოვს ის სიყვარული დაჩაგრულ გლეხობის მიმართ, რომელიც შემდეგ ასაზრდოვებდა მის მხატვრულ შემოქმედებას.

1832 წელს ნეკრასოვი შეიყვანეს იაროსლავის გიმნაზიაში, მაგრამ გიმნაზიის კურსი მას არ დაუმთავრებია, რადგან გამორიცხულ იქნა მეხუთე კლასიდან, როგორც ბიუროკრატიული სკოლისათვის შეუფერებელი მოწაფე. 1838 წელს მამამ გაგზავნა ნეკრასოვი პეტერბურგის სამხედრო სკოლაში სწავლის განსაგრძობად. მაგრამ სამხედრო კარიერა ნეკრასოვს სრულიად არ იზიდავდა, და მამის სურვილის წინააღმდეგ ის შედის პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად. ასეთი ურჩობით გაჯავრებულმა მამამ შეუწყვიტა თავის შვილს ნიეთიერი დახმარების მიწოდება, და უსახსროდ დარჩენილი ნეკრასოვი იძულებული შეიქნა საკუთარი შრომით ეძია საარსებო წყარო და ახლო გაცნობოდა პეტერბურგის ღარიბ ფენების ნახევრად-შვიერ ყოფა-ცხოვრებას. სწავლის განგრძობაზე ასეთ შევიწროვებულ მატერიალურ პირობებში შეუძლებელი იყო ფიქრი, და ნეკრასოვიც მალე ანებებს თავს უნივერსიტეტს.

ლიტერატურული მოღვაწეობა ნეკრასოვმა დაიწყო საგაზეთო ფელეტონებით და მსუბუქი ვოდველებით, რა ჰქონდაც ის აწვდიდა პეტერბურგის პერიოდულ გამოცემებს. ნამდვილი ლიტერატურის სახელი ამ ნაწერებს არ დაეკრძა, მაგრამ მათ მაინც თავისი მნიშვნელობა ჰქონდათ ნეკრასოვისათვის, როგორც ერთგვარ სკოლას მწერლობის საქმეში. ნეკრასოვი გაეცნო ამ დროს რუსეთის დიდი ლიტერატურის წარმომადგენლებს და დაუახლოვდა ბესარიონ ბელინსკის.

1840 წელს ნეკრასოვმა გამოსცა თავისი ლექსების პირველი კრებული („Мечты и звуки“), საყურადღებო ლიტერატურულ მოვლენას არც ეს კრებუ-


ლი წარმოადგენდა, ვინაიდან ნეკრასოვი აქ მხოლოდ იმეორებდა თავად-აზნაურულ რომანტიკოსების მიერ უკვე საკმაოდ გავრეილ ფორმებს. ვასაგებია ამიტომ, რომ კრიტიკა მტრულად შეხვდა ახალგაზრდა პოეტის ნაწარმოებს და ამით კარგი სამსახური გაუწია ნეკრასოვს, რომელმაც შეეგნო თავისი სისტემა და იწყო ენერგიული მუშაობა საკუთარი სტილის შესაქმნელად. ამ მუშაობის პროცესში ნეკრასოვი იპოვნებოდა თანდათან თავად აზნაურულ რომანტიზმისაგან, რომელიც ანც დროის მოთხოვნილებას შეეფერებოდა და არც ნეკრასოვის ლიტერატურულ ნიჭს.

დღი სარგებლობა მოუტნა ნეკრასოვს ამ მხრივ გოგოლის რეალიზმმა, რომლის გავლენით ნეკრასოვი შორდება პუშკინის პოეზიას, როგორც თავისი ლექსების თემატიკით. ისე მათი ენითა და მხატვრული სახეებით. ამიერიდან თავისი ახალი ლექსების თემას ნეკრასოვი ეძებს არა უსაქმურ ცხოვრებით განვლებიერებულ ადამიანის სუბიექტურ განცდებში, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტურ ფაქტებში და შეგნებულად აქცევს პოეზიას (არა გარეშე ლერმონტოვის გავლენისა) სოციალურ უსამართლობასთან შეურიგებულ ბრძოლის იარაღად. ნეკრასოვი ასწერს თავის ლექსებში იმ გაკვირვებულ ცხოვრებას, რომელსაც ქალაქებსა და სოფლებში ეწევიან ხალხის დაბალი ფენები. უმუშევარი ღურგალი, ნახევად-მშვიერი მეტლე, მძიმე შრომისაგან ნადარევი დამკნარი ასოთამწყობი, სიღარიბისაგან გალოთებული კალატოზი და მებატონის დესპოტიზმით გაანადგურებული გლეხი — აი ის ადამიანები, რომლებსაც გამოიყვანს ნეკრასოვი თავის ლექსებში. ბნელი და ცივი სარდაფები, სიდაც მხის სხივი არასოდეს არ შეიის, განაპირა უბნების ვიწრო და ბინძური ქუჩები, მუდამ მოღუშული და კვამლით დაფარული ცა, რომელსაც მხოლოდ თოვლქუაი და სუსხიანი ქარი ემეტება ადამიანისათვის — ასეთია კერძოდ ის პეტერბურგი, რომელსაც აგვიწერს ნეკრასოვი. და რომელიც განსხვავდება პუშკინის მიერ აღწერილ პეტერბურგისაგან: ნეკრასოვის რაზნოჩინცულ-დემოკრატიულმა პოეზიამ შეამჩნია პეტერბურგში ის შიმშილობა და ეპიდემიური ავადმყოფობა, ის სიღარიბე და გაკირვება, რომელიც საშინელ სიმძიმით აწვა ღარიბ ადამიანს და უდროოდ უსპობდა მას სიხარულსათვის მოცემულ სიციცხლს.

Не в залах бальных,
Где торжествует суета,—
В приютах нищеты печальных
Блуждает грустная мечта

სამართლიანად ამბობდა ნეკრასოვი საკუთარი მუხის შესახებ.

ნეკრასოვი იყო იმ წერილ მესაკუთრეთა კლასის პოეტი, რომლებსაც ჯერ კიდევ საცხებით არ ჰქონდათ დაკარგული საწარმოო იარაღები და რომლებიც ხშირად უფრო გაკვირებულსა. და ნაკლებად უზრუნველყოფილ ცხოვრებას ეწეოდნენ, ვიდრე პროლეტარები ამ გარემოებასთან არის უქვევლად დაკავშირებული ნეკრასოვის ლექსების დაღვრემილი კილო. ასეთი კილო უცხოა იმ სოციალურ



5. ნეკრასოვი

ნან. თ. გოგიტიძისა

„სრულიად აკლია ზოგჯერ ნიჭი“. ნეკრასოვის ლექსის ასეთს დაფასებას ფსიქოლოგიურად არ შეიძლო გავლენა არ მოეხდინა თვითონ ნეკრასოვზედაც, და ის ნშირად ამბობდა, რომ მის ლექსებს აკლია ქეშპარიტი პოეზიის თავისუფლება და მთავარი მათი ღირსება მხოლოდ სასარგებლო მოქალაქეობრივ გარემოების ვადვიძება ჩვეთხველვაში (ე. ი. არა ფორმა, არამედ შინაარსი). მაგრამ ნეკრასოვი ცდებოდა ამ შემთხვევაში და ამით ამტკიცებდა, რომ თვითონ მწერალს ჩუაუღებრივ უჭირს ობიექტურად შეაფასოს თავისი შემოქმედება და ნიჭიერ პოეტურ პრაქტიკას ყოველთვის არ სდევს თან აუცილებლად სწორი რეფლექსია ამ პრაქტიკის შესახებ.

ნეკრასოვზე უფრო სწორად შეაფასეს მისი პოეზია რევოლუციონური ინტელაგენციის წამომადგენლებმა. კოპოტიკინი და პლხანოვი ნეკრასოვის პოეზიაზე აღიზარდნენ და აღფრთოვანებით იგონებდნენ ყოველთვის მის ლექსებს. თვით ულიდეს რევოლუციონერს, ე. ი. ლენინს, უყვარდა ნეკრასოვის თხზულებები. არც ერთს პოეტს მანამდე არ მიუღწევია ისეთ ფართო პოპულარობამდე, რომლითაც სარგებლობდა ნეკრასოვი: მისმა პოეზიამ გააფართოვა ლიტერატურული პროდუქციის მომხმარებელთა წრე და მოუბოვა მას ახალი მკითხველები, როგორც ქალაქის ტარბი ფუნებს შორის, ისე მრავალმილიონიან გლეხობაში. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ნეკრასოვი აგრძელებდა ლიტერატურის დემოკრატიზაციის იმ დიდ საქმეს, რომელსაც აკეთებდა თავის დროზე ჯერ კიდევ კარამზინი. — იმ განსხვავებით ოღონდ, რომ არც კარამზინს, არც თავ:ღაზნაურობის სხვა რომელიმე მწერალს არასოდეს არ ჰყოლია იმდენი აღფრთოვანებული მკითხველი, რამდენიც ჰყავდა ნეკრასოვს. როდესაც ნეკრასოვის დასაფასებლად წარმოთქმულ სიტყვაში თე დორე დოსტოვესკიმ შეაღარა ნეკრასოვი პუშკინს, საზოგადოებიდან გაისმა სხა: „ნეკრასოვი პუშკინზე უფრო მაღლა დგას“. მთლად სწორი მსჯელობა ეს, ცხადია, არ იყო, ვინაიდან ნეკრასოვის სახით რუსეთის გლეხური დემოკრატია მხოლოდ ეძებდა თავისათვის საჭირო ლიტერატურულ სტილს და საკმაოდ კარგად იგი არ ჰქონდა მას ჯერ კიდევ ჩამოყალიბებულში. მაშასადამე, ნეკრასოვის პოეზიასაც აკლდა ის ელასიკური სისრულე, რომელიც პუშკინის პოეზიას ახასიათებს. მაგრამ ნეკრასოვის პატივისმცემელთა შეცდომა ადვილი გასაგებია, თუ გაეითვალისწინეთ, რომ ნეკრასოვის საფლავთან შეკრებილი საზოგადოება სოციალურად ახალ მოთხოვნილებებს უყენებდა მწერალს, და ამ მოთხოვნილებებს ნეკრასოვი უკეთესად აკმაყოფილებდა, ვიდრე პუშკინი. რაზნოჩინსკული ინტელიგენცია პოულობდა ნეკრასოვის ლექსებში თამამ მოწოდებას თავგანწირულ ბრძოლისაკენ ბატონ-ყმურ და თვითმპყრობეღურ რუსეთის დახაცვებულ ტრადიციასთან, მის უსამართლობასთან და ცინიკურ ძარცვა-გლეჯასთან, და ეს გარემოება აღფრთოვანებით ავსებდა ამ ინტელიგენციას. კიდევაც რომ ტლანკი და მოუხეშავი ყოფილიყო ნეკრასოვის ამა თუ იმ ლექსის ფორმა (პლხანოვს, მაგალითად, მოჰყავს ასეთი სიტლანქის ნიმუშები), ნეკრასოვის მოქალაქეობრივი პათოსით გატაცებული მკითხველი ვერც კი შეამჩნევდა ამას. „შენ შეგიძლია არ იყო პოეტი, მაგრამ ვალდებული ხარ იყო მოქალაქე“, ეუბნებოდა პოეტს ნეკრასოვი, და ასეთს შეხედულებას პოეზიაზე იზიარებდა

60-იანი წლების მთელი მოწინავე ინტელიგენცია, რომელიც პისარევის სახით დასტურდა „წმინდა პოეზიის“ თავად აზნაურულ კონცეპციას.

პირველი ლექსი, რომლითაც ნეკრასოვმა მიიპყრო ყურადღება, იყო ლექსი „გზაში“ („В дороге“), რომელიც 1846 წელს დაიბეჭდა. აქ გადმოცემულია ტრაგედია ბატონ-ყმობის უხეში ძალადობით დაღუპულ გლეხი-ქალის ცხოვრებისა. ბელინსკის მიუწონა ეს ლექსი და მის ავტორში გამჭვირვალე კრიტიკოსმა ნიკიერი მწერლას პოეტენცია დაინახა. არა ნაკლები ეფექტი გამოიწვია ნეკრასოვის მეორე ლექსმა „იავ-ნანამ“ („Иоаннелъная песня“), როველიც ანალოგიურ თემაზე იყო აგებული და რომელმაც ერთის მხრით დიდი აღფრთოვანება გამოიწვია პროგრესისტულ ინტელიგენციის წრეში, ხოლო მეორეს მხრით ალამფოთა რეაქციონური ბანაკი. ცნობილმა ლიტერატორმა ბულგარინმა საჭიროდ დაინახა დაუყოვნებლივ დაეგზავნებია ნეკრასოვი მესამე განყოფილებაში, წინაშე, როგორც „თავზე ხელაღებული კომუნისტი, რომელიც საშინლად გააყვირის რევოლუციის სასარგებლოდ“. ასეთი შედეგი ამ ორი ლექსისა აიხსნება, როგორც მათი თემატიკის, ისე მათი სტილის სიხალთით, რაც იმ ჯარემოების მაჩვენებელი იყო, რომ ნეკრასოვის რადიკალურად უქცევა უკვე ზურგი თავადაზნაურული ლიტერატურისათვის და მოუხანავს შემოქმედების ახალი გზა.

ლექსში „სამშობლო“ (1846) ნეკრასოვი ასწერს ბატონ-ყმობის ყოველცხოვრების საშინელებს და ემიჯნება იმ შაბლონურ პატრიოტიზმს, რომელმაც ოდესღაც თავისი კლასიკური გამოხატულება იპოვა კარამზინის სტატიაში „მამულისადმი სიყვარულისა და ეროვნული სიამაყის შესახებ“. ნაცკლად საამაყო საგნისა, ოფიციალური „სამშობლო“ იქცა ნეკრასოვისათვის ბინძური გარყვნილების, უგვილმანი ტირანის და უსაზღვრო მონობის სინონიმად — თუმცა ამავე დროს ისიც არის აღსანიშნავი, რომ შეცდომა იქნებოდა აქედან ისეთი დასკვნა გამოგვეყვანა, თითქოს ნეკრასოვს კარამზინზე ნაკლებ ყვარებოდეს თავისი სამშობლო: მართალია, ნეკრასოვი კიცხავდა სამშობლოს, არ ზოგავდა მისთვის მწარე სიტყვებს, მაგრამ, ისევე ნეკრასოვის ერთ რომ ვილაპარაკოთ, „უარყოფის ამ მტრული სიტყვებით ის ქადაგებდა სიყვარულს“, და სწორედ ამ დროს სიყვარულს შეეძლო მიეწოდებია ნეკრასოვისათვის ის შავი საღებავი, რომლითაც მან შეაფერადა თვითმპყრობელური სამშობლოს სურათი.

ნეკრასოვის კალამს ეკუთვნის მრავალი სხვადასხვა ეპიგრამული ნაწარმოები: ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, რეცენზიები, კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები, ფელეტონები. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ორი რომანი („ქვეყნის სამი მხარე“—1849 წ. და „მკედარი ტბა“—1851 წ.), რომელიც ნეკრასოვმა დასწერა პანაევის ცოლთან თანამშრომლობით, და ორი ნოველი („გამოცდილი ქალი“—1841 წ. და „უაქიზი კაცი“—1855 წ.). რაც შეეხება კერძოდ ნეკრასოვის რომანებსა და ნოველებს, მათი მიზანი იყო მიეწოდებია მკითხველისათვის სასარგებლო იდეაზე აგებული საინტერესო საკითხავი მასალა, და მხატვრული მათი ღირსებაც არ არის დიდი: ნეკრასოვის დამსახურება რუსულ ლიტერატურის ისტორიის წინაშე უმთავრესად მის ლექსებსა და პოემებშია საძიებელი. შევხებით აქ ნეკრასოვის ზოგიერთ თხზულებას, რომელიც განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ მწერლის შემოქმედებისათვის. ასეთი თხზულებებია

ლექსები — „დაიწყო სოფელი“, „სალდათის დედა ორინა“, „ფიქრები საპარადო შესავლის წინ“, „რკინის-გზა“, „თავისუფლება“, და 2) პოემები — „კინე — წითელცხვირა“; და „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარვად“.

ლექსში „დაიწყო სოფელი“ მოცემულია ბატონ-ყმური სოფლის უნუ-ფემო სურათი: მებატონეს მიუტოვებია თავისი მამული და გადაყოლია სატახტო ალაქში მზიარულ დროტარებას. უპატრონოდ დატოვებული გლეხები კი ამ-ობაში უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან: მუზობელ მემამულეს წაურთმევია ღლეხებისათვის სახნავი მიწა, გლეხებს კი თავი ვერ დაუცავთ; მოხუცებულ ნე-ილას ქოხი ლამის არის თავზე დანეგრეს, მაგრამ ბატონის ჩამოსვლამდე მას არ აძლევენ უფლებას გამოიტანოს ტყიდან ქოხის შესაკეთებელი მასალა; ახალ-ახრდა ნატაშას დაუფა გათხოვების ასაკი, მაგრამ არ შეუძლია ქმარს გაჰყვეს, ხანამ ბატონისაგან არ მიიღებს ნებათვას. მოუთმენლად ელოდებიან თავის ბა-ტონის ჩამოსვლას ყოველგვარ ინიციატივას წართმეული გლეხები და ერთი ნა-იკიცი ვერ გადაუდგამთ დამოუკიდებლად. მაგრამ მირბიან წლები, და ბატონი აღარ ჩამოდის. ბოლოს, ერთ მშვენიერ დღეს, კუბოში ჩასვენებულ ბატონს ჩამო-ტანენ სოფლად. მიცვალბულ ბატონს ჩამოყვება მისი მემკვიდრეც. მაგრამ ნა-ეკლად იმისა, რომ მოეგვარებია გლეხების საქმეები, ეს მემკვიდრე, მორჩება თუ არა მამის დასაფლავებას, ჩაჯდება კარეტაში და გაქრება. ასე „პატრონბრძენ“ თავის ყმებს მემამულეები.

ლექსში „სალდათის დედა ორინა“ ერთი მოხუცებული ქვრივი ქალის წინთ გადმოცემულია მისი სამწუხარო თავგადასავალი. ორინას ჰყავდა ერთად-ერთი შვილი, რომელიც ჯარში გაიწვიეს. დარჩა ბებერი ორინა ობლად, უმწეოდ, თავისი სუსტი ძალების ანაბარად და მოუთმენლად მოეღოს საყვარელი შვილის დაბრუნებას. ბოლოს, შვილიც ჩამოდის, მაგრამ მძიმე სალდათობას გაუტეხია მისი ჯანი, და ის ხელში ჩააკვდება საბრალო დედამისს. ლექსი ღრმა მწუხარებით არის გაჯენილი და სრულიად ამართლებს ნეკრასოვის სიტყვებს თავის თავზე: „მე მოწოდებული ვიყავი იმისათვის, რათა ამეწერა, განსაცვიფრებელ მოთმი-ების მქონე ხალხო, შენი უსაზღვრო ტანჯვა!“

ასეთივე მწუხარებით ხასიათდება ლექსი „ფიქრები საპარადო შესავლის წინ“, სადაც მოცემულია ნეკრასოვის შეხედულება ბატონ-ყმობითა და ბიურო-კრატიზმით დაჩაგრულ გლეხთა მდგომარეობაზე. ლექსში მხატვრულად არის აწუ-ხილი, თუ როგორ ჩამოსულან გლეხები პეტერბურგში სამართლის საძიებლად: თავიანთ სოფლებში მათ გაუგონაით, რომ პეტერბურგში შეიძლება თურმე სი-ბართლის პოენა. დიდი ვაი-ვაგლახით გლეხები მიავნებენ იმ ჩინოვნიკის ბინას, რომელზეც უნდა გადაწყვიტოს მათი საკითხი. მაგრამ, თავისი ბატონის ბრძა-ლებით, მოს. მსახურე არ უშვებს გლეხებს ამ ჩინოვნიკთან და გადენის მათ ცხერებ-სავით. მთელი ეს სურათი აწერილია იშვიათი ძალით, მაგრამ განსაკუთრე-ბით ამაღლდებელია ლექსის ბოლო:

Назови мне такую обитель
(Я такого угла не видал),
Где бы сеятель твой и хранитель,
Где бы русский мужик не страдал...

Волга! Волга! Весной многоводной
Ты не так заливаешь поля,
Как великою скорбью народной
Переполнилась наша земля! ¹⁾

მარტივია ეს სიტყვები, მაგრამ მათი მოქმედების ძალა განუზომელია, და სწორედ ამიტომ იქცა ეს ნაწყვეტი საყვარელ ლექსად რუსეთის რევოლუციონერი ინტელიგენციისათვის.

ხალხის დაბეჩავებული მდგომარეობით გამოწვეული ღრმა სევდა არ გადაქცეულა მაინც ნეკრასოვის პოეზიაში უსასო პესიმინზმად. ნეკრასოვს არ დაუკარგავს რწმენა რუსის ხალხის ბუნებრივ ძალების მიმართ. მართალია, ამ ძალას ახშობდა ათასი ექსპლოატატორი, მაგრამ ნეკრასოვს შერჩა იმედი, რომ ადრე თუ გვიან ხალხი განთავისუფლდებოდა მყვლეფელებისაგან და თავისი მეყრდით „გაიკაფედა ნათელსა და ფართო ვზას“¹⁾, ეს სულისკვეთება კარგად არის გამოთქმული ნეკრასოვის ლექსში „რკინის-გზა“²⁾, სადაც პოეტი მხატვრულად ავეიწერს, თუ რამდენი ტანჯვა გადაიტანა გლეხობამ რუსეთის პირველი რკინის-გზის გასაყვანად პეტერბურგსა და მოსკოვს შორის. ისტორიკოსი პოკროვსკი სთვლის ამ ლექსს „მსოფლიო ზოგზების უდიდეს მიღწევად“³⁾. ლექსში გამოყვანილია ერთის მხრით მყვლეფელი კლასების წარმომადგენლები, ხოლო მეორეს მხრით დაჩაგრული გლეხების ტიპები. მყვლეფელთა ბანაკს ეკუთვნის ლექსში გამოყვანილი გენერალი. ამ გენერალს ძალიან ახირებული შეხედულება აქვს ხალხზე. მისი სიტყვით, რუსი ხალხი ლოთი და ზარმაცი ბარბაროსების ჯოგია, რომელსაც მხოლოდ დანჯარევის უნარი აქვს და არა აშენების. ნეკრასოვი არ ეთანხმება გენერალს სუპრტივიზმს, და ის გმირობა, რომელიც რუსის ხალხმა გამოიჩინა პეტერბურგის რკინის-გზის აშენების დროს, მოჰყავს ამ ხალხის დიდი ენერჯიის დამამტკიცებელ საბუთად. მყვლეფელთა ბანაკის წარმომადგენელია აგრეთვე ლექსში გამოყვანილი შოიჯარე, რომლის სახით ნეკრასოვი ახასიათებს მტაცებელ კაპიტალისტის ტიპს. ავტორი ავეიწერს, თუ რამდენ უსამართლობას აყენებდა ეს საზიზღარი კაცი უსწავლელსა და ყველაფრის მომთმენ გლეხებს, რომლებიც შიმშილმა და მეუის ურიადნიკებმა გამოდენეს თავიანთ სოფლებიდან რკინის-გზის სამუშაოზე. საბოლოოდ ნეკრასოვი არ ეშლევა მაინც სასოწარკვეთილებას, და თავის ლექსს ათავებს მაქორული აკორდით.

19 თებერვლის მანიფესტმა ვერ მოატყუა ნეკრასოვი, ისე როგორც ვერ მოატყუა მან ჩერნიშევსკი, მიხაილოვი, შელგუნოვი და რევოლუციონური დემოკრატიის სხვა წარმომადგენლები. თუმცა ჩერნიშევსკის სიმტკიცე რევოლუციონურ იდეების დაცვაში ნეკრასოვს აკლდა, მაგრამ ნეკრასოვი მშვენივრად ხედავდა, რომ მანიფესტმა მხოლოდ ფიქტიური თავისუფლება გადმოუვლო გლეხებს, ნაცკლად რეალური თავისუფლებისა. ლექსში „თავისუფლება“ ნეკრასოვი

¹⁾ „დამისახლე ისეთი ადგილი (მე კი ასეთი კუთხე არ მინახავს), სადაც შენი წხენელ-მთქმელი და მფარველი რუსი გლეხი არ კენესოდეს... ვოლგაც ვოლგაც მრავალწყლიან გაზაფხულში შენ ისე არ გადმოდიხარ და ისე არ ავსებ მინდვრებს, როგორც ხალხის დიდი მწყუარებით ავსებულა ჩვენი ქვეყანა“.

სწერს: „მე ვიცი, რომ ბატონ-ყაობის ბორკილების მაგივრად აღამაინებმა მრავალი სხვა ბორკილი გამოიგონეს“. პოეტი თამამად მოუწოდებს მკითხველს: „დროა ახალი ნაბიჯი, გადავდგათ წინ, ვინაიდან, ხალხი თუმცა განთავისუფლებულია, მაგრამ განა ის ბედნიერია?“ რა სახის უნდა ყოფილიყო ნეკრასოვის წარმოდგენით ეს ახალი ნაბიჯი წინ, ამაზე დღეს გარკვეული პასუხის გაცემა არ არის ადვილი. მაგრამ ერთი რამ ცხადია: პროლეტარული რევოლუციის საპირობების შესახებ ნეკრასოვს არ ჰქონდა ჯერ კიდევ ნათელი წარმოდგენა: ის ხვდავდა, რომ მთავრობის მიერ განთავისუფლებულ გლეხს არ მოშორებია „სიღარიბე, გაუნათლებლობა და სიბნელიე“, და იცოდა, რომ ამას უნდა აუცილებლად მოეღოს ბოლო. ტიპური ხალხოსნებისგან განსხვავებით ნეკრასოვი არ იყო დაბრმავებული ილუზიებით, და გადაჭარბებული წარმოდგენა გლეხურ თემზე მას არ ახასიათებდა, თუმცა ანავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ ზევრს მუხლში ნეკრასოვი ეთანხმებოდა ხალხოსნებს.

ნეკრასოვის პოემებს შორის გასაკუთრებული ყურადღების ღირსია „ყინვა წითელცხვირა“ და „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“. პირველ პოემის მთავარი პერსონაჟია გლეხი-ქალი დარია, რომელსაც ქმრის უცარი სიკვდილის შემდეგ მრავალი გაჭირვების გადატანა მოუხდებდა. პოემა იწყება დასაფლავების სურათით. საკვირველი ძალით აღწერილია დაქვრივებულ დარიას მწუხარება, რომელსაც სასაფლაოდან დაბრუნებისას დახვდებიან შინ მშაერი და სიცივისაგან მოკრუნჩხული წვრილი ბავშვები. მაგრამ დარია არ კარგავს ენერჯიას: მიამარებს დროებით თავის ბავშვებს მეზობელს, თვითონ კი მიდის ტყეში შეშის მოსატანად და აი იქ საშინელ სიცივისაგან გაიყინება. პოემაში მოცემულია ზამთრის გრანდიოზული სურათი: რუსეთის უღმობელი სიცივე გაპიროვნებულია მითოლოგიურ „ყინვა—ერისთავის“ სახით, რომელიც მთელი რვა თვის განმავლობაში მეფობს თავის სამფლობელოში:

Не ветер бушует над бором,
 Не с гор побежали ручьи —
 Мороз-воевода дозором
 Обходит владенья свои...
 Идет, по деревьям шагает,
 Трещит по замерзлой воде,
 И яркое солнце играет
 В косматой его бороде.

მაგრამ ამ ბუმბერაზ ყინვაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდება გლეხი-ქალი დარია. მართალია, ყინვა მოერევა დარიას და მოჰკლავს მას, მაგრამ პოეტი გვაგარძნობინებს, რომ ეს იყო ყინვის ფიზიკური გამარჯვება და არა მორალური. საფრანგეთის ცნობილი კრიტიკოსის, მელბიორ დე-ვიგოიუს სიტყვით, ახალი ევროპის ლიტერატურა არ იცნობს ნეკრასოვის ამ პოემაზე უუფრო ეპიკურს თხზულებას.

პოემა „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“ წარმოადგენს ნეკრასოვის პო-

ეტური მოღვაწეობის სინთეზს. 1863 წლიდან მუშაობდა ნეკრასოვი ამ პოემაზე და რამდენიმეჯერ გადააკეთა იგი. ნეკრასოვს განზრახული ჰქონდა მოეცა ამ ნაწარმობებში მთელი რუსეთის გაშლილი სურათი, და რომ მას ამ განზრახვის შესრულება დასცალბოდა, რუსეთს ექნებოდა თავისი „ოდისა“. საშუააროდ, პოემის დათმავრება ნეკრასოვმა ვერ მოასწრო (გარდაიცვალა 1877 წელს), მაგრამ ისიც რაც დაიწერა, სტოვებს მკითხველზე გრანდიოზული შენობის შთაბეჭდილებას რომელსაც მხოლოდ გუმბათი-ღა აკლია. ორი ფრთა ამ შენობისა პოეტს უკვე აგებული აქვს: პირველ ფრთას შეადგენს მემამულისა და ხუტცისის სურათი ხოლო მეორე ფრთას კი ჩინოვნიკების. ცენტრალური ადგილი პოემის შენობისა უჭირავთ ხალხს და რევოლუციონური ინტელიგენციის წარმომადგენლებს. პოემის პროლოგი ხალხური ზღაპრის სტილით არის დაწერილი. შიგ პოემაში გვხვდება ხალხური პოეზიის სახეები. მთელი პოემა იშვიათი დინამიურობით განითქვამება და ამავე დროს ღრმა ლირიზმით არის გატენიებული. პოემის შინაარსი მარტივ ფაბულაზე არის აგებული. შვიდი გლეხი შეკრებილან და გაუმართავთ საუბარი იმის შესახებ, თუ „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად, მზიარულად და ლალად“ — მემამულე, ჩინოვნიკი, მღვდელი, მინისტრი თუ მეფე. ბოლო როდესაც ვერ შეთანხმდებიან ერთმანეთთან, გლეხები გადასწყვეტენ, რომ მითარონ რუსეთი და თავისი თვლით ნახონ, თუ ვინ არის ბედნიერი კაცი. ასეთი ფაბულა აძლევს ავტორს საშუალებას წარმოადგინოს თავის პოემაში რუსეთის სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენები და სხვადასხვა ტიპები, საზოგადოებრივ დებთ არის განსაკუთრებით აღწერილი პომეშიკის ტიპი. ასეთი პომეშიკი ობოლტ-ობალდუევი, რომელსაც მიადგებიან გლეხები ბედნიერი კაცის მტრის დროს. თვალთმაქცობა, სიზარმაცე და პარაზიტის გაუმძღრობა — აი, რა ახასიათებს ობოლტ-ობალდუევეს. ბედნიერ კაცად თავისთავს ობოლტ-ობალდუევი არ სცნობს, რადგან ბატონ-ყმობის გაუქმებამ ზიანი მიაყენა მის ინტერესებს. პოემაში მოცემულია აგრეთვე გლეხური ყოფის ფართო სურათი და გამეყვანილია გლეხის ტიპები. მწარეა გლეხის ცხოვრება: წელგაუმართავად მუშაობის, მაგრამ მორჩება თუ არა სამუშაოს, ხედავს, რომ საიდნადაც გამოიხადება „ღმერთი, მეფე და მებატონე“ და მოითხოვენ თავის წილს გლეხის ნაოფლადან. რაღა უნდა დარჩეს ამის შემდეგ გლეხს, და რა გასაკვირია, რომ გაქირავებული ცხოვრების გამო აღამიანის სახეც კი დაუკარგავს და მოიღამეანება!

განსაკუთრებით მძიმეა გლეხი-ქალის მდგომარეობა. ასეთი ქალი არის გამეყვანილი მატრონა ტიმოფეევნას სახით, რომელიც მწარე ცხოვრებას იმ დასკვნაზე მიუყვანია, რომ ქალი არ შეიძლება იყოს ბედნიერი, რადგან ქალის „ბედნიერება გასაღები“ თურმე დალოცვილ ღმერთს დაუკარგავს. ნეკრასოვმა იცის, რომ გლეხობის მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა რევოლუცია, მაგრამ აღონებს, რომ ეს ქეშმარიტება თვითონ გლეხებს ალარ აქვთ კარგად შეგნული და მათ შორის ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა უგუნური მოთმინების უწყობა: ასეთი მოთმინების განსახიერებაა პოემაში „ელთგული და სანთი ყმა იაკობი“! მაგრამ ნეკრასოვმა ისიც იცის, რომ გლეხის მოთმინებასაც თავისი დასასრული: გლეხმა საველიმ ცოცხლად დამარხა მოურავი, რომელს

ათასგვარ შვიწროვებას აყენებდა ხალხს. საჭირო იყო ასეთი სტიქიური გამოს-
ვლებისათვის ორგანიზაციული ფორმის მიცემა, და რევოლუციაც იფეთქებდა.
პოეტი სიხარულით შესცქირის რევოლუციონურ ინტელიგენციას, რომელიც წარ-
მოდგენილია პოუქანში სემინარიელი გრიშა დობროსკლონოვის სახით. გრიშა
ღარიბი მედავითნეს შვილია. მას უყვარს დაჩაგრული გლეხობა, ოცნებობს მის
განთავისუფლებას, და ეს გარემოება აქცევს გრიშას ჭეშმარიტად ბედნიერ
კაცად. რომ იმ შვიდ გლეხს, რომლებიც ეძებდნენ რუსეთში ბედნიერ კაცს
სცოდნოდან, რას გრძნობდა და რას ფიქრობდა გრიშა, თავისი საკითხი, თუ
ვინ არის ბედნიერი კაცი, მათ უკვე გადაწყვეტილი ექცებოდათო—ამბობს ნე-
კრასოვი. მაგრამ, სამწუხაროდ, გლეხებმა არ აცოდნენ ეს, ისე როგორც დანარ-
ჩენი მათი მეზობლებიც ვერ ერკვეოდნენ კარგად, თუ რა სურდა იმ ხალხოს-
ნურ ინტელიგენციას, რომლის წარმომადგენლები ამ დროს დადიოდნენ სოფ-
ლებში და ეწიეოდნენ იქ რევოლუციონურ პროპაგანდას. ამრიგად, პოემის (ე. ი.
თეთონ ნეკრასოვს) აზრით, ჭეშმარიტი ბედნიერება, ყოფილა ხალხის მომხა-
დება რევოლუციისათვის. ეს ის აზრია, რომელიც ნეკრასოვს მრავალჯერ გამო-
უთქვამს სხვა თავის ლექსებშიც.



ღევნო მონღოლი

ლევ ნიკოლოზის-მე ტოლსტოის ცხოვრება საცხა ძიებით, ჟალრესად მოულოდნელ და მკვეთრი წინააღმდეგობებით.

ტოლსტოი დაიბადა 1828 წლის 28 აგვისტოს იანსნია პოლიანაში (ქ. ტულის მახლობლად) თავის საგვარეულო მამულში.

ტოლსტოის მამა ნიკოლოზი ძველი წარჩინებული გვარიშვილი იყო.


პატარა ტოლსტოი იზრდებოდა და ცხოვრობდა თავის ძმებთან და დებთან ერთად დიდგვაროვან არისტოკრატიულ ოჯახში გადიებით და გუვერნიორებით გარშემორტყმული. ბატონ-ყმობის საშინელებანი თითქმის ვერ აღწევდნენ ყრუ ტოლსტოის შემეცნების ზღუდე შემოვლებულ პატარა ქვეყანას. და საკარმიდანო ბატონ-ყმური წყობა ბავშვის გონებას თვალწარმტაცად ეხატებოდა.

„მარტო დედა კი არა, — ამბობს ტოლსტოი თავის ავტობიოგრაფიაში, — არამედ ყველა, ვინც ჩემს ბავშვობას გარს ერტყა მამიდან მეეტლებამდე, თვალწინ მიდგანან, როგორც საუკეთესო აღაშინებნი“. მეორე ადგილას ტოლსტოი აღტაცებით წარმოსთქვამს: „ბედნიერი, ბედნიერი დრო ბავშვობისა! როგორ არ მიყვარდეს, როგორ არ შეგვოფინებდე ბავშვობის მოგონებებს!“

ტოლსტოის ბავშვობის მოგონებანი სულ სხვაგვარი იყო, ვიდრე ნიკოლოზის და სალტიკოვ-შჩედრინის მოგონებანი.

16 წლის ტოლსტოი შედის ყაზანის უნივერსიტეტში, მაგრამ ორი წლის შემდეგ თავს ანებებს სწავლას იმ განზრახვით, რომ ხელი მოჰკიდოს სოკლის მეურნეობას. შემდეგ ცდილობს იმსახუროს, ჩაბაროს საუნივერსიტეტო გამოცემა. მაგრამ მალე ასეთ ცდებზე გულს იცრუებს და ეძლევა დროს ტარებას მალა არისტოკრატიულ საზოგადოებაში. შემდეგ ერთბაშად სტოგებს ავ გამართობელ ცხოვრებას და მიემგზავრება „კავკასიის მომქმედ არმიაში“.

მუდმივ ძიებისა და ხეტიალის ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ტოლსტოის კერძო ბარათი თავის ძმისადმი მიწერილი: „ავ წერილს გწერ პეტერბურგიდან, სადაც საშუალოდ დარჩენის განზრახვა მაქვს... მე გადავწყვიტე აქ დავრჩე, ჩავებარო გამოცემა და შემდეგ ვიმსახურო; მე ვიცნობ მეოცე თანრიგის ბევრ ჩინოვნიკს, რომლებიც თქვენზე — პირველ თანრიგიანებზე ცუდად არ მსახურობენ.“ შემდეგ ტოლსტოი განაგრძობს: „მე ვიცი, შენ არაფერი ხვობი არ დაიჯერებ, რომ მე გამოვიცვალე. იტყვი: უკვე მეოცეჯერ ხდება ეს ამბავი, მაგრამ შენგან მაინც არაფერი სახეირო გამოდის, ისევ ქარაფშუტა ყმაწვილკაცად რჩები. არა, ახლა სულ სხვა ვარ, სულ სხვაგვარად გამოვიცვალე, არა ისე, როგორც წინათ; წინათ, გამოგიტყდები, თავს ვეუბნებოდი: მოდი გა-



ლევ ტოლსტოი

ნახ. თ. გოგიტიძისა

მოვიცვლები; ახლა კი ვხედავ, ნამდვილად გაპოვიცვალე და მტკიცედ ვამბობ: დიახ, მე გამოვიცვალე“.

ამგვარად, ახალგაზრდა ტოლსტოი დაუსრულებლად „იცვებოდა“, ხან აქ იყო, ხან იქ, ეძებდა გზებს, გამოსავალს, არ შეეძლო ეცხოვრა გულდამწვინდებით და მოსვენებით, როგორც ცხოვრობდა მისი ძმა, როგორც ცხოვრობდა მისი წრის ყმაწვილთა ცხოვრების დიდი ნაწილი:

ამ დროს ტოლსტოი უკვე არის „ბავშვობის“, „სიყრმის“, „სევასტოპოლის მოთხრობების“ ავტორი.

1855 წელს ლეგატოი თავს ანებებს სამხედრო სამსახურს, ჩადის დედაქალაქში და პირველად ევლინება ლიტერატურულ და პოლიტიკურ წრეებს, როგორც ახალგაზრდა ნიჭიერი მწერალი. ტოლსტოი არ ემხრობა თავისი დროის არცერთ მოწინავე ლიტერატურულ და პოლიტიკურ მიმდინარეობას. ხანდახან იგი გამოსთქვამს უაღრესად ჩამორჩენილ, ზეპატარავულ შეხედულებას. ასე, მაგალითად, იმდროინდელ ტოლსტოიზე პოეტი ნეკრასოვი სწერს: „რა აბდაუნებდას არ რომავედა ის გუშინ ჩემთან სადილზე. ეშმაკმა იცის, რა უტრიალებს თავში. იგი ბევრ სირეგვენს და, წარმოიდგინეთ, სისაძაველესაც ლაპარაკობს. სამწუხარო იქნება თუ მებატონური გავლენის კვალი მას დიდხანს შერჩა. დაღუპება ჩინებული ტალანტი“.

თითონ ტოლსტოი ნეკრასოვისადმი მიწერილ ბარათში გამოსთქვამს თავის უსიამოვნო გრძობას, რომელიც მასში ჩერნიშევსკისთან შეხედრას აღძრავს.

ზოუხუდავად იმისა, რომ იმ ნაწილში რელიოზიოზურ დემოკრატებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებას ამჟღავნებდა, ტოლსტოი არ მიეცვლა არც ლიბერალებს, არც კონსერვატორებს. იგი შორს სდგას აგრეთვე მმართველ ბიუროკრატულ წრეებისაგან. მას იზიდავს ბუნებასთან დაახლოებული მემამულის საკარმიდამო ცხოვრება. დედაქალაქში ერთი წელიწადიც არ გაატარებია, ტოლსტოი ისევ ბრუნდება თავის ოჯახში სოფლად. ამ პერიოდში ზურგს აქცევს რა ლიტერატურულ-პოლიტიკურ ბრძოლას, ჰკიცხავს რა ქალაქის კულტურას, ტოლსტოის იმედი აქვს, რომ სიმართლეს, ცხოვრების კვამარიტ აზრს ჰპოებს მემამულური ცხოვრების პატრიარქალურ-არისტოკრატულ წყობის აღდგენაში.

1862 წელს ტოლსტოიმ ცოლი შეიერთა. დაიწყო მისი ცხოვრების ის პერიოდი, რომელსაც თავად იგი შემდეგ ასე აგვიწერს: „მე ვცხოვრობდი წესიერი, პატიოსანი ოჯახური ცხოვრებით... მთელი ჩემი ინტერესები იფარავლებოდა ოჯახზე ზრუნვით, ქონების გადიდების, ლიტერატურული წარმატების და ათასგვარ სიამოვნების მოპოების სურვილით“. მაგრამ მემამულე ნეოჯახის ეს ბედნიერი ცხოვრება თანდათან ჰბადებს მასში ზიზღს. ამ პერიოდს ეკუთვნის მთავარი ნაწარმოებები: „მემამულის დილა“, „ახალგაზრდობა“, „კახაყები“, „პოლიკუშკა“, „ომი და ზაცი“, „ანა კარენინა“, რომლებმაც ტოლსტოის მსოფლიო მწერლის სახელი მოუპოვეს.

80-იან წლებში იგი განიცდის დიდ შინაგან სულიერ კრიზისს, რომელიც მასში შობს თვითმკვლელობის აზრსაც კი, იწვევს სურვილს ზურგი აქციოს კერძო საკუთრებას, გაუბრალოდეს, შეუერთდეს, შეეთვისოს გლეხობას. ტოლსტოიმ ჩაიცვია გლეხური ტანსაცმელი, ხელი მოკიდა გლეხურ შრომას, გაა-

ჩალა სასტიკი ბრძოლა თავისი წრის ადამიანთა ცხოვრების წესების წინააღმდეგ ამ ხანებში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებთან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია სახალხო დრამა „წყევლიადის მეუფება“.

1887 წელს ტოლსტოიმ დაათვალიერა მოსკოვის გარეუბნების სახლები და გლახაკთა თავშესაფარი ბინები. საშინელი სიღატაკის სურათმა კიდევ უფრო გააძლიერა ტოლსტოის ზიზღი მდიდარ და მძღარ ცხოვრებისადმი.

წინათაც ჩემოვის უცხო და უცნაური ქალაქური ცხოვრება, — სწერს ტოლსტოი, — ახლა იმდენად შემზიზღდა, რომ დიდებული ცხოვრების ყოველგვარი სიამე, რომელიც წინათ მე სიხარულად მეჩვენებოდა, გადაიქცა ჩემთვის წამებად. და რამდენიც არ ვეცადე შეპოვა ჩემ სულში რაიმე გამართლება ჩვენი ცხოვრებისა, მაინც ვერ შევქელი დამენახა ისე, რომ არ აღეშფოთებულიყავი ჩემი ან სხვისი სასტუმრო ოთახი, მდიდრულად გაწყობილი სუფრა, გამაძლარი მეეტლე, ცხენები, მალაზიები, თეატრები, საკრებულონი“.

თავის ცხოვრების ამ პერიოპზე ტოლსტოი „ალსარებაში“ სწერს:

„მე ვიგრძენი, რომ ის, რაზედაც მე ეიდექი, ჩაინგრა, რომ მე დასაყურებს არა მაქვს, რომ ის, რითაც ვცხოვრობდი, უკვე აღარ არის, რომ მე უკვე არაფრით აღარ შემძლია ცხოვრება“. იქვე ტოლსტოი განაგრძობს:

„მე შემემთხვა ის, რომ არამც თუ შემზიზღდა ჩვენი წრის ადამიანების მდიდართა და სწავლულია ცხოვრება, არამედ მან დაკარგა ჩემთვის ყოველგვარი აზრი. ყველა ჩვენი მოქმედება, საქციელი, მსჯელობა, ხელოვნება, მეცნიერება — ყოველივე ეს წარმომიდგა მე ახალიმ ნიშნელობით. მე შევიგნე, რომ ყველაფერი ოხუნჯობაა; თავისი შექცევაა, რომ არ შეიძლება ამაში ეციაო ცხოვრების აზრი. მთელი მშრომელი ხალხის, ცხოვრების შემომქმედი მთელი კაცობრიობის ცხოვრება კი მე წარმომიდგა მისი ნამდვილი და ჭეშმარიტი მნიშვნელობით. და მე მივხვდი, რომ სწორედ ეს არის ცხოვრება, რომ ამ ცხოვრების აზრი და გამართლება არის ჭეშმარიტება და მე მივიღე იგი“.

ამ ხანებში ტოლსტოი სწერს კომედიას „განათლების ნაყოფს“ (1891 წ.), რომანს „აღდგომას“ (1899 წ.) და „ხაჯი-მურადს“ (1896—1904 წ.).

მგარამ ტოლსტოი კიბაცეს რა თავისი კლასის — „მდიდრებისა და სწავლულების“ ცხოვრებას, არანაკლები სისასტიკით ილაშქრებს ყოველგვარი პოლიტიკური ბრძოლის წინააღმდეგ, ჰგმობს რევოლუციონერებს, ჰქადაგობს მოთმინებას, ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწყველობას. აი რა აქვს ჩაწერილი მას 1905 წლის 31 ივლისს თავის დღიურში:

„რუსეთის რევოლუციამ უნდა დაამხოთ არსებული წყობილება, მგარამ არა ძალადობით, არამედ პასიური წინააღმდეგობის გაწყვეთ. რუსეთის დღევანდელი რევოლუციის მოღვაწეთა გაუგებრობა იმაშია, რომ მათ სწავლიათ დააწესონ რუსი ხალხისათვის მმართველობის ახალი ფორმა; რუსი ხალხი კი მივიდა იმ შეგნებად, რომ ის არაეის არ საჭიროებს“.

„რუს ხალხად“, „მშრომელ ხალხად“ ტოლსტოი გულისხმობს პატრიარქალურ, ჩამორჩენილ გლეხობას.

მძღართა და მდიდართა მოძულე ტოლსტოი თავისი „წინააღმდეგობის გაუწყველობის თეორიით“ წყალს ასხამდა ექსპლოატატორების წისკვილებზე.

ტოლსტოი ცდილობდა თავისი პიზა და ცხოვრება თავის ახალ შეხედულებებისათვის შეესაბამებინა. მან განიზრახა მიეტოვებინა თავისი კარჩიდამო, თავისი ოჯახი, რომელიც მის აზრებს არ იზიარებდა. მაგრამ ძალიან მავარი იყო. ძაფი, რომელიც ტოლსტოის შინაურებთან აკავშირებდა, და მას დიდხანს ვერ გადაეწყვიტა სრულიად მოშორებოდა მათ. მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც სტოვეებს სახლს, რომ არასოდეს უკან აღარ დაბრუნდეს. სახლიდან წასვლამდე ერთი კვირით ადრე თავის მეზობელ გლეხ ნოვიკოვთან საუბარში ტოლსტოიმ სთქვა:

„მე ხომ თქვენთვის არასოდეს არ დამიშალავს, რომ ამ სახლში მე ვიზარებები, ვიწვიები, როგორც ჯოჯობეთში. მე ყოველთვის ვეიჭრობი და მინდოდა გაექცეულიყავი სადმე ტყეში, ვინმე მშრომელ გლეხაკაცთან მივარდნილ სოფელში, სადაც ჩვენ ერთმანეთს დავიხმარებოდით. მაგრამ ღმერთი არ მაძლევდა იმდენ ძალას, რომ ოჯახს მოვშორებოდი“.

როგორც ვხედავთ, ტოლსტოი დიდხანს ემზადებოდა გასაქცევად თავის საყვარელ კარმიდამოდან. ბოლოს შეისრულა კიდევ განზრახვა: 1910 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში ეტლი მალულად გაემგზავრა წინასწარ არჩეულ ადგილისაკენ, მაგრამ ტოლსტოი გზაში ავად ვახდა და გარდაიცვალა კიდევ 1910 წლის 20 ნოემბერს რიაზან-ურალის რკინის-გზის სადგურ ასტაპოვოში.

* *

ერთი შეხედვით, 1910 წლის 20 ნოემბერი იყო დღე სახალხო გლოვისა მაშინდელ რუსეთის ყველა დიდ ქალაქში შუა წარმოდგენის დროს თეატრებში ფარდები დაუშვეს და შესწევითეს ყოველკვარა სანახაობა-გართობანი. მეორე დღეს ყველგან ყველა მიმართულების გაზეთები შავ-არშიაშემოვლებული გამოვიდნენ.

— „შეხედვით, — სწერდა ლენინი — როგორ აფასებენ ტოლსტოის მთავრობის გაზეთები, ისინი ღვრიან ნიანგის ცრემლებს, სურათ დაამტკიცონ თავისი პატივისცემა უდიდესი მწერლისადმი და ამავე დროს იცავენ „უწმინდეს“ სინოდს. წმინდა მამებმა კი ეს-არის ჩაიდინეს უსაზიზღრესი სისამაგლე, სულთმობრძავე მოხუცს ხუცები მიუგზავნეს, რომ ხალხი მოატყუონ და სთქვან, ტოლსტოიმ ცოდვები მოინანიო“. (ლენინი, ტომი მე-14, გვ. 402, 1935 წლის მესამე გამოცემა რუსულ ენაზე).

ლიბერალური გაზეთებიც „ღრმა მწუხარებით“ აუწყებდნენ ქვეყანას; რომ გარდაიცვალა „უდიდესი სინილისი“, „სიმართლის და სიკეთის მლადიდებელი“, მაგრამ ლენინის დასკვნით ეს იყო ცარიელი ფრაზა, რომელსაც სხვადასხვა კილოზე იმეორებდა „ნოვოე ვრემიაც“ და ყველა მისი მსაკავის გაზეთი. ეს იყო გვერდის ახვევა „დემოკრატიის და სოციალიზმის იმ კონკრეტულ საკითხებისათვის, რომელსაც ტოლსტოი აყენებდა“ (ლენინი, იქვე, გვ. 403). ოფიციალური და ლიბერალური რუსეთი ვერ შეეძა ვთქვა სიმართლე ტოლსტოის შესახებ, ეწინოდა ეთქვა, რომ გარდაიცვალა ეკლესიის მატყუარობის, მთავრობის ძალადობის, კაპიტალისტური ექსპლოატაციის, საზოგადოებრივი სიკრუსისა და სიყალბის დაუნდობელი მამხილებელი, და მხოლოდ გაცვეთილი კაპიონური ფრაზებით აღნიშნავდა მთელი „განათლებული კაცობრიობის“ მწუხარებას, მსოფლიოს

ე-თსულო-ევან გამობნაურებას „ქეშმარიტების და სიმართლის მოციქულის“ გარდაცვალებაზე.

ის მასა კი, რომელსაც შეეძლო ტოლსტოის სწორი და უტყუარი შეფასება, განხე იდგა ამ ფარისებულ გლოვისაგან.

მშრომელი მასის უმრავლესობამ არც კი იცოდა, თუ რა დიდი მხატვარი ჩაესვენა ტოლსტოის სახით სამარეში. ეს არცოდნა იყო არა მისი ცოდვა და დაწაფული, არამედ უმედურება, წარმოშობალი იმ საზოგადოებრივი წყაბილებიდან, — რომელმაც მიუსაჯა მილიონებს სიბეზარე, სიყრუე, საკატორლო შრომა და სიღატაკე“ (ლენინი, ტომი მე-14, გვ. 400, 1935 წ. მესამე გამოცემა რუსულ ენაზე).

ძველი ოფიციალური რუსეთი კირისუფლობდა ტოლსტოის და, როცა იგი მის ცხედარს ცბიერ ცრემლებს აფრქვევდა, ხოლო ნამდვილად კი გულში ზეიმობდა, ნუდამ მოუსვენარ პრეტესტანტის და მამხილებლის ენის დაღუპების გამო, ამ დროს ახალი კლასის ავანგარდი — ბოლშევიკური პარტი, ამზადებდა ახალ ქარიშხალს, ამზადებდა საფლავს მათთვის, ეინც ტოლსტოის მესაფლავის როლში გაზოდიდა.

დიდხანს არ დაგვიანებია ახალ რევოლუციონურ ქარიშხალს. ტოლსტოის გარდაცვალებიდან სწორედ 7 წლის შემდეგ ამოეარდა იგი.

ოქტომბერმა გააცამტვერა ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობა, აგრარული რუსეთი გადაიქცა ჯოწინავე ტექნიკის ინდუსტრიულურ აგრარულ ქვეყანად. კოლექტივისტების გუთნითგადანხნული მიწის პირისაგან აღიგავა უკანასკნელი ექსპლუატატორული კლასი — კულაკობა. კოლექტიური და უზარმაზარი საბოთა მეურნეობები მათგანა ყოვილა რუსეთის იმპერიის თვალუწვევებელ ველები. სოციალისტური შრომის მეთოდებმა, შრომის ახალმა კულტურამ, სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის მექანიზაციამ აამილა სოციალისტური მინდერების მოსავლიანობა, სოციალისტური მრეწველობა უკვე იძლევა შრომის ისეთ ნაყოფიერებას, რომლის მსგავსი კაპიტალისტური წარმოება არ მოუცილა და არც შეიძლება მისცეს ქვეყანას. ეს არის სტახანოვური მეთოდით მიღებული შრომის ნაყოფიერება.

წარმოიშენ ახალი ადამიანები, სოციალისტური შრომის ადამიანები, რომლებიც ჰქმნიან საამურ ცხოვრებას.

ქალაქის პროლეტარიატი და საბჭოთა სოფლის კოლმეურნე გლეხობა არა მარტო წარმოების ურთულეს ტექნიკას ეუფლება, არამედ იგი კრიტიკულად ითვისებს მეგვიდრეობით მიღებულ დიდ სულიერ კულტურასაც და ამდიდრებს მას თავის საკუთარი შემოქმედებით.

ტოლსტოი მხატვარი დღეს უკვე ცნობილი ზდება უმრავლესობისათვის. მის „ომს და ზავს“, „ანა კარნინას“, „ბავშვობასა და სიყრმეს“, „ალდომას“, „ახაი-ბურას“, „ქაზაკებს“ და ბევრ სხვა შესანიშნავ ნაწარმოებს კითხულობენ არა ათეულები და ასეულები, არამედ მილიონები. სამკითხველობის და წიგნთ-საკავების სტატისტიკური ცნობები და მკითხველთა ანკეტები ცხადყოფენ. რომ ტოლსტოის არასოდეს იმდენი მკითხველი არ ჰყოლია, რამდენიც დღეს. გამარ-

თლდა დიდი ლენინის წინასწარმეტყველება, მასები ყოველთვის იქნებიან ტოლსტოის მხატვრულ ნაწარმოებთა მკითხველნი და დამფასებელნი, როცა ისინი გადაიძრობენ მემამულეებისა და კაპიტალისტების უღელს, როცა ისინი შექმნიან ცხოვრების ადამიანურ პირობებსო.

რას აფასებენ საბჭოთა მესები ტოლსტოის მდიდარ მემკვიდრეობაში? ტოლსტოის ფილოსოფიას, მის მორალს?

— რასაკვირველია, არა. ტოლსტოევლობა, როგორც გარკვეული მორალური მოძღვრება, რეაქციურია და სრულიად მიუღებელია საბჭოთა მასებისათვის, რადგან ახლამ ურთიერთობა აღმოფხვრა სოციალური ფესვები ტოლსტოევობისა, მოსპო ნიადაგი, რომელიც ასაზრდოვებდა ტოლსტოის ასკეტიზმს, ძალადობას მიმართ წინააღმდეგობის გაუწევლობის თეორიას, ტოლსტოის პესიმიზმს და მის ღრმა რწმენას, რომ „ყველაფერი, ყოველივე მატერიალური, არარაობაა“. ოქტომბერმა დედამიწის ერთ მვეჭესდზე მოსპო აღმოსავლური უძრავობა — ეს დედაბოძი ტოლსტოის ფილოსოფიისა.

ლენინი აღნიშნავდა, რომ ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციით დასრულდა მთელი ის ეპოქა, რომელსაც შეეძლო და უნდა წარმოეშვა კიდევ ტოლსტოის მოძღვრება, არა როგორც ინდივიდუალური რამ, არა როგორც გენიოს ადამიანის კაპრიზი, არამედ როგორც ცხოვრების იმ პირობების ამსახველი იდეოლოგია, რომელშიაც იმყოფებოდნენ მილიონები განსაზღვრული დროის განმავლობაში. მით უმეტეს ახლა, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ 18 წლის თავზე, როცა წინანდელი გლეხური რუსეთის აღმოსავლური უძრავობა შესცვალა მუშაობის ბოლშევიკურმა ტემპებმა, მუშაობის სტანანოვურმა სისწრაფემ, ტოლსტოი, როგორც მოძღვარი, სრულიად უცხო და გაუგებარია.

სოციალიზმის მშენებელი დღევანდელი საბჭოთა მკითხველი, მუშა იქნება იგი თუ კოლმეურნი, კითხულობს და აფასებს ტოლსტოის იმისათვის, რომ მან შესანიშნავი მხატვრული ძლიერებით შესძლო ჩაგრული გლეხობის მდგომარეობის გადმოცემა. მან მთელი სიცხოვლით წარმოგვისახა რევოლუციის დროინჯელი მემამულური და გლეხური რუსეთი. „დაბატა რა რუსეთის ისტორიული ცხოვრების ეს ნაკვეთი, ლევ ტოლსტოიმ შესძლო თავის ნაწარმოებებში მრავალი ისეთი საკითხის წამოჭრა და მხატვრული ძლიერების ისეთ სიმაღლემდე ასვლა, რომ მისმა ნაწარმოებებმა დაიქარეს ერთ ერთი პირველი ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში“. (ლენინი, ტომი მე-14, გვ. 400, 1935 წლის მესამე გამოცემა რუსულ ენაზე).

ტოლსტოის მხატვრულ ნაწარმოებში მკითხველი ცხოვლად ხედავს ძველი სამეურნეო ფორმების ნგრევას, უკვე შერყეულ ძველ წყობილებას, რომელიც ტრადიციის ძალით უმკლავდება ახალ ფორმებს და რომელსაც ებღაუჭება ყველა ის, ვინც მას შერბრძია, ვისაც შიშს გვრის ყოველივე ახალი და აღარ შესწევს უნარი ადლო აუღოს ახალ ვითარებას. ტოლსტოის მხატვრული შემოქმედება ცოცხლად წარმოგვისახავს ეკონომიური განვითარების მთელ პროცესს, რომელიც თავის ძღვევაშიოს მსვლელობაში სტანჯავს და სრეს ყველას, ვინც კი დრო-მოქმულს, დასანგრევად განწირულს ჩაჰკიდებია. ტოლსტოი ხორცისხეულად წარმოგვიდგენს ძველ ჩვეულებებზე და ტრადიციებზე აღზრდილ გლეხობას, მის

უმწეობას. და ყოველივე ამის შემდეგ დღევანდელი საბჭოთა მკითხველისათვის ნათელი ხდება, თუ რატომ უწოდა ლენინმა ტოლსტოის იმ იდეების და განწყობილებების გამოხატველი, რომელიც გამოუმუშავდა და შერჩა რუსეთის მრავალმილიონიან გლეხობას პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დაწყებამდე.

მაგრამ ტოლსტოი ძვირფასია არა მარტო ფართო მკითხველი მასებისათვის, რომლებიც მის შემოქმედებაში ხედავენ რუსეთის გლეხური რევოლუციის სარკეს, არაქედ იგი დაუფასებელია მხატვრული სიტყვის თანამედროვე შექმნათვისაც, როგორც უდიდესი. ოსტატი—მხატვარი.

მრავალმა დიდმა თანამედროვე საბჭოთა მწერალმა (შოლოხოვმა, პანფე-როვმა, ფადეევმა, შუხოვმა და სხვ.) გაიარა ტოლსტოის მხატვრული სკოლა, განიცადა მისი დიდი მხატვრული ნიჭისა და ოსტატობის ცხოველმყოფელი გავლენა.

ტოლსტოის მხატვრული შემოქმედება, უეჭველია, ითამაშებს დიდი ფაქტორის როლს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის განვითარებაში.

დაკვირვების უდიდესი ძალა, გენიოსის ნიჭი და უნარი—თათქმის მკენიერული ანალიზის საფუძველზე გამოჰყოს დასახატად შერჩეულ ადამიანებსა და საგნებში მთავარი, ყველაზე დამახასიათებელი თვისებები, განსაკვიფრებელი გულმოდგინება—ასახოს რეალური სინამდვილე ყველა მისი შეუმჩნეველი ნიუანსით,—ასეთია ტოლსტოი რეალისტი, რომელმაც მთელ კულტურულ კაცობრიობას უჩვენა უდიდესი ძალა კრიტიკული რეალიზმისა.

მხატვრისთვის მთავარაა ხედვის უნარი, პირველ ყოვლისა მხატვარმა ხედვა უნდა ისწავლოს, —ამზობდა გოეტე, და ამ გოლიათ პოეტის, ერთი შეხედვით, ამ მარტივ, მაგრამ მეტად ღრმა კეშმარტებას ტოლსტოი შეგნებულად და განუხრელად მისდევდა მთელი თავისი ლიტერატურულ მოღვაწეობის განმავლობაში.

მას შეცნობილი ჰქონდა, გრძნობდა და გამოცდილებითაც რწმუნდებოდა, რომ კეშმარტი შემოქმედება საგნების და მოვლენების თვითნებურ ფანტასტიურ დაკავშირებაში როდი მდგომარეობს, არამედ უნარში—დაინახო მათი ნამდვილი მიზეზობრივი კავშირი, რომ მხოლოდ ამ თავისებურობით განსხვავდება ყოველი დიდი მხატვარი შემომქმედი უბრალო საშუალო ნიჭის მოხვედლისაგან.

სინამდვილის დანახვა კი ნიშნავს მის დანახვას დიალექტიკოსის თვლით. ტოლსტოის შემოქმედება, მეცნიერული კვლევითი ცდებს ემყარება. საგნის და მოვლენის ზედმიწევნით შესწავლა და მათი დამახასიათებელი, განმსხვავებელი თვისებების ზუსტი ასახვა ტოლსტოის მხატვრული მუშაობის მეთოდოლოგიური საფუძველია.

„რა უცნაურიც არ უნდა იყოს ამის თქმა,—წერს ერთგან ტოლსტოი,— მხატვრობა მოითხოვს უფრო მეტ სიზუსტეს—precision-ს, ვიდრე მეცნიერება.“ უფრო სიზუსტეს მოითხოვს ალბათ იმიტომ, რომ მხატვრის ამოცანაა—გადასცეს მკითხველს თავის გრძნობები, დაანახოს თვალსაჩინოდ გამოსახული საგნები და პროცესები მაშინ, როცა მეცნიერული გამოკვლევის მიზანია აღძრას და აამუშაოს მკითხველის აზრი, ინტელექტი.

მისდევს რა ამ ობიექტურ მეთოდს, ტოლსტოი თავის ნაადრევ მხატვრულ ნაწარმოებშიაც კი გვევლინება როგორც რეალისტი მხატვარი. იგი გულდასმით აკვირდება სინამდვილის მდიდარ და ქრელ მრავალგვარობას, ემორჩილება სინამდვილის კანონებს, ხდება სინამდვილის სრული მპყრობელი.

ტოლსტოი, როგორც შემომქმედი, რომელმაც ზედმიწევნით იცის საკნის ყოველი მხარე, არასოდეს თავს ნებას არ აძლევს ასწეროს საგნის ნაკლებ მნიშვნელოვანი წვრილმანები, რომელნიც მხოლოდ აბნელებენ საგნებს, როგორც ეს სჩვეოდათ ნატურალიზმის ზოგიერთ პირველხარისხოვან წარმომადგენლებსაც კი.

ფარხო გონებრივი ჰორიზონტის მწერალს — მხატვრული სიტყვის დიდ ოსტატს — ტოლსტოის მუდამ ჰქონდა უმაღლესი ადამიანური მისწრაფება მოეძებნა და დაენახნა მთლიანობა მრავალგვარობაში. ამ მისწრაფებით გამსჭვალულმა, რეალურ სინამდვილის ნიადაგზე მდგარმა დიდმა ხელოვანმა თავის გენიალურ ნაწარმოებებში ზორცი შეასხა აზრისა და გრძნობის იმ ზოგად თვისებებს, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით დამახასიათებელია კულტურული კაცობრიობისათვის ხანგრძლივი ისტორიული პერიოდების მანძილზე.

ამით არის ძლიერი ტოლსტოი და ამით მონაწილეობს იგი ახალ სოციალისტურ ლიტერატურის მშენებლობაში.



სონეტები, თარგმნილი წიგნიდან „ტროფეი“ (Les trophées)

მიხეილ პატარაძის მიერ

EPIGRAMME YOTIYE

მკაცრო არიავ, მტრობის ღმერთო, რაღას მაჩქარი,
მოხუცს მიშველე შენი ტაძრის შევამყო კარი
პირდაბლაგვეული სატევართ, ნაქედი ფართი,
სისხლიანი და დაბეჭილი რკინის ჩაქვანით.

წაიღე მშვილდიც. ვერ მოდრიკავს მკლავი ლაჩარი,
შეინდის შხორიდან გამითლია იმისი ტარი;
აკანკალეზულ ხელით მინდა მოვზიდო ლარი,
თვალწინ დამიდგეს გამოსული ველად ლაშქარი.

აჰა კაპარკიც... მაგრამ, ვხედავ, დაფლეთილ ბუდეს
ისე ჩახედე; თითქოს ეძებ ისართა კუდებს,
ომის გრივალით მიმოფანტულს ბოძალს და სარჩას.

ალბათ გგონია, რომ უმიზნოდ დავეკარგე ძალა.
ყველას იპოვი მართონის თუ ნახავ ჭალას,—
ყელში გაყრილი იქ ირანელ მეომრებს დაჩაბათ.

კ ვ ნ ი

ჯაგნარში, სადაც საიდუმლოდ ბილიკი ჰქრება,
და მის სიღრმეში იშალება ხეივანარები,
შიშველი ნიშვის მონადირე აქ ფეხაკრებით
მიიბარება და ბუჩქნარში სიფრთხილით ძვრება.

რა ტკბილად სუნთქავს ზურმუხტივან ფოთლების კრება,
ნაკადებს ჰფარავს გადაშლილი მწვანე კარვები;
როცა ღრუბლებში გაიღება მზისთვის კარები,
მაშინ დაბურულ ტყეში სხივი ოქროსფრად წვება.

და ერთი ნიშნა მორიდებით უსმენს სიფრთხილით,
დილის ცრემლები რომ ეცემა ხავსიან ბილიკს:
ითურება ქალი, გარს ეხვევა სხივების მტვერი.

და ერთი ხტომით უღრანების მფლობელმა მყისვე
სტაცა ხელი და შეარხია სიცილმა ტვერი...
გაჰქრა ყოველი... ჩამოვარდა სინჯუმ ისევ.

ქ ა რ ი ე ლ ნ ა

ვეფხს ასარებდა ნებიერი დედოფლის ზიდა,
ბრინჯაოს ებანთ ალტაცებით ზრიალი, როკვა,
ქალის შიშველ ტანს არ ფარავდა ბრწყინვალე ტოვა,
როცა ორგით მიეგება იაკვი ზღვიდან.

ძვირფასი ტვირთი ალტაცებას თანდათან ზრდიდა,
მეფის ნადირი სთელავს მიწას და ვნებით ტოკავს,
დედოფლის ხელით გადადებულ სადავეს ლოკავს,
ღრიალებს, ბორკავს დაალხული ვნებიან მზიდან.

კავებგაშლილს და ტანაზიდულს ვინ შეეძრება,
შავი მტვენებით შერკალული სუნთქავს ამბარით
და ყურს არ უგდებს ვეფხის ღრიალს, ვეფხის ვედრებას.

ამბროზით მთვრალს, ბაგეგახსნილს, აქ არ სურს მოცდა,
სატრფოს ღალატის ავიწყდება ძველი ამბავი,
რადგან აზიის ფალაენის მოელის კოცნას.

პ ა კ ხ ე ნ ა ე ლ ი ა

უეცრად ატყდა საზარელი განგაში განვზე,
როცა ნაფარდით დამტვრიეს ვეფხებმა ხუნდი,
და მენადების გაქცეული და ცელქი გუნდი
სიცილ-კისკისით მიაბრვედა დაყურსულ ვაზებს.

სისხლისფრად ლებას ლეოპარდის სხეულის ხაზებს
ბასრი კლანჭებით დაფლეთილი მტვენების ბურდი.
და მზის სხივებზე მოეღვარე ყოველი კუნთი
ძოწის ლაქებთან აკრიალებს ნაცრისფერ ხარვეზს.

მზეზე ეს ჯოგი იკლაკნება კენესით, განგაშით,
ხან გულმოსული ბუზღუნებს და ღრიალებს დარდით:
აგიკებს ვეფხებს სისხლის ყნოსვა, შუადღის ხვატი.

ღმერთს უხარიან უცნაური მათი თამაში,
ტირსით ახელებს და აქეზებს, სურვილით ანთებს,
რომ ყრუ ღრიალით ძუ ვეფხები ეძგერონ ხვადებს.

მარსიანი

მშობლიურ ტევრის კოცონებზე არ დაგწვა აღმა,
ამ ტევრის ნაძვებს ათრთოლებდა ეგ საღამური.
გამოფიტული შენი ძვლები ქარით, აღმურით,
ფართო ქალისკენ ჩაიტანა ფრიგიის წყალმა.

რკინის პლექტორით კიფარედმა დაჰყარა დაბლა
შენი ლერწმები ღვთაებრივი და საამური;
ვინ გაწოთვნას სირნი, აწყვეტილი ლომის ხმაური
ვინ დაადუმოს მომხიბლავი სიმღერით ასლა?

ის აღარ არის. სისხლიანი ჩვარია ხეზე,
სადაც მიაბეს, რომ სხეულზე გაეძროთ ტყავი.
სასტიკო ღმერთო! იმის სახეს ამაოდ ვეძებთ.

სალამურის წილ ახლა შავი ყორანი ჩხავის,
მენადრის წყალთან ჯადოსნური არ კენესის ქნარი.
იალქანსავით აფრიალებს კაცის ტყავს ქარი.

სვინძსი

სად კიფერონის მთებს ეხვევა მაყვალის ზვარი,
სადაც კლდეებში ჩაბნელებულ ბუნაგებს სძინავთ,
არწივის ფრთიან ქალის მკერდი, მუცელი ბრწყინავს,
და ამ ფრთოსანის თვალეგია სხივებს რო გჭაენის.

გასხივოსნებულ შესავალთან შეჩერდა მგზავრი:
— ვინ არის, ნეტავ, რო მიჩრდილავს, თავხედი, ბინას?
— ტრფიალი. — ღმერთი? — არა, გმირი. — სიკვდილი გინდა,
მიტომ თუ გედავ? — სიყვარულმა არ იცის ზღვარი.

ბელგროფონი ამ ქიმერას, მიდის, ამარცხებს.

— ნუ მეკარები!—შენი ბაჭეც, ეხედაე, ცანცანებს,

— მას შოდი ახლო, ჩემ მკლავებში გაბედე მოცდა.

უკვე დავფლითე მკერდი შენი.— არ მედარდება,

თუ დაგამარცხე და მოგტაცე ალური კოცნა.

— ნუ გიხარიან, ილუპები.—ო! ნეტარებაე!...



ჟოზე-მარია დე ჰერედია

ჟ. — მ. დე ჰერედია დაიბადა 1842 წელს კუბის (ამერიკა) ქალაქ სანტიაგოში, გარდაიცვალა საფრანგეთში 1905 წელს. საფრანგეთში ჰერედია ჩამოიყვანეს ჯერ კიდევ სულ პატარა. სწავლა დაიწყო სენილის (Senlis) კოლეჯში. შემდეგ უნივერსიტეტი დაამთავრა ჰაენაში, კუბის სატახტო ქალაქში.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის ისევ ჩამოვიდა საფრანგეთში და თითქმის მთელი დანარჩენი თავისი სიცოცხლე პარიზში გაატარა.

როგორც პოეტი ის თავიდანვე დადგა პარნასელთა შორის, რომელთა ყურადღება მიიქცია თავისი სონეტებით. მისი სონეტები, შეკრებილი ერთ ტომად, „ტროფეის“ სახელწოდებით, გამოვიდა 1893 წელს, როცა მისი ავტორი უკვე 51 წლისა იყო. ამ სონეტებმა მას მოუხვეჭეს დიდი პოეტის სახელი. 1894 წ. საფრანგეთის აკადემიამ აირჩია ის თავის წევრად.

ჰერედია უდიდესი ერუდიტი იყო, და ამ ერუდიციით აღჭურვილი პოეტური ოცნებით ის სწვდებოდა სხვადასხვა ეპოქებს მსოფლიოს მთელ სივრცეზე. ჰერედიას სონეტები თავისი ფორმით ითვლება სანიმუშოდ ფრანგულ პოეზიაში.

სონეტის ეიწრო და შემბორკველ რეალში მან შესძლო თანაბარი ოსტატობით გაეშალა, როგორც დიდი მოვლენები, ისე სულ მცირე დეტალებიც, მისი შემოქმედება არის ბრწყინვალე შეერთება ისტორიულ მეცნიერებათა და პოეტური შემოქმედების მწვერვალების დაუფლებისა.

თვითთულ სონეტს წინ უძღვოდა პოეტის მიერ ხანგრძლივი შესწავლა იმ ხალხისა, იმ ეპოქისა და იმ ისტორიულ გარემოსი, რომლის შესახებ შემდეგ ის 14 სტრიქონიან ლექსში გამოკვეთდა თავის ამაღლებებელ განცდებს.

თავის სონეტებში, ჰერედია ეხება კაცობრიობის ცხოვრების სხვადასხვა მოვლენათ. იგი აკოცხლებს პოეტური სიტყვით დავიწყებულ მომენტებს, გმირებს და განწყობილებებს.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა ნ ი

Programme votive

(შ ე წ ი ვ ა)

სონეტში აწერილია იარაღის შეწირვა ამბავი. ომის ღმერთთან მარიხთან ანუ არიასთან მიღის მოხუცი მეიზარი, რომელიც სწირავს იარაღს და თან იგონებს ცნობილ ბრძოლას მარათონის ველზე, სადაც მილტადამა 490 წ. ჩვენს ერამდე სასტიკად დაამარცხა ირანის ჯარი.

ვ ა ნ ი

ძველი საბერძნეთის მითოლოგიური ღმერთი, ჯოკების მეთაური, ბუნების ძალთა განსახიერება. თანახმად მითოლოგიური გადმოცემისა ის იყო ჰერმესის და ნიმფის შვილი (დრიოპის). მას ხშირად ხატავენ დიონოსს ამ.ლის ჯგუფში მთებზე და მინდვრებზე მონაჯარდეს. ხატავენ მის ნადირობას და ნიმფების ცუკვას, მისი მეთაურობით. ის ხშირად უკრავს მწყემსის სალამურს, რომელიც მისი მოვლილია. მის გარეგნობას ახასიათებს ორი რქა, თხის ფეხი. პანი დასდევს ნიმფებს და თავის უცარი თავდასხმებით იწვევს მათ შორის „პანიფურა“ შიშს.

მ ა რ ს ი ა ს ი

ძველი თქმულებით მარასი მფეჯიბრა ღმერთებს სალამურზე დაკვრაში. ამ თავებდობისათვის ის სასტიკად დასაჯეს: გააწერეს ტყვეი და მიაკრეს ხეზე. სხეული არ დასწვეს ცეცხლზე. როგორც ეს მიღებული იყო ძველად საბერძნეთში. მისი ლეში ფრიგიის ველზე ვდო, ყვაე-ყორნების საძიკნად.

კორინთის მეფის გლავკოს და ვერიმედას ეკას ბელეროფონს უცაბედად შემოაკვდა ღვიძლი ძმა და ამიტომ გაიქცა და შეეფელა თავის ნაუფასეს — არგოსის მეფეს პროიტოსს, რომელმაც გაანთავისუფლა ის ცოდვისაგან. აქ დეფოფალ ანფუიას, და ზოგიერთი თქმულებით კი სფენებეიას, შეუყვარდა იგი. რადგან ბელეროფონმა უარყო ეს ბოროტი სიყვარული, დედოფალმა ცილი დასწამა თავის ქმრის წინაშე. ქალმა დაარწმუნა პროიტოსი, რომ ეკაი სცილილობა მის შეცდენას. მაშინ მეფემ გაგზავნა ბელეროფონი თავის სამშობთან — ლიკიის მეფესთან, იობეტთან და თან გაატანა ფირფიტა წარწერით, სადაც ნაბზანები იყო მისი სიყვდილი, იობატმა ჯერ უბრძანა ბელეროფონს, სამთავიანი ცეცხლის-მურქვეველი ქიმერის მოკლა. ბელეროფონმა მოკლა ის. შემდეგ იობატმა ის გაგზავნა ამოწალების წინააღმდეგ, აქაც გაიმარჯვა; დახოცა აგრეთვე ლიკიელი მეომრები, მის მოსაკლავად ჩასაფრებულნი. ასეთი გმირობის შემდეგ, ამ ეკაის ეუაკაცობიო მოზიბოულმა იობეტმა მიახთოვა მას თავისი ქალი ფილიონა.

ერედისა სონეტში გამოხატული სიუჟეტი არ ეთანხმება ტრადიციულ თქმულებებს. ბელეროფონი აქ ებრძვის ქალური სქესის ტრადიულ სიმბოლოს სფინქსს და ამ ბრძოლაში იღუბება.


ვაკხანალია. აკიანდა

ლექსები დაკავშირებულია არიანდასთან, რომელიც, თანახმად ბერძნული თქმულებებისა იყო კრიტოსის მეფის მიწათსი ქალი.

როცა ფესვიმ გადასწყვიტა მინოტავრის მოკლა, რომელსაც ათინელები აძლევდნენ სამარცხინო ხაჯს, შვიდი ვაჟისა და შვიდი ქალწულის სახით, მაშინ არიანდამ მოსკა მას ერთი მორგეი ძაფი. ამ ძაფის საშუალებით ფესვი გამოვიდა მინოტავრის სამფლობელოდან — ლაბირინტიდან. ამ გმირობის შედეგ ფესვი გაიქცა საყვარელ არიანდასთან ერთად კუნძულ ნაკსოსზე. აქ არიანდა, თანახმად ერთი ვარიანტით, მოკლა ისრებით არტემიდამ. მეორე თქმულებით ის დასტოვა ფესვიმ და შემდეგ იპოვა დიონისემ, რომელმაც შეერთო ცოლად, გააღმერთა და მოათავსა მისი გვირაგინი ვასაკვლავთა შორის (არიანდას კრებულში).

ზოგიერთ მხატვრებს გამოხატული ჰყავთ არიანდას სასოწარკვეთა, როცა ის დარჩა მარტოდ კუნძულ ნაკსოსზე. ხშირად ხატავენ აგრეთვე შინარე არიანდას და დიონისოს გაღმერთანს. ერედისა აღებული აქვს ყველაზე უფრო ტრადიციული სიუჟეტი — არიანდა ვაკხანკებს შორის. დამკერის ცნობილი სურათი, რომელიც ინახება ფრანკფურტის მანინზე გამოხატავს არიანდას პანტერის ხურგზე. სწორედ ამ ნაწარმოებით უნდა იყოს შთაგონებული ეს ლექსი.

— ტირისი არის მოკლე ჯოხი, ნაძვის გურჩით ბოლოში, შემოხეველი ეახით და სურათი. ასეთი ჯოხით იყენებ შეიარაღებულნი ვაკხანკები.



კ რ ი ტ ი კ ა

პოსტ. ულანტი

მნაერლოვის სოციალისტური ხარისხი- სათვის

კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო მუშათა კლასის ბელადის აშ. სტალინის ისტორიულ სიტყვას კადრების შესახებ, სოციალიზმის მშენებელი ქვეყანა გამოეხმაურა ახალი ადამიანის შეგნებისა და შემოქმედებითი უნარიანობის მასიური ზრდის მაჩვენებლებით.

ძღვეანოსილად გაშლილი სტახანოვური მოძრაობა და ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანთა შეხვედრები პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან კრემლში გვიჩვენებენ, რომ საბჭოთა კავშირში დიდის სისწრაფითა და წარმატებით ყალიბდება სოციალისტური ადამიანი, რომლის შრომისუნარიანობამ გადალახა კაცობრიობის ისტორიაში ცნობილი ყველა ნორმა.

საბჭოთა ლიტერატურა სოციალისტური ადამიანის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ფაქტორია. იგი მოწოდებულია აქტიურად შეუწყოს ხელი იმ უძვირფასესი ღირებულების შექმნას, რომელსაც წარმოადგენს მშრომელი მასების კომუნისტური შეგნება, საერთოდ სოციალისტური ადამიანი.

საბჭოთა მწერლობა, მიუხედავად დიდი იდეურ-მხატვრული ძვრებისა, ჯერ კიდევ ვერ ახერხებს ღირსეულად შეასრულოს ეს მეტად საპასუხისმგებლო და ისტორიული მოვალეობა. და რაც უფრო მეტის ყურადღებით და დაინტერესებით იწყებენ მშრომელი მასები მხატვრული მწერლობის შესწავლასა და დაუფლებას, მით უფრო საგრძნობი ხდება საბჭოთა ლიტერატურის ჩამორჩენა მასების გაზრდილი მოთხოვნებისაგან. მუშათა კლასი, საკულმეურნეო მასები, ჩვენ ქვეყნის მშრომელი ახალგაზრდობა მწერლობისაგან მოითხოვენ ჩვენი გმირული სინამდვილას ღრმად გამოიხატველ მაღალ-მხატვრულ სახეებს. მათ სურთ დაინახონ საბჭოთა ლიტერატურაში იმ ადამიანთა პორტრეტები, რომლებიც აუწინებენ ახალ ბედნიერ ცხოვრებას. მათ სურთ მწერლობაში ჰპოვონ ამ ადამიანთა გმირული საქმეებისა და ჩვენი კლასის დიად იდეების შესაფერი ხელოვნება და ოსტატობა.

ლენინური კამკავშირის მეათე საკავშირო ყრილობაზე გარკვევით იყო ნათქვამი, რომ საბჭოთა ლიტერატურა ვერ აკმაყოფილებს მასების ამ მისწრაფებას, ვერ ახერხებს ღირსეულად უპასუხოს ჩვენი ქვეყნის ასეთ მოთხოვნას, მა-

შინ, როდესაც მწერლობის აყვავებისა და განვითარებისათვის სოციალიზმის ქვეყანაში შექმნილია ყოველგვარი პირობები.

იმ მიზეზებს შორის, რომლებიც იწვევენ საბჭოთა ლიტერატურის ჩამორჩენას სოციალისტური მშენებლობის ტემპებისაგან და ჩვენი ქვეყნის შშრომელთა მოახლოვნილებისაგან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბჭოთა ლიტერატურაში ჯერ კიდევ მოკეპოება ბურჟუაზიული ხელოვნების ისეთი გავლენები, რომლებიც აფერხებენ ჩვენი მწერლობის სოციალისტური განვითარების საქმეს და ხელს უშლიან მას ორგანიზულად დაუკავშირდეს ჩვენს სინამდვილეს, გადაიქცეს ამ სინამდვილის ღირსეულ გამოხატულებად. ფორმალისტურ და ნატურალისტურ სიმახინჯეთა არსებობა საბჭოთა ლიტერატურის სინამდვილეში სწორედ ბურჟუაზიული ხელოვნების, ბურჟუაზიული ლიტერატურის უტუღეს ტრადიციათა გავლენების გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს. ამიტომაც პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „პრავდამ“ სრულიად შეურთავებელი ბრძოლა გაუშარათა საბჭოთა ლიტერატურაში ფორმალისმისა და ნატურალისმის რეციდივებს და ამ დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე გაამახვილა მთელი პროლეტარული საზოგადოებრივობის ყურადღება.

როგორც ფორმალისმი, ისე ნატურალისმი ბურჟუაზიული კულტურის დაცემისა და დაკნინების პერიოდში წარმოშობილ მიმართულებებს წარმოადგენენ ეს მიმდინარეობანი წარმოიშვენ ბურჟუაზიულ კულტურაში მაშინ, როდესაც ბურჟუაზიამ ამოსწურა თავისი განვითარებისა და აღმავლობის ყველგვარი შესაძლებლობანი, როცა მან დაჰკარგა შემდგომი წინსვლის ყოველგვარი პერსპექტივა და დაცემისა და დეგრადაციისაკენ დაექანა. ასეთს ეპოქაში ბურჟუაზიული ხელოვნება და ლიტერატურა პირს იბრუნებს ჯანსაღი კრიტიკული რეალიზმის პოზიციებისაგან. რადგან სინამდვილის ობიექტური განვითარება მეტყველებს ბურჟუაზიის როგორც კლასის სასიკვდილო განწირულების შესახებ, ბურჟუაზიული ხელოვნება ცდილობს გაექცეს ამ სინამდვილეს და თვლი დახუტოს რეალობის მკაცრი ლოდიკის წინაშე. სინამდვილისაგან ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოთიშვისათვის ბურჟუაზიულმა მხატვრულმა კულტურამ ორი გზა გამოიხატა. ერთია ფორმალისმი, რომელიც მოასწავებს ხელოვნების ესთეტიურ თვითმზნად ქცევას, ხელოვნებაში შინაარსობრივი, იდეური მომენტის იგნორაციას და უსაგნო ესთეტიურ ფორმათა აბსტრაქციას. მეორე გზა კი ნატურალისმია. ნატურალისმი, რომელიც თითქოს გარეგნულად სინამდვილის ფოტოგრაფიულ განმეორებას წარმოადგენს ხელოვნებაში, ობიექტურად აგრეთვე სინამდვილიდან გაქცევის, სინამდვილიდან გამოთიშვის საშუალებაა. ნატურალისტური ხელოვნება გაურბის ჩასწვდეს სინამდვილის ნამდვილ აზრსა და შინაარსს. მისთვის სინამდვილე არსებობს როგორც მხოლოდ მოვლენათა გარეგანი სტატორი სახე. იგი უყურადღებოდ სტოვებს მოვლენათა ურთიერთ კავშირს, მოვლენათა კომპლექსს, სინამდვილის დინამიკას, მის ნამდვილ შინაარსს და პერსპექტივას. მოვლენის ეპიზოდული, ხედავირული მხატვრობით ნატურალისტური ხელოვნება ცდილობს მიჩქვალოს სოციალური განვითარების ნამდვილი შინაარსი და მიმართება.

ამიტომ ფორმალისმი და ნატურალისმი მონათესავე მიმდინარეობებს წარმოადგენენ ხელოვნებაში, მათი მთელი ბუნება პირდაპირ ეწინააღმდეგება საბ-

ქოთა ლიტერატურის ამოცანებს და დანიშნულებას, ეწინააღმდეგება ყველა იმ პრინციპებს, რომლებზედაც ეყარება საბჭოთა მწერლობის ძირითადი შემოქმედებითი მეთოდი — სოციალისტური რეალიზმი.

სოციალისტური რეალიზმი გულისხმობს მწერლობის ორგანიულ კავშირს რევოლუციურ სინამდვილესთან, მასზე აქტიურ შემოქმედებით ზეგავლენას. ფორმალისში კი უარყოფს საერთოდ ხელოვნების შემეცნებითს ფუნქციას. ფორმალისტებისათვის ხელოვნება წარმოადგენს სინამდვილისაგან სრულიად დამოუკიდებელ იმანენტურ სამყაროს, რომელიც ვითარდება თავისი შინაგანი დამოუკიდებელი კანონებით. ფორმალისტებისათვის ხელოვნების ისტორია ფორმათა იმანენტური ცვალებადობის, ფორმათა ბრძოლის ისტორიაა. რუსული ფორმალისმის მეთაური და თეორეტიკოსი ვიქტორ შკლოვსკი ამბობდა: „ხელოვნება არ ატარებს იმ დროის ფერს, რომელიც აღმართულია ქალაქის ციხე-სიმაგრეზე“-ო. ამ ფორმულაში ზედმიწევნით ზუსტადაა გამოხატული ფორმალისტური კონცეპცია იმის შესახებ, რომ ხელოვნება სრულიად დამოუკიდებელი სამყაროა, რომ მას არაფერი აქვს საერთო სოციალურ სინამდვილესთან, ქვეყნის პოლიტიკურ და სამეურნეო მისწრაფებებთან.

სოციალისტური რეალიზმის თვალსაზრისით ხელოვნებასა და ლიტერატურაში უმთავრესია იდეა, შინაარსობრივი მომენტი, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს მხატვრულ ნაწარმოების ყველა სტრუქტურულ ელემენტებს, მხატვრული ფორმის თავისებურებას. ფორმალისში კი გეასწავლის „ხელოვნება ხერხების ჯამია“-ო. ამრიგად მხატვრული ხერხი წარმოადგენს ფორმალისტური ხელოვნების დომინანტს. „როგორ უნდა ვწეროთ“, ეს არის მთავარი ფორმალისტისათვის და ეს „როგორ“ მიმართულია არა იმისაკენ, რომ უფრო ინტენსიურ და დამაჯერებელ ფორმებში გამოხატოს სინამდვილე, არამედ იმისაკენ, რომ გამოიწვიოს მკითხველისა თუ მკითხველის განცვიფრება, გაოცება, ახალი შეგრძნება, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა შინაარსისაა ეს ახალი შეგრძნება.

ფორმალისტები ყოველთვის გაურბოდნენ თავიანთი თეორიის ფილოსოფიურ-სოციალოლოგიურ წინამძღვრების შესახებ ლაპარაკს, მაგრამ ჩვენთვის ცხადია, რომ ფორმალისმის მსოფლმხედველობრივ საყრდენს სუბიექტური იდეალიზმი წარმოადგენს. ფორმალისტური ხელოვნებისათვის არ არსებობს ობიექტური სინამდვილე, თავისთავად არსებული სამყარო. ფორმალისტური ხელოვნების მთელს შინაარსს ადამიანის სუბიექტური შეგრძნებანი განსაზღვრავენ. „გაუცხოვების“ თეორია (теория отчуждения) გულისხმობს სწორედ მოვლენებისა და სინამდვილის ობიექტური შინაარსის უარყოფას. ფორმალისში აღმოცენებულია იმპერიალისტური ბურჟუაზიის იმ მსოფლმხედველობრივ კონცეპციის ნიადაგზე, რომლის შესახებაც ლენინი ამბობდა: „ამ ფილოსოფიის მთელი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მას სოლიისიზმმა უე მიეყვართო“.

სოციალისტური რეალიზმი გულისხმობს მასებისათვის გასაგებ და მისაწვდომ ხელოვნებას, ამაში მდგომარეობს ხელოვნების სისადავისა და ხალხობრობის მოზუნვის მთელი შინაარსი. მხოლოდ ამ გზით შესძლებს საბჭოთა ლიტერატურა შეასრულოს მასების კომუნისტური შეგნების მშენებლის — „ადამიანის სულის ინჟინერის“ ფუნქცია: ფორმალისში კი სრულიად უყურადღებოდ სტო-

ვებს მკითხველი მასების ინტერესს და მოთხოვნებს. მხატვრული ფორმის იმანენტური ნოვატორობით ვატყებელი ფორმალისტი-ხელოვანი ქმნის გაუგებარ და მიუწვდომ სახეებს, იგი მეტყველებს ისეთ მხატვრულ ენაზე, რომელსაც არ გააჩნია ობიექტური, საყოველთაოდ ცნობილი აზრი და შინაარსი. ამ მხრივ ფორმალისტიკის განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს „ზაუმი“, სადაც სიტყვა სახეებით განტვირთულია ყოველგვარი სოციალური აზრისაგან და განიხილება როგორც მხოლოდ ბგერითი კატეგორია.

ასევე დიამეტრალურად ეწინააღმდეგება სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს ნატურალისტური ხელოვნების თეორია და პრაქტიკა.

სოციალისტური ხელოვნება ისწრაფვის ჩაწვდეს სინამდვილის შინაგან აზრს, გაიგოს მოვლენათა განვითარების კანონზომიერება და დაინახოს ის სინამდვილე, რომელიც უფრო მეტია და უფრო ნამდვილი, ვიდრე მოვლენათა გარეგანი სახე. ნატურალისტური ხელოვნება კი განსაზღვრულია საგნებისა და მოვლენების ზედაპირული ათვისებით. მისთვის უცხოა და გაუგებარი მოვლენათა ურთიერთკავშირი და, მაშასადამე, სინამდვილის განვითარების კანონზომიერებაც. ამიტომ ნატურალისტური ხელოვნება წარმოადგენს საგნის ისეთ ფიქსაციას, რომელიც არაფერს გვეუბნება საერთოდ სოციალური ვითარების, ან რაიმე განზოგადებული მნიშვნელობის პროცესის შესახებ. ნატურალისტი ვერ გვაძლევს „ტიპურ ადამიანებს“ „ტიპურ ვარემოცვას“, რაც ნამდვილი რეალისტური ხელოვნების ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს.

სოციალისტური რეალიზმი გულისხმობს ხელოვანის მსოფლმხედველობრივ ტენდენციას, სინამდვილისადმი იდეურ დამოკიდებულებას მაშინ, როდესაც ნატურალისტური ხელოვნება ობიექტის გულგრილ, ინდიფერენტულ, უსულგულო აღწერილობას წარმოადგენს. ასეთ ხელოვნებას არ გააჩნია უნარი ამოძრავოს მკითხველის შეგნება გარკვეული მიმართებით, იმოქმედოს მასების გრძობებსა და აზრზე, რადგან თვით ასეთი ხელოვნება მოკლებულია აზრისა და გრძობის სიღრმეს, იდეურ მიზანმისწრაფებას.

ფორმალისტიკა და ნატურალისტიკა, როგორც ბურჟუაზიულ დეკადანსის მხატვრული კულტურის რეაქციური მიმდინარეობანი, დიდხანია განადგურებულია და დამარცხებული სოციალიზმის მშენებელ ქვეყანაში. სოციალისტური მშენებლობის ზრდა, პროლეტარიატის კლასობრივი ხელოვნების განმტკიცება, მარქსისტულ-ლენინური სალიტერატურო კრიტიკა — აი ის ფაქტორები, რომელთაც დაამსხვრიეს ფორმალისტური და ნატურალისტური ხელოვნების თეორია და პრაქტიკა ჩვენს ქვეყანაში.

მაგრამ საბჭოთა ლიტერატურის პრაქტიკაში, საბჭოთა მწერლების შემოქმედებაში, ჩვენ კიდევ ვხვდებით ფორმალისტურ და ნატურალისტურ ხელოვნების გაღვლენათა ნაშთებს. ცხადია, ამ ნაშთების არსებობა ხელს უშლის სოციალისტურ ლიტერატურის წარმატებით განვითარებას. ამიტომ მათ წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა — საბჭოთა ლიტერატურაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრისათვის ბრძოლას წარმოადგენს.

მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში 1905 წლის რევოლუციის დასარცხების შემდეგ, როდესაც ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ და კულტურულ

ცხოვრებაში სუსხიანი რეაქცია გაბატონდა, მწერლობაში თავი იჩინა სამოქალაქო მოტივებისაგან განდგომის, თვითმიზნური ესთეტიზმის, მისტიური და ეროტული პაუზის ტენდენციამ. ამ მოტივებმა ნოაქიური სოციალური ნიადაგი პოეზის ორ რევოლუციის შორის არსებულ პერიოდში. მაგრამ სინამდვილისაგან გამოთიშული ესთეტიზმისა და მისტიციზმის გარკვეული ჩამოყალიბებული პოზიცია წააოუნდა ქართულმა ბურჟუაზიულ-დეკანდეტურმა ლიტერატურულმა სკოლამ „ციხვეფრი ყანწების“ სახით.

ეს პირველი ლიტერატურული მიმდინარეობა იყო ახალ ქართულ ლიტერატურაში, რომელმაც გარკვევით უარი სთქვა ქართული კლასიკური მწერლობის საუკეთესო ტრადიციებზე მწერლობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთობის საკითხში. ეს მიმდინარეობა გულმოდგინედ ნერგავდა ქართულ სინამდვილეში ევროპისა და რუსეთის ბურჟუაზიულ-დეკანდეტური მწერლობის ტრადიციებს: სიმბინჯის ესთეტიკა, ბოგემისა და ლოთობის კულტი, თვითმკვლელობის და მისტიურ მირაჟების სამყაროში გახიზვნა და სხვ.

პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში ქართველი სიმბოლისტების ლიტერატურულმა სკოლამ განვითარების, გარდაქმნისა და გადაიარაღების მძიმე გზა განვლო. როგორც ვიკით, დღეს ამ მიმდინარეობის ყველა ცნობილი წარმომადგენელი საბჭოთა მწერლობის მოწინავე რიგებში დგას და თავის შემოქმედების იდეურ შინაარსობრივ მომენტს ჩვენი სიცალისტური სინამდვილით, ჩვენი ქვეყნის საბრძოლო ამოცანებით განსაზღვრავს.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ფორმაციის პოეტთა შემოქმედების ძირითადი ხაზი დღეს სინამდვილის რეალისტური ათვისებისა და გამოხატვის გზით მიემართება, მაინც მათს შემოქმედებითს პრაქტიკაში ჩვენ ზოგჯერ ვხვდებით სიმბოლისტური პოეტიკის რეციდივებს, რომლებიც ხშირად დაცემულობის განწყობილებაში, ხან „უსაგნო“ ლირიკით გატაცებაში, თვითმიზნური ესთეტიზმის გამოკლინებაში თუ ახალი თემებისადმი ძველი სიმბოლოსტური პოეტური ხსენებით მიდგომაში პოულობენ გამოხატულებას.

ამით აიხსნება, მაგალითად, ამ ორი-სამი წლის წინათ ჩვენს პოეზიაში შემჩნეული ტენდენცია განყენებული პეიზაჟების და „წმინდა ლირიკისა“, რომელიც მკაფიოდ გამოიხატა მაშინ სხვათაშორის, პ. იაშვილის შემოქმედებაშიც. პ. იაშვილი კი ქართველ სიმბოლისტთა შორის ყოველთვის გამოირჩეოდა მეტი რეალისტურიობით და საერთოდ უკანასკნელ წლებში პოლიტიკური თემის მახვილი დახეუშავებით

ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რა პოეტი ტიცინ ტაბიძე დიდი სიმბოლისტების წინაშე სდგას, როდესაც იგი ცდილობს თავისი პოეტური შემოქმედების ობიექტად ჩვენი სინამდვილის კონკრეტული მასალა აიღოს. იგი ხშირად სოციალისტური რეალისტიკის ცოცხალ მასალას ახვევს სიმბოლისტური არსენალიდან გამოტანილ პოეტურ ფორმებში, აქედანაა გადაჭარბებული ისტორიზმი, მისტიური საუბრები, ულოკოკო შედარებები ტიცინ ტაბიძის ზოგიერთ ლექსებში იმ (იკლიდანაც კი, რომლებიც გამოირჩევიან ტ. ტაბიძის შემოქმედებითს განვითარებაში რევოლუციურ სინამდვილესთან მოახლოებისა და იდეური გადაიარაღების თვალსაზრისით (მაგ. ლექსების ციკლი „ახალი სომხეთი“).

ჯანსაღ იდეურ თემატიკურ მიზანშისწრაფებით ვითარდება ვ. გაფრინდაშვილის პოეტური მუშაობა უკანასკნელ ეტაპზე, მაგრამ ისიც თავისუფალი არ არის სიმბოლისტურ პოეტიკის ტრადიციებისაგან. საქმარისია დავასახელოთ ისეთი ლექსები, როგორიცაა „მკვლელობა თეატრის შესახებში“, „ბალადა მაზოხსა და შლეიფის შესახებ“, „ვაჟა-ფშაველა და ფიროსმანი“, რომ ჩვენთვის ნათელი გახდეს თუ რამდენად ხელშესახებია გაფრინდაშვილის დღევანდელ შემოქმედებითს მუშაობაში დეკადენტური ტრადიციების რეციდივები.

ორი ერთმანეთისათვის საწინააღმდეგო შემოქმედებითი ხაზი — ჯანსაღ სოციალური ლირიკისა და უსაგნო ესთეტიზმის ტენდენციების პარალელური განვითარება გამოისახან ვ. ლეონიძის პოეზიაში. მთელი რიგი სოციალური ოპტიმიზმით და ჩვენი სინამდვილის გმირული საქმეებით შთაგონებულ ლექსებთან ერთად ლეონიძე სწერს ლექსებს, რომლებიც ხასიათდებიან მასალასთან ეგზოტიური მიდგომით და განყენებული ინდიფერენტული აღწერილობით. აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევებში ლეონიძე ჰკარგავს მისთვის ჩვეულ პოეტური ოსტატობის ძალას და აღარბივებს ლექსის სახეობრივ და მუსიკალურ ლირებულუბას („მეხი“, „წვიმა შე ზღვაზე“ და სხვა).

ცნობილია, თუ რა დიდი შემოქმედებითი წარმატებები მოიპოვა ბელეტრიტიკმა სერგო კლიაშვილმა უკანასკნელი წლების განმავლობაში. პატარა უმნიშვნელო მინიატურების ავტორი ძველად — იგი ესლა გადაიქცა ქართული საბჭოთა მხატვრული პროზის ერთ-ერთ საუკეთესო ოსტატად, მაგრამ უდავოა ისიც, რომ ს. კლიაშვილის მთელი რიგი მოთხრობები მოკლებულნი არიან სინამდვილისადმი სოციალური სიმახვილით მიდგომას და ერთგვარი ესთეტიზმით, ნეიტრალური სტილიზაციით ხასიათდებიან (მაგ. „სვანური მოთხრობები“).

ეს მაგალატები მოწმობენ, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურის გარკვეული ფენა ჯერ კიდევ ამჟღავნებს თავის შემოქმედებითს მუშაობაში ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურული კონცეპციის რეციდივებს, რომლებიც, უმეტესად, აფერხებენ ქართული ლექსის და პროზის ამ თვალსაჩინო ოსტატთა შემოქმედების წარმატებით განვითარებას სოციალისტური რეალიზმის გზით.

პროლეტარული რევოლუციის პირველ წლებში ქართულ ლიტერატურაში აღმოცენდა ფუტურისტული მიმდინარეობა, რომელიც შემდეგ ჩამოყალიბდა ქართული მწერლობის მემარჯვენე ფრონტის სახელწოდებით. ეს მიმდინარეობა თავისი განვითარების საკმაოდ ხანგრძლივ მანძილზე თავის შემოქმედებითს პრაქტიკას ფორმალისტური თეორიით ასაბუთებდა. ამ მიმდინარეობის წარმომადგენელი მწერლები (მათ შორის ამ წერილში ავტორიც) თავისი მუშაობის მთელ აზრს ლიტერატურის შინაგანი იმანენტური რევოლუციონერობით განსაზღვრავდნენ. ახალი ფორმებისათვის ბრძოლა შეადგენდა მათი ლიტერატურული პოზიციის მთავარ შინაარსს. ეს მიმდინარეობა, რომელიც თავის დროზე გამოხატავდა წერილ-პურჟუაზიული ინტელიგენციის განწყობილებებს ქართული მწერლობის სინამდვილეში, უსათუოდ წარმოადგენდა გარკვეულ ფორმალისტურ მიმდინარეობას.

ამ ლიტერატურული თაობის მთელი რიგი საოკეთესო წარმომადგენლები სწრაფად დაუახლოვდნენ მუშათა კლასის იდეურ პოზიციებს და აქტიურად ჩაე-

ზენე სოციასტური მწერლობისათვის ბრძოლაში. მაგრამ მათთვისაც არ აღმოჩნდა ადვილი ფორმალისტური პოეტიკის ტრადიციათა სრული დაძლევა.

პოეტი ს. ჩიქოვანი ჩვენი მკითხველი საზოგადოებრივობისათვის ცნობილი როგორც ავტორი არა ერთი ნამდვილად საბჭოთა ლექსისა. ამ ლექსებში ჩიქოვანი გამოხატავს არა მარტო სოციალისტური სინამდვილით გამოწვეულ საკუთარ პოეტურ განცდებსა და განწყობილებებს, არამედ ახერხებს კიდევ მოგვცეს ჩვენი სინამდვილის კანკრეტულ-სახეობრივი გამოხატულება და ახალი ადამიანის პოეტური განსხვავების ცდებიც. მაგრამ ამავე დროს ჩიქოვანის შემოქმედებით მუშაობაში ჯერ კიდევ დაძლეული არ არის ლექსის ფორმალისტური ტრადიციების, გაუგებარი შედარებების და ლექსის აზრთან შეუთანხმებელი პოეტური ხერხების პრაქტიკა. ზოგიერთ ლექსში ჩიქოვანს უფრო გარემოცვის მხატვრობაზე გადააქვს სიმძიმის ცენტრი, ვიდრე სოციალური სინამდვილის პროცესებზე. ასეთი მუშაობის ნიმუშს წარმოადგენს, მაგ. მისი ლექსი „დონბასის ღამე“.

აგრეთვე საგრძნობია დეკადენტურ-ფორმალისტური ტრადიციების ნაშთები ბელეტრისტ დ. შენგელაიას შემოქმედებითს პრაქტიკაში. ეს გარემოება ხელს უშლის შენგელაიას შექმნას ფართო მხატვრული ტილო ჩვენი სინამდვილის მასალებზე, ჩვენი დროის პრობლემებზე. იგი უფრო მეტად გატაცებულია სიტყვიერი ჩუქურთმებით, ფრაზის სტილობრივი გამოკვეთილობით, კიდრე ჩვენი სინამდვილის ადამიანთა ცხოვრების გამომატველი მიზიდველი სიუჟეტებით. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ დ. შენგელაიაც თავის დღევანდელ მუშაობაში ამ სიძინელთა დაძლევის გზით მიიმართება

როდესაც ჩვენს მწერლობაში ფორმალისტურ და სიმბოლისტურ რეციდივების შესახებ ვლაპარაკობთ, ცხადია, ეს არ შეეხება მარტო იმ მწერლებს, რომლებიც მოვიდნენ საბჭოთა ლიტერატურაში ყოფილ სიმბოლისტებისა და ფუტურისტების ბანაკიდან. ცნობილია, რომ პოეტი კარლო კალაძე მთელ რიგ უკანასკნელ ლექსებით დადგა სერიოზული საფრთხის წინაშე. ეს საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ კალაძე ზოგჯერ მოვლენების ემპირიული აღწერილობით განისაზღვრება, მისი მუშაობა ახალ ფორმათა დაუფლებისათვის ყოველთვის დაკავშირებული არ არის აზრთან, იდეასთან, მისი ლექსი ზოგჯერ მოკლებულია ემოციურობას და სხვა.

პოეტი ილია მისაშვილიც ხშირად მიმართავს უსაგნო განყენებულ პეიზაჟებს, რომლებიც არავითარ სოციალურ აზრობრივ შინაარსს არ შეიცავენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია პოეტ კ. ჭიჭინაძის მუშაობა, რომლის ლექსებსაც უმრავლეს შემთხვევაში არავითარი კავშირი არა აქვს ჩვენს სინამდვილესთან, ჩვენი ეპოქის რეკოლუციურ იდეებთან.

ეს მაგალითებიც საკმარისია იმ დებულების ნათელსაყოფად, რომ არა მარტო ყოფილი ფუტურისტებისა და სიმბოლისტების, არამედ ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის აკამოდ ვართო ფენის წინაშე მთელი სიმწვავეით ისმება საკითხი ფორმალისტური რეციდივების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის შესახებ, ფორმალისტებისა და ნატურალიზმის შესახებ წარმოებულ დისკუსიის პროცესში სამართლიანად აღინიშნა, რომ ქართული მხატვრული პროზის ისეთი დიდ ოსტატს, როგორიცაა მიხ. ჯავახიშვილი, აქვს მოთხრობები, რომლებიც

წარმოადგენენ ნატურალისტური მხატვრობის ნიმუშებს. ნატურალისტური განსაზღვრულობით და სინამდვილისადმი ემპირული მიდგომით ხასიათდება ი. ტატიშვილის რომანი „ღებნი“ და სხვა.

აგრეთვე მთელ რიგ ისეთ ნაწარმოებებში, რომლებსაც, მთლიანად აღებულთ, გარკვეული იდეური მიზანისწრაფება გააჩნიათ, ჩვენ ვხვდებით ნატურალისტურ ეპიზოდებს, ყოფა-ცხოვრებითი მასალის დაუმუშავებელ გაზოყებებს იდეურ-ესთეტიურ ასპექტში გატარების გარეშე (რ. გვეტაძის „ლაშაური საღამოები“).

ჩვენი ლიტერატურის ჩამორჩენილობისა და სისუსტის ერთერთ მიზეზს წარმოადგენს აგრეთვე მთელი რიგი მწერლების დაუდევარი და უყურადღებო დამოკიდებულება მხატვრული ფორმის, ლიტერატურული ოსტატობის საკითხისადმი. გაუბრალოებისა, მღარე ხარისხის და სქემატიზმის შემთხვევები ხშირია საბჭოთა მწერლობის სინამდვილეში.

აღსანიშნავია, რომ ფორმალისტური ოინაზობისა და ნატურალისტური განსაზღვრულობის საშიშროება თავს იჩენს აგრეთვე ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებაშიც. ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობა ზოგჯერ გაურბის ჩვენი სინამდვილის თემებზე მუშაობას, ექცევა „ლიტერატურზინის“ სახიფათო რკალში, რაც უკარგავს ბევრი ახალგაზრდა მწერლის ლექსებს აზრობრივ სიღრმეს და რეალობის გრძნობას. ფორმალისტურ-ესთეტიური ტენდენციები მკაფიოდ გამოიჩინა ისეთი რიგიერი ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში, როგორიცაა, მაგალითად, პოეტი გრ. აბაშიძე.

„პრავდა“ს წერილების აზრი, ჩვენი მკითხველი მასების ინტერესები, საბჭოთა მწერლობის განვითარების პერსპექტივა გვაგალებენ გამახვილებული ბრძოლა ვაწარმოოთ ჩვენი ლიტერატურული სინამდვილის იმ ავადმყოფურ მოვლენათა წინააღმდეგ, როგორიცაა ფორმალისტური და ნატურალისტური სიმახინჯე, სქემატიზმი, გაუბრალოება და ოსტატობისადმი დაუდევრობა.

ცხადია, მარტო ამით არ განისაზღვრება ჩვენი ლიტერატურის ჩამორჩენილობისა და სისუსტის გამომწვევი მიზეზები. ჩვენს მწერლობაში ზოგჯერ ადგილი აქვს უფრო რთულ საშიშროებასაც, უფრო ღრმა იდეურ ჩაფარდნებს, კლასობრივად უცხო იდეათა გამოვლინებებს. ცხადია, ფორმალისმისა და ნატურალისმის რეციდივების წინააღმდეგ ბრძოლა არ ნიშნავს ცეცხლის შენელებას ჩვენს ლიტერატურაში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ იდეათა უკანასკნელი ნაშთების წინააღმდეგ. პირიქით, „პრავდა“-ს წერილების აზრი ჩვენ გვრახმავს მეტი იდეური სიფხიზლისათვის და პრინციპიალური შეურიგებლობისათვის.

ამ ბრძოლაში განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება მარქსისტულ-ლენინურ სალიტერატურო კრიტიკას, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენი ლიტერატურული მშენებლობის ყველაზე ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენს.

ფორმალისტური და ნატურალისტური დამახინჯებებთან ბრძოლის ამოცანები ახალი სიმახტილოთ აყენებენ ჩვენს წინაშე ლიტერატურულ ახალგაზრდობასთან აღმზრდელი მუშაობის საკითხებს.

საბჭოთა კავშირში

რუსთაველის იუბილესათვის საზაფხულის

რუსთაველის დაბადებიდან 750 წლის შესრულების გამო საიუბილეო დღე-სასწაულისათვის სამხადისი ფართოდ გაიშალა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში. საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობასთან ჩამოყალიბდა საიუბილეო კომისია, რომელიც შესდგება მოძმე რესპუბლიკების მწერალთა ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან.

კომისიის წევრებად არჩეული არიან: ანტოკოლსკი, ბაჟანი, ბესპალოვი, გოლცევი, დ. დემეტრაძე, შ. დედუჩაძე, ზარიანი, ვს. ივანოვი, გ. ქიქოძე, კლი-მკოვიჩი, იაკობ კოლასი, იანკო კუპალა, ლახუტი, ლუპოლი, მარჩენკო, მირსკი, პასტერნაკი, სამედ ვურგუნი, სენჩენკო, დ. სიმონიანი, სტავსკი, ტ. ტაბიძე, აკ. თათარიშვილი, ნ. ტიხონოვი, ა. ტოლსტოი, პ. ტიჩინა, ფედინი, ფეფერელი, ჩარენცი, ს. ჩიქოვანი, შერბაკოვი, შოლოხოვი, პ. იაშვილი.

საკავშირო მწერალთა საიუბილეო კომისიას, საგამომცემლო ორგანიზებთან ერთად, მიზნად აქვს დასახული გამოსცეს მეცნიერული მონოგრაფიები შოთა რუსთაველის გარშემო, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები და ამ უდიდესი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ პოპულარული წერილების კრებული.

გარდა ამისა მოსკოვსა და საბჭოთა კავშირის მოწინავე ქალაქებში გაიმართება პოპულარული ლექციები რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

სხვა ღონისძიებთა შორის განზრახულია მოსკოვში მოეწყოს რუსთაველის შემოქმედების დიდი გამოფენა.

სომხეთის რესპუბლიკაშიაც გაიშალა ფართო სამხადისი ამ იუბილეს ჯეროვანად ჩასატარებლად.

სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობა ამახადებს გამოსაცემად „ვეფხისტყაოსნის“, რომელიც თარგმნილია სომხურ ენაზე მთლიანად გვევქ ასატურის მიერ. თარგმანის რედაქცია მინდობილი აქვს სომხეთის ცნობილ პოეტს ვეიშე ჩარენცს.

საკავშირო სამეცნიერო აკადემიის სომხეთის ფილიალი ამხადებს საიუბილეო კრებულს სომხურ ენაზე. კრებულში გაშუქებული იქნება რუსთაველის ცხოვრება და შემოქმედება. კრებულში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან საქართველოს და სომხეთის მეცნიერი მუშაკები, ლიტერატურის მკვლევარ-ისტორიკოსები, რომლებიც მუშაობენ ქართული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად. კრებულში შეტანილი იქნება სრულიად ახალი მასალები: „რუსთაველი

სომხურ ლიტერატურაში“, „რუსთაველის სომხური თარგმანების ისტორია“, „გეფხის-ტყაოსანი“-ში სომხური ლექსიკის შესახებ. კრებულში მოთავსებული იქნება „გეფხის-ტყაოსანი“-ს შინაარსი და ბიბლიოგრაფია, წიგნი მდიდრულად იქნება დასურათებული. მთელი რიგი სურათებისა, რომლებიც გადმოგვცემენ რუსთაველის ეპოქის ცალკეულ მომენტებს, გამოქვეყნებული იქნება პირველად ამ კრებულში.

იუბილესთან დაკავშირებით ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსებული იქნება ქართული ლიტერატურის კაბინეტი.

კაბინეტის დაარსების მიზანია საქართველოს კულტურის, ენისა და ლიტერატურის საფუძვლიანად შესწავლა.

„როგორ იწართობოდ ფოლადი“-ს სცენაზე დადგმა

ესგეგმილი შეიქმნა ამ დღეებში ინახულა ორდენოსანი მწერალი ნ. ოსტროვსკი და დაწერილებით გააჩნია მასთან რომან „როგორ იწართობდა ფოლადი“-ს ინსცენირების გეგმა.

მეიერხოლდის სახელმწიფო თეატრი უკვე შეუდგა აღნიშნული ნაწარმოების გასცენიურებისათვის სამზადისს.

პიესების კორკუსი

ჟურნალ „კოლხონი ტეატრის“ რედაქციამ გამოაცხადა კონკურსი ერთ-ერთი მოქმედებიან პიესებზე. თემები არჩეული იქნება თვით ავტორების მიერ. კონკურსში შეიძლება წარდგენილი იქნეს ერთმოქმედებიანი კომედია, დრამა, ვოდევილი და ტექსტი ერთმოქმედებიანი მუსიკალური კომიდიისათვის. მომქმედ პირთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5-6 კაცს. პიესების წარდგენის უკანასკნელ ვადად დანიშნულია 1936 წლის 1-ლი სექტემბერი.

ქუთაისის მიერ მოწონებული საუკეთესო პიესები მიიღებენ პრემიებს. პირველი პრემია—5.000 მან. მეორე—3.000, მესამე—2.000 მან. მეოთხე და მეხუთე—1.000 მან.

პუშკინის ნაწარმოები

პუშკინის საკავშირო კომიტეტის დადგენილების თანახმად სახ. ლიტგამომცემლობამ გადაიღო პუშკინის ნაწერების საგამომცემლო გეგმა. გამომცემლობას განზრახული ჰქონდა მ/წ 38.100.000 ანაბეჭდის გაშოცემა, ახალის გეგმით კი გამოცემული იქნება 72 მილიონი ანაბეჭდი ფურცელი.

პუშკინის ნაწერების ტირაჟი 2.700.000-დან გავიდებულ იქნა 8.200.000-მდე. პუშკინის ექვსტომეულის მეოთხე გამოცემა 50.000 მაგიერ 100.000 ცალი დაიბეჭდება.

გამომცემლობა წელს მასიჟორ მკითხველს მისცემს რჩეულ ლექსებისა და პოემების კრებულს 400.000 ტირაჟით, „ევგენი ონეგინი“ 400.000 ცალს, „დუბროვსკი“-ს 300.000 ცალს. პუშკინის ერთტომეული გამოვა 350.000 ცალი.

უცხოეთი

ფაშისტურ ლიტერატურას არ კითხულობენ

თითქმის მთელს ევროპაში მეტად დაეცა გერმანული ფაშისტური წიგნის მოთხოვნილება. გერმანული ლიტერატურა განდევნილია ევროპის ბაზრებიდან კონკურენტების მიერ. ამან გამოიწვია გერმანიაში ძლიერი განჯავი.

მსხვილმა გამოცემლობებმა დაუგზავნეს ანკეტები საფიანთ კორესპონდენტებს სხვადასხვა ქვეყნებში. კორესპონდენტები იუწყებიან, რომ გერმანულმა წიგნმა დაჰკარგა მკითხველი ფინლიანდიაში, სკანდინავიაში.

საფრანგეთში დიდი წარმატებით იკითხება მხოლოდ ემიგრანტებისა და გადასახლებულ მწერლების მიერ დაწერილი გერმანული წიგნები.

შვეიცარიაში, სადაც მოსახლეობის ერთი მესამედი გერმანულ ენაზე ლაპარაკობს, უკვე იგრძნობა ანტიპატია გერმანიაში გამოცემულ წიგნების მიმართ.

იტალიაში 1917 წელს შეტანილ იქნა 750.000 ლირის ღირებულების გერმანული წიგნები. უკანასკნელ ხანებში კი ეს თანხა დაეცა 150.000 ლირამდე.

ასეთ კატასტროფულ მდგომარეობას კორესპონდენტები მიაწერენ წიგნის სიძვირეს. მათ ავიწყდებათ, რომ გერმანიაში ფაშისტური ხელისუფლების დამყარებამდე გერმანული წიგნი უფრო ძვირი ღირდა, მაგრამ მასზე დიდი მოთხოვნილება იყო და საგრძნობი რაოდენობით სალდებოდა სახლფარგარეთ.

რუსი კლასიკოსები ფრანგულ ენაზე

გამომცემლობა „ნუველ რევიუ ფრანსეზ“-მა გამოცემა დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“. წიგნი თარგმნილია ანრი მონგოს მიერ.

ანრი მონგო ეკუთვნის მთარგმნელ-სლავისტების იმ პატარა ჯგუფს, რომელიც 15 წლის განმავლობაში მისცა საფრანგეთს რუს კლასიკოსების მთელი რიგი ღირსშესანიშნავი თარგმანები. თარგმნილი და გამოცემული: „Записки охотника“, „Мертвые души“, „Анна Каренина“, „Война и мир“, „Повести Белкина“ და სხვა.

საბჭოთა ლიტერატურა რუმინეთში

რუმინეთის დიდ ქალაქებში — ბუქარესტი, მალატი, კონსტანცი — ამ უკანასკნელ ხანებში მეტად გაიზარდა ინტერესი საბჭოთა მწერლების ნაწერებისადმი. რუმინეთის მსხვილი გამოცემლობები სცეპენ შოლოხოვის, ავდენკოს, ილფისა და პეტროვის, ოლფშას ნაწერების თარგმანებს. ზოგიერთი წიგნი გამოდის მეორეჯერ.

რუმინულ ლიბრალების ბეჭდვითი ორგანო „კუვინტულ ლიბერი“ სისტემატიურად ბეჭდავს საბჭოთა მწერლების მოთხრობების თარგმანებს.

ფურმანოვის „ჩაპაევი“ ინგლისში

„დიელი უორკერი“ იტყობინება, რომ ფურმანოვის „ჩაპაევი“ გამოდის ინგლისურ ენაზე გააიფებული გამოცემით.

რედაქტორი — დავით დემეტრაძე.

მდივანი — ალ. აბაშელი.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის
სამხატვრო-სალიტერატურო ორთვიური ჟურნალი

„ჩვენითა“

1936 წელს გამოვა სახელგამის გამოცემოვით

მიიღება ხელისმოწერა

„სოიუზპენატის“ რწმუნებულებთან, ფოსტის კანტორებში,
თაბრქარხადგილოებში და სახელგამის პერიოდსექტორში.

ხელისმოწერის ფასი:

წლიურად 9 მანეთი, ნახევარი წლით 4 მ: 50 კ.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწე-
რალთა სასახლე. ტელ. 3-47-10.

პერიოდსექტორის მისამართი: ტფილისი, კირივის ქ. № 7.
ტელ. 3-40-83.

„ჩვენითა“

ხელისმოწერათა საყურადღებოდ:

ჟურნალი „ჩვენითა“ მიმდინარე წლის განმავლობაში
გამოვა ექვს წიგნად, როგორც ორთვიური ორგანო: პირველი
წიგნის გამოსვლას დააგვიანდა ჟურნალის რეორგანიზაციის
გამო. ჟურნალის გამოცემა იკისრა საქართველოს სახელმწიფო
გამომცემლობამ, რომელმაც უზრუნველყო იგი ქალაქითა
და სტამბით.

ხელისმომწერლები მიიღებენ ნომრების დაპირებულ რა-
ოდენობას.

რედაქცია.

სახელგამის მე-3 სტამბა, აკ. წერეთლის ქ. № 3/5

შეკ. № 261. შთავ. № 12107. ტირ. 2.000.